# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

5 ოქტომბერი **ორშაბათი** 2009

№234(12913) ფასი 60 თეთრი


# დინამო კრიზისში?



საქართველოს ჩემპიონატი. X ტური » გვერდი 2-4

გუშინ გლდანში. გაგრა-დინამო 0:0



# გრან-პრი ჩვენია

შალვა გაჩეჩილაძე პირველი მხედარია საქართველოდან, რომელმაც მსოფლიო ეგიდის ასპარეზობა მოიგო » გვერდი 13

ევროთასები

## რეალისა და იუვეს პირველი მარცხი

ბაიერნი ისევ კოჭლობს, ჩელსიმ ლივერპული წააქცია » გვერდი 7-12



## ბათუმური გაკვეთილები თბილისელებისთვის

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი » გვერდი 14




## პირველად ამერიკაში...

ქართველი MLS-შიც გამოჩნდა

ქართული ლეგიონის უქმეები » გვერდი 6

## საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. X ტური

04.10.09. სამტრედია ე. მანჯგალაძე
2 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |

*1:0 ბაკარანძე (1. კაკალაძის პასით), 1:1 ლომაია (5. ლიპარტიას პასით), 2:1 ვაშაკიძე (25), 2:2 კვარაცხელია (48. ბერიაშვილის პასით)*

*სამტრედია: შენგელია - ნინუა, გოგია, კვესიეშვილი, ქორიძე - ჩომახიძე (53. ფირცხალავა), ტყემალაძე, ბაკურაძე (84. ბ. ხაჭიპერაძე), ვაშაკიძე - კაკალაძე (64. ეცადეიშვილი), ბაკარანძე.*

*სათადარიგოები: ხარძეიშვილი, კირთაძე, ქვრივიშვილი, კაპანაძე*

*ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი (30. მიქაბერიძე) - ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი - ლიპარტია (85. მელქაძე), ბერიაშვილი (72. კახელიშვილი), კვარაცხელია.*

*სათადარიგოები: ვასაძე, მგელაძე, ალამაძე, ჯანელიძე*

*გაფრთხილება: ბაკარანძე (70)*

*არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი*

# სამტრედია ლიდერებს არ სწყალობს

## მსაჯებს ფეხსაცმლის მორტყმაღა აკლდათ!!!



თბილისის „დინამოს" დამარცხების შემდეგ მადაზე მოსული სამტრედიელი გულშემატკივრები საკუთარ გუნდს ჩემპიონთანაც მოგებას სთხოვდნენ. „ვიტ ჯორჯიასთან" დაპირისპირებაში მიღწეული ფრე სამტრედიელთა აქტივში უნდა ჩაიწეროს, თუმცა ადგილობრივი ქომაგების ერთმა ნაწილმა ვიტელებთან ვერმოგება მტკივნეულად განიცადა და ამაში ვინ უნდა დაედანაშაულებინა, თუ არა მსაჯები?! მსაჯებს ხომ საქართველოში აღარავინ სწყალობს, ჰოდა, უბრალო გულშემატკივარი რითია ნაკლები? აქამდე სამტრედიელი ქომაგები ობიექტურობით გამოირჩეოდნენ, თუმცა გუშინ აქაც გამოჩნდნენ ვაიგულშემატკივრები, რომლებმაც ლამაზ და საინტერესო დაპირისპირებას თავიანთი „კვალი" დაატყვეს. 70-ე წუთზე სამტრედიელმა **ბაკარანძემ** საჯარიმოში ხელით გაისწორა ბურთი და არბიტრმა **მალხაზ ბეუქლიშვილმა** სამართლიანად შეაჩერა სამტრედიელთა მწვავე შეტევა, რის გამოც ერთ-ერთმა ფანმა... ფეხსაცმელი გაიხადა და გვერდით მსაჯს პირდაპირ თავში უთავაზა... საბედნიეროდ, არც მსაჯი დაზარალებულა და არც ამ ინციდენტს მოჰყოლია გაგრძელება. აგრესიულად განწყობილი ხალხი კი თავად გულშემატკივრებისა და კლუბის პრეზიდენტის ჩარევის შემდეგ დაშოშმინდა. ალბათ, ამ ინციდენტის გამო „სამტრედიას" გარკვეული სასჯელი არ ასცდება...

რომ არა ეს არასასიამოვნო ფაქტი, საკმაოდ საინტერესო და სანახაობრივი შეხვედრა იყო. **ლევან ანჯაფარიძისა** და **მამუკა მესიაჩენკოს** მიერ დამოძღვრილი მასპინძლები თამაშის მიმდინარეობისას ორჯერ იგებდნენ, თუმცა საბოლოოდ მხოლოდ ქულას გამორჩნენ. ტგ კი არა, ვეტერინარებს იღბალი რომ ჰქონოდათ, მეორე ტაიმში საკუთარ კარებს მიჯაჭვულ მეტოქეს გამარჯვების გოლსაც გაუტანდნენ. როგორც ჩანს, სამტრედიელებმა მთელი ძალები „დინამოს" ძლევას შეალიეს. სანამ ენერგია ეყოთ, იმერლებმა „ვიტ ჯორჯიასთანაც" კარგად ითამაშეს, მეორე ტაიმში კი უკვე ძალაგამოცლილები, მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ.

თამაში ისე დაიწყო, სამტრედიელები უკეთესს რომ ვერ ინატრებდნენ. იმერულმა გუნდმა, რომ იტყვიან, ვიტელებს მისალმებაც არ აცადა და პირველივე წუთზე გოლით დასაჯა - **ნინუამ** მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა საჯარიმოში, იქ **კაკალაძემ** იმარჯვა და თავით დაუგდო ბურთი ბაკარანძეს, რომელმაც თავურითვე გახსნა ანგარიში - 1:0.

სტუმრები გაშვებულ გოლს არ დაუბნევია. **მერაბ კოჭლაშვილის** შეგირდებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა - **ლიპარტიამ** კუთხურიდან ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაკიდა, სადაც ყველას **ლომაიამ** დაასწრო და თავური დარტყმით ბალანსი აღადგინა - 1:1.

სწრაფ გოლებს გახსნილი და სანახაობრივი თამაში მოჰყვა. სტუმრები ბევრს მოძრაობდნენ. ამ კომპონენტში მათ სამტრედიელებიც აჰყვნენ. გულშემატკივრებისგან შეგულიანებულმა მასპინძლებმა მალე უპირატესობაც მოიპოვეს. განსაკუთრებით მათი ფლანგელები - ნინუა და **ლაშა ვაშაკიძე** აქტიურობდნენ. მე-14 წუთზე ნინუას ფლანგურ ჩაწოდებას ვაშაკიძის ძლიერი თავური დარტყმა მოჰყვა და ვიტელები გოლისგან ხარიხამ იხსნა.

25-ე წუთზე ვაშაკიძემ ბრწყინვალედ შეასრულა შორეული საჯარიმო დარტყმა და ბურთი **ბედიაშვილის** კარის „ცხრიანში" მოარტყა - 2:1. „ვეტერინარები" კვლავ შეეცადნენ ანგარიშის გათანაბრებას, უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ პირველ ტაიმში მხოლოდ სამტრედიელთა ხარიხა შეაზანზარეს.

შესვენების შემდეგ კი თბილისელებმა მეტოქე საკუთარ კარს მიაჯაჭვეს. ამაში მათ სწრაფი გოლიც შეეშველათ - თამაში ახალი განახლებული იყო, ვიტჯორჯიელებმა მცველების შეცდომით რომ ისარგებლეს - ლიპარტიამ **ბერიაშვილს** მიაწოდა, ამან კი **კვარაცხელია** მოძებნა, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში თავისი მე-8 გოლი გაიტანა - 2:2.

სამტრედიელები გადაღლილები ჩანდნენ. მასპინძლებს კონტრშეტევებისთვისაც აღარ ჰქონდათ რესურსი. ერთადერთი ის ეპიზოდი იყო, ზემოთ რომ ვახსენეთ - ბაკარანძე მეკარესთან პირისპირ რომ გადიოდა და ხელით გაისწორა ბურთი...

„ვიტ ჯორჯიას" კი არაერთი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, რომლის დეტალური აღწერაც შორს წაგვიყვანს. ორჯერ მარტო კვარაცხელიას მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ორივეჯერ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. ორი კარგი მომენტი ჰქონდა **ბეჭვაიასაც**, თუმცა მისი დარტყმები მცირედით ასცდა მიზანს. 78-ე წუთზე გოლის გატანის შანსი მიეცა შეცვლაზე შესულ **კახელიშვილსაც**, მაგრამ მახვილი კუთხიდან კარის ჩარჩოში ვერ მოარტყა. ბოლოს ჩემპიონსაც დაეტყო დაღლა და სამტრედიელებმა შვებით ამოისუნთქეს. ახალგაზრდა მწვრთნელებმა ბოლო წუთებში **ბესიკ ხაჭიპერაძის** გამოყვანით დაცვა გააძლიერეს და მატჩი სასურველ შედეგამდე მიიყვანეს.

### მატჩის შემდეგ

**მერაბ კოჭლაშვილი (ვიტ ჯორჯია):** „სამტრედიელებს კარგი, მებრძოლი გუნდი ჰყავთ, რაც დღეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა. დღეს ყველანაირი შედეგი იყო მოსალოდნელი. უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, ბევრი მომენტი გვქონდა და რომ გამოგვეყენებინა, მოვიგებდით კიდეც. თუმცა ბიჭების მიმართ საყვედურს ვერ ვიტყვი - ორჯერ ვაგებდით და მიუხედავად ამისა, ფეხბურთელები არ გატყდნენ და ანგარიში ორივეჯერ გაათანაბრეს. მე ვნახე „სამტრედიას" მატჩი „დინამოსთან", რომელშიც მათ არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ, ჩვენთან კი სამჯერ დაარტყეს კარში და ორჯერ გაგვიტანეს, მაშინ, როცა ამდენი მომენტი გავატანეთ ქარს. ბოლოს საშიშროება იყო, რომ ამდენი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ იქით არ მიგვეღო გოლი. აქ გულშემატკივრის ფაქტორმაც ითამაშა დიდი როლი, ჩვენ უკან იყვნენ აგრესიულად განწყობილი ფანები, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, ასეთ ფონზე თამაში კი ძალიან რთულია. მადლობა მინდა ვუთხრა „სამტრედიას" პრეზიდენტ ზაზა ადეიშვილს და კლუბის ნამდვილ ქომაგებს, რომლებმაც ვაიგულშემატკივრები დააშოშმინეს. რაც შეეხება ბედიაშვილის ნაადრევ ცვლილებას, მისი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, მან თავად მოითხოვა შეცვლა".

**ლევან ანჯაფარიძე (სამტრედია):** „ვფიქრობ, მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა. ორჯერ დავწინაურდით და მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ოთხი დღის წინ „დინამოსთან" რთული მატჩის შემდეგ ფეხბურთელები გადაღლილები იყვნენ და მეორე ტაიმში მოძრაობა უჭირდათ. თანაც, უბრალო მეტოქე ხომ არ გვყავდა?! მართალია, „დინამოსთან" მოგების შემდეგ ჩვენი ძალების ვირწმუნეთ და ახლაც მოგებას ვგეგმავდით, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონთან ფრე არ არის ურიგო შედეგი".

*დავით კოხრეიძე*
*სამტრედიიდან*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 10 | 6 | 4 | 0 | 16-4 | 22 |
| 2. ოლიმპი | 10 | 6 | 3 | 1 | 18-9 | 21 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 10 | 5 | 4 | 1 | 14-11 | 19 |
| 4. დინამო | 10 | 5 | 3 | 2 | 20-7 | 18 |
| 5. სპარტაკი | 10 | 5 | 2 | 3 | 15-15 | 17 |
| 6. სამტრედია | 10 | 4 | 1 | 5 | 14-20 | 13 |
| 7. სიონი | 10 | 2 | 5 | 3 | 8-11 | 11 |
| 8. გაგრა | 10 | 2 | 3 | 5 | 13-14 | 9 |
| 9. ბაია | 10 | 1 | 1 | 8 | 6-19 | 4 |
| 10. ლოკომოტივი | 10 | 0 | 2 | 8 | 3-16 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| გაბედავა (გაგრა) | 7 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 7 |
| აკინო (ოლიმპი) | 7 |

### XI ტური

**17 ოქტომბერი, შაბათი**

ბაია-სპარტაკი
ოლიმპი-ლოკომოტივი
ზესტაფონი-სამტრედია
ვიტ ჯორჯია-გაგრა
დინამო-სიონი

### ჭაბუკთა ლიგა

**1992-93**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-ოლიმპი | 4:2 |
| გაგრა-სიონი | 2:0 |
| ლოკომოტივი-სამტრედია | 3:3 |
| სპარტაკი-ბაია | 1:2 |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 6 ოქტომბერს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 5 | 3 | 2 | 0 | 13-8 | 11 |
| 2. ზესტაფონი | 5 | 3 | 1 | 1 | 14-12 | 10 |
| 3. დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 16-9 | 10 |
| 4. ოლიმპი | 5 | 3 | 0 | 2 | 15-9 | 9 |
| 5. გაგრა | 5 | 3 | 0 | 2 | 9-11 | 9 |
| 6. სამტრედია | 5 | 2 | 2 | 1 | 14-9 | 8 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| 8. სიონი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-12 | 3 |
| 9. სპარტაკი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |
| 10. ლოკომოტივი | 5 | 0 | 2 | 3 | 7-11 | 2 |

**1994-95**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-ოლიმპი | 0:3 |
| გაგრა-სიონი | 0:0 |
| ლოკომოტივი-სამტრედია | 0:1 |
| სპარტაკი-ბაია | 0:4 |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 6 ოქტომბერს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 5 | 4 | 1 | 0 | 16-2 | 13 |
| 2. ოლიმპი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-4 | 13 |
| 3. სამტრედია | 5 | 3 | 0 | 2 | 7-5 | 9 |
| 4. ლოკომოტივი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-6 | 7 |
| 5. სპარტაკი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-11 | 6 |
| 6. დინამო | 4 | 1 | 2 | 1 | 6-8 | 5 |
| 7. სიონი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-7 | 5 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 9. გაგრა | 5 | 0 | 2 | 3 | 3-9 | 2 |
| 10. ზესტაფონი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-13 | 2 |

### დუბლიორთა ჩემპიონატი

**III ტური. გამოტოვებული მატჩი**

**ბაია-ვიტ ჯორჯია 2:5**

0:1 მაისაშვილი (6), 1:1 პაჭკორია (19), 1:2 გოგიაშვილი (31), 1:3 კორიფაძე (32), 1:4 ზაქრაძე (33), 1:5 კორიფაძე (45), 2:5 ეხვაია (60)

არბიტრი: ჯ. ხორავა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 14-10 | 13 |
| 2. ლოკომოტივი | 7 | 4 | 0 | 3 | 12-12 | 12 |
| 3. დინამო | 7 | 3 | 3 | 1 | 10-6 | 12 |
| 4. გაგრა | 7 | 3 | 2 | 2 | 10-8 | 11 |
| 5. ზესტაფონი | 7 | 3 | 2 | 2 | 12-11 | 11 |
| 6. ოლიმპი | 7 | 3 | 0 | 4 | 8-16 | 9 |
| 7. სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 16-14 | 8 |
| 8. სამტრედია | 7 | 2 | 2 | 3 | 11-8 | 8 |
| 9. სპარტაკი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-21 | 7 |
| 10. ბაია | 7 | 2 | 1 | 1 | 6-12 | 7 |

### I ლიგა

**3 ოქტომბერი, შაბათი**

| | |
|---|---|
| ჰერეთი-ჭიათურა | 2:0 |
| მესხეთი-გურია | 0:1 |
| მეშახტე-ნ/დინამოელი | 1:1 |
| ბათუმი-ტორპედო 2008 | 0:1 |
| 35-ე/სკოლა-ჩიხურა | 0:1 |
| კოლხეთი (ფ)-კოლხეთი (ხ) | 4:0 |
| IBSU-მერცხალი | 0:1 |

*მარტვილი ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 7 | 7 | 0 | 0 | 27-2 | 21 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 6 | 5 | 1 | 0 | 16-4 | 16 |
| 3. ნ/დინამოელი | 6 | 4 | 2 | 0 | 17-9 | 14 |
| 4. ბათუმი | 7 | 4 | 2 | 1 | 6-2 | 14 |
| 5. ჩიხურა | 7 | 4 | 0 | 3 | 8-7 | 12 |
| 6. მეშახტე | 7 | 3 | 1 | 3 | 8-18 | 10 |
| 7. ჰერეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-11 | 8 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 7 | 2 | 1 | 4 | 8-14 | 7 |
| 9. მარტვილი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 10. მერცხალი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 11. გურია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-11 | 7 |
| 12. IBSU | 6 | 1 | 2 | 3 | 7-6 | 5 |
| 13. მესხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-10 | 4 |
| 14. მაღაროელი | 6 | 1 | 0 | 5 | 7-19 | 3 |
| 15. 35-ე სკოლა | 6 | 0 | 1 | 5 | 4-11 | 1 |

*მესხეთმა ჩემპიონატი -3 ქულით დაიწყო*

### მეორე ლიგა

**დასავლეთი. VII ტური**

| | |
|---|---|
| ადელი-საირმე | 2:0 |
| ჩხერიმელა-ბახმარო | 3:1 |
| სულორი-დინამო (ქ) | 0:1 |
| გურია 2-ჩიხურა | 3:1 |
| ქ. ტორპედო-იმერეთი | 2:2 |
| მარგვეთი-ბათუმი 2 | 1:1 |
| სქური-ტორპედო 2 | გადაიდო |

*სამგურალი ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადელი | 7 | 6 | 0 | 1 | 16-8 | 18 |
| 2. იმერეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 22-12 | 13 |
| 3. გურია 2 | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| 4. ჩიხურა 2 | 7 | 3 | 1 | 3 | 13-12 | 10 |
| 5. ბათუმი 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| 6. ბახმარო | 6 | 3 | 0 | 3 | 11-11 | 9 |
| 7. სამგურალი | 6 | 2 | 3 | 1 | 10-8 | 9 |
| 8. ტორპედო 2 | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 9. ჩხერიმელა | 7 | 2 | 1 | 4 | 8-16 | 7 |
| 10. მარგვეთი | 6 | 1 | 4 | 1 | 7-6 | 7 |
| 11. დინამო (ქ) | 7 | 2 | 0 | 5 | 6-13 | 6 |
| 12. სულორი | 7 | 1 | 3 | 3 | 10-14 | 6 |
| 13. ქ. ტორპედო | 6 | 1 | 3 | 2 | 9-13 | 6 |
| 14. საირმე | 6 | 1 | 2 | 3 | 9-11 | 5 |
| 15. სქური | 6 | 1 | 1 | 4 | 4-9 | 4 |

### U 19. თბილისის ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| ვეფხვები-ალაზანი | 2:0 |
| თ.ს.აკადემია 91-სასკო | 3:1 |
| თ.ს.აკადემია 92-XXI საუკუნე | 4:1 |
| 35-ე სკოლა 1-ოლიმპი | 5:2 |
| 35-მეტეხი-ოლიმპიკი | 4:0 |
| შევარდენი-ივერია/მაუდი | 1:2 |
| ავაზა-იმედი (თბ) | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აკადემია 91 | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 2. ავაზა | 3 | 3 | 0 | 0 | 15-3 | 9 |
| 3. ივერია/მაუდი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| 4. 35-ე სკოლა 1 | 3 | 3 | 0 | 0 | 10-4 | 9 |
| 5. აკადემია 92 | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| 6. სასკო | 3 | 2 | 0 | 1 | 9-7 | 6 |
| 7. 35-მეტეხი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| 8. ოლიმპიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-9 | 3 |
| 9. ვეფხვები | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 10. ალაზანი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |
| 11. ოლიმპი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-9 | 1 |
| 12. შევარდენი | 3 | 0 | 0 | 3 | 4-7 | 0 |
| 13. იმედი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-11 | 0 |
| 14. XXI საუკუნე | 3 | 0 | 0 | 3 | 2-17 | 0 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ორი კაპიტანი

04.10.09. თბილისი. ამერი
700 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 0 |
| დინამო | 0 |

*გამოუყენებელი პენალტი: ხმალაძე (48. მცარე)*
*გაგრა: თევდორაძე - ვ. ხორგუაშვილი, გიგაური, თ. შალიკაშვილი, თოთაძე - რაქვიაშვილი (90. თუხარელი), პ. ხორგუაშვილი, შარიქაძე, კობერიძე - პავლიაშვილი (46. ოვონიკოკო), გაბედავა.*
*სათადარიგოები: ნადირაშვილი, გაბუნია, ტყეშელაშვილი, ბაგალიშვილი, გოგიჩაიშვილი*
*დინამო: ლორია - კაკუბავა, გ. კაშია, ნერგაძე, ხმალაძე - ჩადუნელი (55. მერებაშვილი), მამუჩაშვილი, ნემსაძე - ლეკვთაძე (74. შ. კაშია), ვანაძე - აკირემი (82. ნ. ჯიშკარიანი).*
*სათადარიგოები: ხომხიშვილი, თომაშვილი, დილმელაშვილი, ხიხარულიძე*
*გაფრთხილება: გაბედავა (32), ვანაძე (59), შალიკაშვილი (77)*
*არბიტრი: ლ. სილაგავა*



კაპიტან ხმალაძის მიერ დარტყმული პენალტი კაპიტანმა თევდორაძემ მოიგერია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენება ცხადდება და სხვა გუნდების მსგავსად, ეს პაუზა „დინამოსთვისაც" სასარგებლო და აუცილებელიც იქნება. არა, კრიზისზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, ნაადრევია, მაგრამ უკანასკნელ ორ შეხვედრაში მოპოვებული ერთი ქულა... მართლაც, ვერაფერი შედეგია ჩემპიონობისათვის მებრძოლი გუნდისათვის. იმედია, „გაგრას" მწვრთნელ-ფეხბურთელები არ გვიწყენენ თუ ვიტყვით, რომ გუშინდელი მატჩის წინ ფავორიტად ყველას „დინამო" მიაჩნდა; საბოლოოდ კი შეხვედრა ნულოვანი ფრით დასრულდა და სადღაც, ალბათ, ლოგიკურიც იყო მოვლენების ასეთი განვითარება. კი, „დინამოს" ერთი-ორი მეტნაკლებად სახიფათო მომენტი კი ჰქონდა (ბოლოს და ბოლოს, პენალტიც ვერ გამოიყენა), მაგრამ ისეთი არაფერი გვინახავს, რომ მეტოქეზე აშკარა უპირატესობა ჰქონოდა.

...საერთო ჯამში კი შეხვედრა დიდი ვერაფერი სანახავი იყო; გადატვირთული კალენდრისა თუ სხვა მიზეზის გამო, ორივე გუნდის ფეხბურთელები სისწრაფეში აშკარად მოიკოჭლებდნენ. კი, ბრძოლა ნამდვილად იყო და მონდომებას, ვერავის დავუკარგავთ, თუმცა სანახაობა ნამდვილად არ შედგა; არადა, როგორც წესი, „ამერის" სტადიონზე გულშემატკივარი ცოტა არ დადის და „დინამოს" ქომაგებს, მართლაც, სიურპრიზი ელოდათ: **გიორგი მერებაშვილი, შოთა კაშია** და **დავით დილმელაშვილი**... სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ; სამაგიეროდ, ძირითად შემადგენლობაში იყვნენ 18-19 წლის ბიჭები: **გიორგი მამუჩაშვილი, ლაშა ჩადუნელი** და **ირაკლი ლეკვთაძე**; დავუმატოთ მათი თანატოლი **ვაჟა ნემსაძე** და გამოდის, რომ „დინამოს" ნახევარდაცვა ერთიანად ჭაბუკებით იყო დაკომპლექტებული. წინა მატჩთან შედარებით გარკვეული ცვლილება იყო „გაგრას" შემადგენლობაშიც: **ლაშა თოთაძემ** პირველი წუთებიდანვე დაიწყო თამაში, ხოლო **ვალტერ ხორგუაშვილმა** სულაც სადებიუტო მატჩი ჩაატარა ახალი გუნდის შემადგენლობაში. და ტყუპისცალთან ერთად ურიგოდ ნამდვილად არ უასპარეზია.

...პირველი ტაიმი სახიფათო მომენტებით „დახუნძლული" ნამდვილად არ იყო; გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი 26-ე წუთზე **მათე ვანაძეს** ჰქონდა: ამ მატჩში მარცხენა გარემარბად გამწესებული ახალგაზრდა ფორვარდი **ჯორჯ აკირემისა** და ლაშა ჩადუნელის ნამოწყებულ ლამაზ კომბინაციას შეუჩერებელი დარტყმით აგვირგვინებდა, მაგრამ ბურთი მასპინძელთა კარის ხარიხას მოხვდა. ორ ეპიზოდში **რევაზ თევდორაძემ** სწორად შეარჩია პოზიცია და ნემსაძისა და აკირემის დარტყმების შემდეგ ბურთს უპრობლემოდ დაეუფლა; თავის მხრივ, არც მასპინძლებს შეუქმნიათ ხიფათი „დინამოს" კართან და პირველ ტაიმში მხოლოდ ორ ეპიზოდს თუ გამოვარჩევთ: ჯერ იყო და, **გიორგი ლორიამ**, თამაშში შეტანისას, ბურთი... საკუთარ მცველს მოარტყა და კინაღამ კურიოზული გოლიც ვიხილეთ (დანარჩენ შემთხვევაში, „დინამოს" მეკარე საიმედოდ თამაშობდა); 28-ე წუთზე კი „გაგრას" ცენტრფორვარდი **გიორგი გაბედავა** სტუმართა საჯარიმოში წაიქცა, მაგრამ პენალტის ნაცვლად... სიმულაციისათვის გაფრთხილება მიიღო...

მეორე ტაიმი ნუთის დაწყებული იყო, ლეკვთაძის კარგი პასის მერე აკირემი მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ რომ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ამ ეპიზოდში ჩინებულად გაერკვა სიტუაციაში „გაგრას" ცენტრალური მცველი **დავით გიგაური** და საკუთარი გუნდი აშკარა ხიფათს გადაარჩინა. სულ მალე კი სტუმრებმა გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი გაანიავეს: გიორგი მამუჩაშვილმა შესანიშნავი სოლორეიდი წამოიწყო, აკირემთან „კედელი" გაითამაშა და საჯარიმოში გამჭოლი გადაცემის გაკეთებას აპირებდა, როცა ბურთი მასპინძელთა ერთ-ერთ მცველს ხელზე მოხვდა. სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი აზრით, მატჩის არბიტრმა **ლაშა სილაგავამ** აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო და პენალტიც დანიშნა; თუმცა, გუნდის კაპიტნების „დუელი" მასპინძელთა მეკარის გამარჯვებით დასრულდა: რევაზ თევდორაძემ კუთხე სწორად აირჩია და **ლევან ხმალაძის** დარტყმული ბურთი მოიგერია!

ამ ეპიზოდის მერე თამაშიც „ჩაწყნარდა" და მხოლოდ მატჩის დასრულებამდე 12-13 წუთით ადრე „გამოცოცხლდა"; სწორედ მაშინ იყო, მეტოქეებმა მომენტები რომ გაცვალეს: გიორგი მერებაშვილის „სტანდარტულს" **გურამ კაშია** გამოეხმაურა, მაგრამ „დინამოს" ცენტრალური მცველის თავური დარტყმა მიზანს მცირედით ასცდა; საპასუხო შეტევაში კი **მიხეილ კობერიძის** პასის მერე გაბედავა მეურვეებს დაუსხლტა და მშვენიერ პოზიციაზეც აღმოჩნდა, მაგრამ მასპინძელთა საუკეთესო ბომბადირის შეუჩერებლად დარტყმული ბურთი „დინამოს" კარის ხარიხას ზემოდან გადაევლო...

...შეხვედრის მიწურულს „დინამომ" კიდევ ორი, მეტ-ნაკლებად სახიფათო შექმნა, მაგრამ გურამ კაშიას და მათე ვანაძის თავური დარტყმები არაზუსტი აღმოჩნდა.

### მატჩის შემდეგ

**კახა კაჭარავა (დინამო):** „მატჩი სანახაობრივი არ აღმოჩნდა, იმიტომ, რომ ორივე გუნდის ფეხბურთელები სწრაფად არ თამაშობდნენ; იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე მომენტი გვქონდა და პენალტიც ვერ გავიტანეთ, მიმაჩნია, რომ ფრე ლოგიკური შედეგი იყო. „დინამოს" შემადგენლობაში დღეს ბევრმა ახალგაზრდამ ითამაშა და ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდნენ. რაც შეეხება ზოგიერთი ფეხბურთელის სათადარიგოთა სკამზე გამწესებას, ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, ანუ - არავინ დამისჯია და უბრალოდ, თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდებს მივეცი. საერთოდაც, ჩვეულებრივი მოვლენაა და ასეთი რამ ყველგან ხდება..."

**კახა კარანაძე (გაგრა):** „კოლეგას მეც დავეთანხმები - ფრე ლოგიკური შედეგი იყო. „გაგრაში" ძალიან ბევრი ახალგაზრდა მოთამაშეა და გუნდიც ნელ-ნელა ცდილობს თანამედროვე ფეხბურთის ჩვენებას. მჯერა, რომ ახლო მომავალში ბევრად „გამართულ" ფეხბურთს ვითამაშებთ და ერთგულ გულშემატკივარსაც არაერთხელ გავახარებთ".

**გია ტუხაშვილი**

# მაქსიმეს მაქსიმუმი

03.10.09. თბილისი. მ. მესხი
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 0 |
| ზესტაფონი | 1 |

*0:1 გ. ონიანი (69. აფციაურის პასით)*
*ლოკომოტივი: ქვილითაია - დიაკვნიშვილი, ხატიაშვილი, კვანტალიანი, ხარალიძე - ჩიკვაიძე, ბოჭორიშვილი, ი. გილაური (76. ა. შენგელია), წულაძე (39. ბებუა), ტიკურიშვილი (68. ქებაძე) - გონაძე.*
*სათადარიგოები: ცერცვაძე, ჭალიაშვილი, აფხაზავა, ხოსელია*
*ზესტაფონი: მამალაძე - ბენაშვილი, გ. ონიანი, ხიდეშელი, ელიავა - ლ. კორძალიძე (60. ნ. კვასხვაძე), ცხადაია (57. ძარია), გრიგალაშვილი, აფციაური - დვალი, გელაშვილი (86. გორგიაშვილი).*
*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, მაკარიანი, ამაშუკელი, იონანიძე*
*გაფრთხილება: ი. გილაური (20), ხატიაშვილი (52), დიაკვნიშვილი (63)*
*არბიტრი: ა. კრიჭაშვილი*



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე ისე დასრულდა, „ზესტაფონს" მარცხი არ ჰქონდა განცდილი, „ლოკომოტივმა" კი გამარჯვების გემო არ იცოდა. ძალიან ძნელი წარმოსადგენი იყო, ეს სერია შაბათს გამართულ მატჩში შეწყვეტილიყო და ასეც მოხდა. ერთმანეთს ხომ უმაღლესი ლიგის ერთპიროვნული ლიდერი და ბოლოადგილოსანი ხვდებოდნენ.

თუმცა ვაკეში მოვლენები ისე წარიმართა, „ზესტაფონს" ქულების დაკარგვის საფრთხე დაემუქრა. კარგად გახსოვთ, რომ პირველ ტურში **გეგუჩაძის** გუნდმა შინ სწორედ „ლოკომოტივს" ვერ მოუგო და რომ არა **გიორგი ონიანის** გოლი, ეს ორი მატჩი სცენარით ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსებოდა.

იმერელთა გამარჯვების მიუხედავად, პირველი ტურის შეხვედრასთან მაინც შეგვიძლია ბევრი პარალელის გავლება. „ზესტაფონი" აქაც უდიდეს უპირატესობას ფლობდა და გოლი ვერა და ვერ გაჰქონდა. სტუმრებმა იმდენი საგოლე მომენტი შექმნეს და გაანიავეს, ერთს კი არა, რამდენიმე მატჩს რომ ეყოფოდა. ზესტაფონური 0:0-ისას შეხვედრის გმირი „ლოკომოტივის" მეკარე **მაქსიმე ქვილითაია** გახდა. მასპინძლებს კარი ახლაც მშრალად რომ შეენახათ, ეს უპირველეს ყოვლისა, კვლავ მისი დამსახურება იქნებოდა. ქვილითაიამ გუშინაც შესანიშნავად ითამაშა და არაერთი რთული ბურთი მოიგერია, გაშვებულ გოლში კი ბრალი არ მიუძღვის.

„ლოკომოტივის" შემადგენლობაში ცვლილებები ყოველ ტურში მრავლად ხდება და ახლაც ასე იყო, „ზესტაფონის" ძირითადი ბირთვი კი უკვე ჩამოყალიბებულია. შაბათს იმერლებმა ორი დისკვალიფიცირებული მოისაკლისეს - **ლობჟანიძე** და **დაუშვილი**. ლობჟანიძის ადგილი დაცვის მარჯვენა ფლანგზე ნახევარმცველმა **ბენაშვილმა** დაიკავა, დაუშვილი კი საყრდენის პოზიციაზე ახალგაზრდა **ცხადაიამ** შეცვალა, რომელმაც „ზესტაფონის" სასტარტოში პირველი შეხვედრა ჩაატარა.

როგორც ვთქვით, თამაში მთლიანად „ზესტაფონის" კარნახით წარიმართა. სტუმრებმა მოედანზე თავიდანვე დაამყარეს კონტროლი და სწრაფი გოლის გატანას შეეცადნენ. ამჯერადაც აქტიურები იყვნენ ფეროელთა ფორვარდები. **გელაშვილმა** და **დვალმა** პირველ წუთებზე ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან, დვალის უიღბლობა კი მთელი თამაში გაგრძელდა.

„ზესტაფონის" მიერ განხორციელებული ყველა სახიფათო შეტევა რომ აღვწეროთ, მატჩის მიმოხილვა მეტისმეტად ვრცელი გამოგვივა, ამიტომაც მხოლოდ ყველაზე გამორჩეულ ეპიზოდებს გავიხსენებთ.

პირველ ტაიმში ყველაზე მეტი შანსი დვალს ჰქონდა. განსაკუთრებით ეფექტური ის მომენტი იყო, მისი ძლიერი დარტყმული ქვილითაიამ ეფექტური ნახტომით რომ მოიგერია. შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე თავისიანების დაწინაურება **აფციაურს** შეეძლო, მაგრამ მის მიერ შესრულებული ჯარიმის შემდეგ ბურთი თბილისელთა კარის ძელს მოხვდა.

ვითარება არც მეორე ნახევარში შეცვლილა. „ზესტაფონი" მეტოქის კარზე დაწოლას აძლიერებდა, „ლოკომოტივი" კი შიგადაშიგ კონტრშეტევების განხორციელებას ცდილობდა, რისგანაც ხეირიანი ვერაფერი გამოსდიოდა. მეორე ტაიმის დასაწყისში გამოსარჩევი დვალის მიერ ხელიდან გაშვებული შანსი და **გრიგალაშვილის** შორეული დარტყმები იყო. გეგუჩაძემ შეცვლები არ დააყოვნა, გოლი კი აგვიანებდა.

„ზესტაფონის" „ლოკომოტივურ" უიღბლობას წერტილი ონიანმა დაუსვა, რომელმაც აფციაურის ჩამოწოდებული ჯარიმის შემდეგ ბურთს თავით მიმართულება ოდნავ შეუცვალა და ანგარიში გახსნა.

„ლოკომოტივს" ამ მატჩში საკუთარი კარის მშრალად შენარჩუნების მცირე შანსი კი ჰქონდა, მაგრამ შეტევაში ვერაფრის მაქნისი იყო. რკინიგზელებს ანგარიშის გათანაბრების მცირედი შესაძლებლობაც არ მისცემიათ, სამაგიეროდ, ქვილითაიამ კიდევ მოასწრო პუბლიკის მოხიბვლა, როცა კვლავ დვალს აუღო, დამატებაზე კი **კვასხვაძეს** არ გაატანინა.

მოკლედ, მინიმალური ანგარიშის მიუხედავად, „ზესტაფონმა" დამაჯერებლად გაიმარჯვა. ერთი ეგაა, ფეროელებს საგოლე მომენტების ასე განიავება უფრო ძლიერ მეტოქესთან ძვირად დაუჯდებათ. თუმცა ამ ხარვეზის გამოსწორება სავსებით შესაძლებელია, აი, „ლოკომოტივის" სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება კი ამაზე გაცილებით რთული საქმეა...

**ლევან ჯანეზაშვილი**

# პირველი საშინაო დანაკარგი

04.10.09. გორი. ქართლი
150 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| სიონი | 1 |

*0:1 ჩიკვილაძე (15), 1:1 ბოიომო (61. ჩირიკაშვილის პასით)*
*სპარტაკი: შეყრილაძე - კვახაძე (46. კლოვიხი), ბოიომო, ბაქრაძე, გილაური - შალამბერიძე, ჩივაძე, ჩირკაშვილი, შონია (71. ცხადაძე), მაისურაძე (59. ჩალაძე) - გოცირიძე.*
*სათადარიგოები: ბათიაშვილი, დიდავა, დეკანოსიძე, კანდელაკი*
*სიონი: ბობლიაშვილი - ხვანიძე, ვაშაკიძე, ქემოკლიძე, კობაური - ხიდეშელი (80. მახვილაძე), ნოზაძე, ჩიკვილაძე, გოგობერიშვილი, ხუბუა (59. კიკნაძე) - ჩიმაკაძე (84. ფიფია).*
*სათადარიგოები: სტურუა, ოქროპირიძე, მახვილაძე, დავითაშვილი, ბაჯელიძე*
*გაფრთხილება: ნოზაძე (58), ქემოკლიძე (64), ხვანიძე (65), ბოიომო (76)*
*არბიტრი: პ. დოგრაშვილი*

საკუთარ მოედანზე წაუგებლად მოასპარეზე ცხინვალის „სპარტაკს" „სიონთანაც" 3 ქულა ჰქონდა დაგეგმილი. მით უფრო, რომ მასპინძლებს მიმდინარე სეზონში, უწინდელთან შედარებით, დიდი ამბიციები აქვთ და მხოლოდ სტატისტის როლში ისინი არც ლიდერებთან მატჩებში არიან. თავის მხრივ, სეზონის სტარტისგან განსხვავებით, თუ ბოლო ტურების შედეგებს გავითვალისწინებთ, „სიონიც" არ ირჯება ცუდად.

ორივე გუნდმა ტაქტიკად 4-5-1 აირჩია. სანახაობრივი თვალსაზრისით თამაში საინტერესო არ ყოფილა. პირველივე წუთებიდან ბრძოლა ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. როგორც „სპარტაკის", ისე „სიონის" ფეხბურთელებმა მეკარეთა მზადყოფნა პირველად შორეული დარტყმებით მოსინჯეს. ამ გზით მე-12 წუთზე ჯერ **ირაკლი ჩირიკაშვილმა** ცადა გატანა, საპასუხო იერიშისას კი **ალეკო გოგობერიშვილმა** დაარტყა ძლიერად - ორივეჯერ მეკარეებმა იმარჯვეს.

მე-15 წუთზე კიდევ ერთი შორეული, ოღონდ გაცილებით ტექნიკური და, რაც მთავარია, შედეგიანი დარტყმა ვიხილეთ - სიონელი **თენგიზ ჩიკვილაძის** მიერ საჯარიმოს გარედან რბილად და მოზომილად გაგზავნილ ბურთს მასპინძელთა გოლკიპერმა ვერაფერი მოუხერხა და ანგარიშიც გაიხსნა - 0:1.

ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო ცხინვალელთა გააქტიურება, მაგრამ ასე არ მოხდა. პირველ ტაიმში ისინი საკმაოდ ინერტულად უტევდნენ. მათ მოქმედებაში ბევრი იყო ტექნიკური წუნი, არც კომბინაციური თამაში გამოსდიოდათ რიგიანად, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტს. ამავდროულად, კონტრშეტევაზე მოთამაშე „სიონი" თავის შანსის გამოყენებას სწრაფი საპასუხო იერიშებით ცდილობდა და 39-ე წუთზე ახლოსაც იყო მიზანთან, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა **ჩიმაკაძემ** კარს ააცილა. ტაიმის ბოლოს „სპარტაკმა" მცირე შტურმის მოწყობა სცადა, რომლის დროსაც განსაკუთრებით **თეიმურაზ შონია** აქტიურობდა. ის ჯერ **კვახაძის** ფლანგურ ჩაწოდებას გამოეხმაურა, მაგრამ სუსტი თავური გამოუვიდა, ხოლო შემდეგ **ჩივაძის** გრძელი გადაცემა გაგზავნა კარისკენ, თუმცა საქმეში ამჯერად ბოლნისელთა კარის ხარიხა „ჩაერია".

აქვე უნდა აღვნიშნოთ ჩივაძის ძალზე კარგი თამაში. მისი თითქმის ყველა გრძელი თუ მოკლე გადაცემა ზუსტად მიდიოდა ადრესატამდე და, რაც მთავარია, ეს ფეხბურთელი პასის მომენტში იმ ეპიზოდისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებებს იღებდა. სწორედ ჩივაძის დიდი ძალისხმევით, შესვენების შემდეგ „სპარტაკმა" გარკვეულწილად დაალაგა თამაში და მწვავე შეტევებსაც მოუხშირა. 57-ე წუთზე მან **გოცირიძე** გაიყვანა სახეირო პოზიციაზე, მაგრამ ამ უკანასკნელს მიზანმა უმტყუნა. ოთხ წუთში კი **ბოიომომ** დაარტყა ზუსტად - მან ჩირიკაშვილის მიერ ჩაწოდებული კუთხური **ბობლიაშვილის** კარში თავით გადაგზავნა - 1:1.

წონასწორობის აღდგენის შემდეგ მასპინძლებს თამაშის გადარჩენის იმედი ჩაესახათ. ბოლოს კი ამ შეხვედრისთვის უჩვეულოდ ჟინიანადაც მიეძალნენ ბოლნისელთა საჯარიმოს მისადგომებს, თუმცა სურვილი მათ შესაძლებლობებს ვერ პასუხობდა და იძულებულნი გახდნენ, შინაურ არენაზე პირველი ქულების დაკარგვის ფაქტს შეგუებოდნენ. თუმცა აღსანიშნავია 70-ე წუთზე მათივე საჯარიმოში შექმნილი მომენტი, როცა მცველთან პაექრობისას **კიკნაძე** წაიქცა. სტუმრები პენალტს ითხოვდნენ, არბიტრმა კი პირიქით, ფორვარდი გააფრთხილა სიმულაციისთვის. ამან სიტუაცია დაძაბა და დენთის სუნიც დატრიალდა. საქმის გარჩევა შეხვედრის დასრულების შემდეგ ტრადიციული ცემა-ტყეპით გაგრძელდა. ეს ამბები მოედნის მიღმა მოხდა და მასში ორივე კლუბის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ...

### მატჩის შემდეგ

**ვლადიმერ ხაჩიძე (სპარტაკი)**: „ძალიან უკმაყოფილო ვარ. დღეს ორი ქულა დავკარგეთ. სამწუხაროდ, პირველ ტაიმში ალოგიკური გოლი მივიღეთ და მერე ველარ ავაწყვეთ თამაში. საერთოდაც, ამ ერთ კვირაში ჩატარებულმა მესამე მატჩმა ფეხბურთელთა გარჯას თავისი კვალი დაატყო. ისინი გადაღლილები იყვნენ და შესაძლებლობები სათანადოდ ვერ გამოავლინეს".

**თემურ მახარაძე (სიონი)**: „ჩვენთვის ახლა ყველა ქულას მნიშვნელობა აქვს და დღესაც მეტად საჭირო ქულა მოვიპოვეთ. ამ სეზონში „სპარტაკის" რამდენიმე თამაში მქონდა ნანახი. უნდა ვთქვა, რომ დღევანდელისგან განსხვავებით, მაშინ მათ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ალბათ, ორივე გუნდზე იმოქმედა გადატვირთულმა კალენდარმა. მაგალითად, ჩვენ ბოლო 12 დღეში ხუთი მატჩი გავმართეთ, რაც ნამდვილად არ არის იოლი".

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

04.10.09. ბოლნისი. თ. სტეფანია
უმაყურებლოდ

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 2 |
| ბაია | 0 |

*1:0 აკინო (53. პენალტით), 2:0 ბაბუნაშვილი (86. აკინოს პასით)*
*ოლიმპი: ჭანტურია - ფოფხაძე, აბრამიძე, ფრაგა, იმედაშვილი - ჯერონიმო, ზ. ჭელიძე, ბაბუნაშვილი (88. გ. თოდუა) - სალესი (58. რეხვიაშვილი), აკინო, ჭედია (81. დობროვოლსკი).*
*სათადარიგოები: მ. ალავიძე, გველესიანი, კაკულია, გორდეზიანი*
*ბაია: მაქაცარია - რ. ონიანი, ქვანია, აქუბარდია, გ. ქირია - ექონია (82. რაფავა), გუჩუა (67. კუტალია), დ. ქირია (72. ეხვაია), ვართაგავა, ლუნგუ - რ. ჯიქია.*
*სათადარიგოები: ზარქუა, კ. შონია, სიხარულია, პაჭკორია*
*გაფრთხილება: დ. ქირია (3), ლუნგუ (24), ექონია (51), ჯერონიმო (55)*
*არბიტრი: გ. დოგრაშვილი*

უკვე ვნერდით, რომ რუსთავის სტადიონ „ფოლადზე" მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, „ოლიმპი" საშინაო მატჩებს დროებით ბოლნისში ატარებს. 30 სექტემბერს მომხდარი ინციდენტის გამო, რასაც თეიმურაზ სტეფანიას სახელობის სტადიონის დისკვალიფიკაცია მოჰყვა, გუშინდელი შეხვედრა უმაყურებლოდ ჩატარდა.

# კლასი და აკინო

ამ წყვილის ფავორიტი მასპინძელთა გუნდი იყო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზუგდიდელებმა მონდომებით ითამაშეს და ყველაფერი გააკეთეს კარის „მშრალად" შესანახად. პირველ ტაიმში ეს გამოუვიდათ კიდეც, თუმცა შესვენების შემდეგ მცირე ხანს კონცენტრაცია დაკარგეს და... კლასმა და **აკინომაც** თავისი გაიტანეს. აკინო ვახსენეთ და, ეს ბრაზილიელი გუშინ ორივე გუნდიდან საუკეთესო იყო. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია.

სხვებზეც ვთქვათ. „ოლიმპს" კარგად „დირიჟორობდა" ნახევარმცველი **შოთა ბაბუნაშვილი**, ყოფილ გუნდს კი საკმაო თავსატეხი გაუჩინა ფორვარდმა **გიორგი ჭედიამ**. აშკარად გამოაცოცხლა გუნდი შეცვლაზე შესულმა ნახევარმცველმა **გიორგი რეხვიაშვილმა**. რაც შეეხებათ სტუმრებს, თავდასხმაში **რევაზ ჯიქია** კი მოძრაობდა ბევრს, მაგრამ თანაგუნდელებისგან ჯეროვან დახმარებას ვერ იღებდა. „ბაიას" აშკარად მოაკლდა ნახევარმცველ **ნიკა ძალამიძის** ხელი - ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად ის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება.

ძალამიძის არყოფნაში, ზუგდიდელთა შუა ხაზის გამაგრება და ორგანიზება **ჩისამბა ლუნგუს** დაევალა. მეკარე **არჩილ მაქაცარიასთან** ერთად აფრიკელი სტუმართა შორის საუკეთესო იყო. რაც შეეხება ზოგადად „ბაიას", თუ გუნდი არ გაძლიერდა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდება. სხვათა შორის, ნამატჩევს სწორედ ამაზე დაიჩივლა ზუგდიდელთა მწვრთნელმა **ბესიკ შეროზიამ.**

ახლა მატჩის მსვლელობაზეც ვთქვათ. შეხვედრა მასპინძელთა შეტევებით დაიწყო და ასევე გაგრძელდა. ხანდახან სტუმრები მეტოქეს კონტრშეტევებითაც აწუხებდნენ. პირველად, მე-8 წუთზე, მოწინააღმდეგის კარისკენ **სალესმა** გაისროლა, მაგრამ მცირედით ააცილა. ამას მე-14 წუთზე **ვალტერ გუჩუას** მიერ კარგად შესრულებული ჯარიმა მოჰყვა, რომელიც მასპინძელთა მეკარე **გია ჭანტურიამ** კუთხურზე მოიგერია. სამ წუთში ზუგდიდელთა კიპერმა სალესის დარტყმული აიღო. მე-19 წუთზე კი მეკარე მაქაცარია ამჯერად უკვე ჯერონიმოს დარტყმულს გადაეფარა. 37-ე წუთზე „ბაიამ" კარგი კონტრშეტევა განახორციელა, მაგრამ თავდამსხმელმა **რეზო ჯიქიამ** დარტყმა დააგვიანა. ორიოდე წუთში კი აკინო საჯარიმო დარტყმით დაემუქრა მეტოქეს, მაგრამ ისევ მეკარე მაქაცარიამ იმარჯვა.

რუსთაველებმა მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყეს. 52-ე წუთზე სტუმრებმა საჯარიმოში შეჭრილი აკინო წააქციეს და არბიტრმა **გიორგი დოგრაშვილმა** პენალტი დანიშნა. 11-მეტრიანი თავად დაზარალებულმა შეასრულა და ანგარიში ასე გაიხსნა - 1:0.

ათიოდ წუთში „ოლიმპს" ანგარიშის გაზრდა შეეძლო - **დაჩი ფოფხაძის** ჩინებული პასის შემდეგ ჭედიამ კარში სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ სტუმრებიძელმა იხსნა. 70-ე წუთზე აკინოს დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ მცირედით ააცილა. გავიდა 6 წუთი და რეხვიაშვილის დარტყმულიც ასცდა მიზანს.

83-ე წუთზე ზუგდიდელებს ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი გაუჩნდათ, მაგრამ... **ჯიქიას** დარტყმული მეკარე ჭანტურიამ ხელში ვერ შეიმაგრა, **რაფავამ** დაამატა, მაგრამ ისევ რუსთაველთა გოლკიპერმა იმარჯვა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. ამ შანსის გამოუყენებლობის გამო, მატჩის მინუტურულს სტურები გოლით დაისაჯნენ - მეკარე ჭანტურიას გრძელ გადაცემას აკინოს პასი მოჰყვა, რომელსაც ბაბუნაშვილი გამოეხმაურა „მოჭრილი" დარტყმით ეფექტური გოლი გამოუვიდა - 2:0.

### მატჩის შემდეგ

**ოთარ კორღალიძე (ოლიმპი)**: „დღეს უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე წინა შეხვედრაში. მეტოქე კარის „მშრალად" შენახვას მონდომებით კი ცდილობდა, მაგრამ ორი ბურთი გავიტანეთ და მოვიგეთ... დიახ, გუნდში ფიზმომზადების სერბი მწვრთნელი დაგვემატა. მას უკვე ვესაუბრე და აშკარად ეტყობა, რომ გამოცდილი სპეციალისტია. სანაკრებო პაუზას მოსამზადებლად გამოვიყენებთ - საჩხერეში ათდღიან მოსამზადებელ შეკრებაზეგავემგზავრებით".

**ბესიკ შეროზია (ბაია)**: „პირველ ტაიმში უფრო კარგად ვითამაშეთ, ვიდრე მეორეში. მეტოქეს მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავდა და ამ კლასმა თავისი გაიტანა. ვფიქრობ, წაგების მიზეზი სწორედ ეს იყო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მეორე ნახევარში ჩემმა მოთამაშეებმა კონცენტრაცია დაკარგეს და ამიტომაც წავაგეთ. ზოგი ფეხბურთელი კარგად წარმოჩნდა, ზოგმა კი იმედები გამიცრუა. გაძლიერება ნამდვილად გვჭირდება, თორემ ბევრ ქულებს ვკარგავთ და უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაგვიჭირდება. იმედი მაქვს, ამ თვის ბოლოსთვის გაძლიერებას შევძლებთ".

**დავით ცაბაძე**
ბოლნისი-თბილისი



# ბალკანეთში დევდარიანის გარეშე
## კუპერი გუნდს ხვალ შეკრებს

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნით შეხვედრებს ჩვენი ნაკრები 10 და 14 ოქტომბერს, შესაბამისად ჩერნოგორიასა და ბულგარეთში გამართავს. ამ თამაშებისთვის ეროვნული გუნდის თავკაცი **ჰექტორ კუპერი** ბიჭებს ხვალ, ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეკრებს. სამწუხაროდ, გუნდს ერთი ფეხბურთელი უკვე გამოაკლდა - „სონდერიისკესთან" მატჩში „ორჰუსის" ნახევარმცველი **დავით დევდარიანი** დაშავდა. ჩვენებურის გუნდმა ეს მატჩი 2:1 მოიგო და 20 ქულით სამეულში შევიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ დევდარიანი ამ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მას გოლი არ გაუტანია, თუმცა გამორჩეული იყო, მისი ტრავმა კი სერიოზული აღმოჩნდა.

„დევდარიანს სწორედ ისევე დაზიანება აქვს, რომლის გამოც ზაფხულში გარკვეული პერიოდი გაუცდა. 10 და 14 ოქტომბერს ის ეროვნულ ნაკრებში თამაშს ვერ შეძლებს. ქართველი ნახევარმცველი სანაკრებო პაუზას გამოჯანმრთელებისთვის გამოიყენებს", - „ორჰუსის" ფიზიოთერაპევტ **სორენ პალესენის** ეს სიტყვები კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე მოვიძიეთ.

დევდარიანმა ტრავმაზე უკვე აცნობა ნაკრების სამწვრთნელო შტაბს. როგორც შევიტყვეთ, გამოკლებული ორჰუსელის ნაცვლად კუპერს გუნდისთვის ჯერ არავინ დაუმატებია.

**დავით ცაბაძე**


### განცხადება

მინი-ფეხბურთის პროფესიული კლუბი „ალგო" სინჯებზე იწვევს 17-20 წლის ფეხბურთელებს. მსურველებს გავლილი უნდა ჰქონდეთ საფეხბურთო სკოლა. სასურველია, ჰქონდეთ საქართველოს ჩემპიონატში თამაშის გამოცდილება. სინჯები ჩატარდება თბილისში. მსურველებმა დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ 897 742 247.

ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის" და სპორტული სააგენტო SBM გთავაზობთ მინიფეხბურთში ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის მეორე გათამაშებაში მონაწილეობას, რომელიც ნოემბერში დაიწყება და 2010 წლის მაისამდე გასტანს.

გათამაშებაში ვიწვევთ კომერციული და სახელმწიფო ორგანიზაციების, სასწავლო დაწესებულებების გუნდებს.

ტურნირი სამოყვარულოა და მოქმედი ფეხბურთელების მონაწილეობა აკრძალულია.

ტურნირს მოემსახურებიან ფიფას კატეგორიის არბიტრები. მიმდინარეობა გაშუქდება სპორტული პრესით, ვებგვერდებით და ტელევიზიით.

სამონაწილეო გადასახადის ნაწილი მოხმარდება საქველმოქმედო აქციებს.
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ: 877 742 247




# იბერია ელიტრაუნდშია!

გუშინ რუმინეთის ქალაქ დევაში თბილისის „იბერიამ" ევროპის ფუტზალის თასის პირველი ჯგუფური ეტაპი დაასრულა. შეგახსენებთ, ჩვენს გუნდს პირველი ორი თამაში სომხურ „ერებუნსა" და ჰოლანდიურ „მარლენესთან" ჰქონდა მოგებული და ადგილობრივ „დევასთან" ფრეც აძლევდა ხელს და ორბურთიანი სხვაობით მარცხიც.

თავიდან მოვლენები ისე წარიმართა, რომ სანერვიულო არაფერი გვქონდა. „იბერია" ბრაზილიელების, **რონისა** და **დუდას** გოლებით 2:0 დაწინაურდა. მოულოდნელად, ამის შემდეგ უპირატესობა მთლიანად რუმინელთა მხარეს გადავიდა და მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე ტაბლოზე „დევასთვის" სასურველი 5:2 ენთო. საბედნიეროდ, ამ კრიტიკულ მომენტში „იბერიამ" შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა. თავი გაქართველებულმა ბრაზილიელმა **რუდოლფომ** გამოიჩინა. საბოლოოდ, ეს თამაში 3:5 დავთმეთ, მაგრამ ელიტ-რაუნდში მაინც გავაღწიეთ.

„იბერიამ", „დევამ" და „მარლენემ" 6-6 ქულა დააგროვეს. ამ სამმა გუნდმა ერთმანეთთან 3-3 ქულა დააგროვა, ურთიერთშეხვედრებში ბურთების საუკეთესო სხვაობა „მარლენეს" აღმოაჩნდა, „იბერიას" კი მეორე შედეგი ჰქონდა. აქვე გეტყვით, რომ პირველ და მეორე ადგილს შორის პრინციპული სხვაობა არაა. ჯგუფის სატურნირო ცხრილმა ასეთი სახე მიიღო:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარლენე | 3 | 2 | 0 | 1 | 12-2 | 6 |
| 2. იბერია | 3 | 2 | 0 | 1 | 10-5 | 6 |
| 3. დევა | 3 | 2 | 0 | 1 | 14-7 | 6 |
| 4. ერებუნი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-23 | 0 |

„იბერიამ" რუმინეთში ამ შემადგენლობით იასპარეზა: **ბომი** (ბრაზილია), **სალომაო** (ბრაზილია), **დუდა** (ბრაზილია), **რონი** (საქართველოს მოქალაქე), **ლეანდრო** (საქართველოს მოქალაქე), **რუდოლფო** (საქართველოს მოქალაქე), **ჯამბურია, ძაბირაძე, ჟოანი** (ბრაზილია), **ალთუნაშვილი, ოლეგ შაითანოვი** (უკრაინა). გუნდის მწვრთნელი **ვახტანგ წერეთელია.**

ელიტრაუნდი 14-22 ნოემბერს გაიმართება. „იბერიას" ჯგუფში კვლავ სამი მეტოქე ეყოლება, რომელთა ვინაობაც 13 ოქტომბერს გაირკვევა. ცნობისათვის, ელიტ-რაუნდში 16 გუნდი იასპარეზებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი და სახელმწიფო

## დავით ნამგალაური

# დაფინანსება იქნება, შეიცვლება პრიორიტეტები


დავით ნამგალაური

სამი წლის წინ ქვეყნის პრეზიდენტმა ფეხბურთი პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა, რაც ამ სფეროს დაფინანსებაში გამოიხატა. თუმცა ეს ფინანსები ძირითადად უცხოელი მწვრთნელების დაქირავებას მოხმარდა...

დღეს ფეხბურთის ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს და საინტერესოა, რა დოზით გაგრძელდება სახელმწიფოს მხრიდან ფეხბურთის მხარდაჭერა, ან რა მიმართულებით წავა დაფინანსება და ასე შემდეგ...

ამ თემაზე სასაუბროდ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს - დავით ნამგალაურს მივმართეთ...

- უპირველეს ყოვლისა, თქვენი გაზეთის საშუალებით მსურს, ზვიად სიჭინავას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევა მივულოცო. მას რთული და ხაპასუხისმგებლო საქმე დაეკისრა და იმედი მაქვს, კარგად გაუძლვება... მას ქართული საფეხბურთო სამყაროს გაერთიანება და მხარში დგომა სჭირდება. მოედნებიც გაკეთდება, ნაკრებ გუნდებსაც მივხედავთ, ბავშვთა ფეხბურთსაც, მწვრთნელებისა და მსაჯების კვალიფიკაციაც ამაღლდება, სხვა სფეროებშიც იქნება წინსვლა... მაგრამ ქართული საფეხბურთო სამყაროს გაერთიანების გარეშე, არაფერი გამოვა, ანდა ძალიან ძნელი იქნება წარმატების მიღწევა... ახალ პრეზიდენტსა და მის გუნდს მხარში დგომა სჭირდება. მოდი, ნუ მოვთხოვთ ახლა ზვიად სიჭინავას, რომ ხვალვე, ან რამდენიმე დღეში და ან რამდენიმე კვირაში გააკეთოს საქმე. ამისთვის დრო და მშვიდად მუშაობაა საჭირო. პრეზიდენტს კარგი პროგრამა აქვს და ახლა ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს პროგრამა განხორციელდეს - ანუ ქაღალდიდან რეალურ საქმედ იქცეს.

**- ბოლო რამდენიმე წელია, ხელისუფლება ფეხბურთს ფინანსურად ეხმარება. ფედერაციის ახალი პრეზიდენტისთვის გაგრძელდება თუ არა ეს დახმარება?**

- დიახ, უკვე წლებია, რაც სახელმწიფო ფეხბურთს მხარში უდგას, საკმაოდ სოლიდური თანხები იდება ფეხბურთში. მაშინ, პრიორიტეტად ეროვნული ნაკრებისთვის კვალიფიციური უცხოელი მწვრთნელის დაქირავება იყო მიჩნეული. უნდა გითხრათ, რომ ამ მხრივ, სახელმწიფო თავის ვალდებულებას პირნათლად ასრულებდა. ეს თანამშრომლობა გაგრძელდება, უბრალოდ, პრიორიტეტებს გადავხედავთ. ზვიად სიჭინავას პროგრამა ინფრასტრუქტურით იწყება, შემდეგ მოდის ბავშვთა ფეხბურთი, ეროვნული ჩემპიონატი, მწვრთნელთა კვალიფიკაცია და სხვა მიმართულებები. ხელისუფლების მხრიდან კომპლექსური მხარდაჭერა იქნება, ანუ თანხა, რომელიც ფეხბურთისთვის იქნება გამოყოფილი, იმ სფეროებში გადანაწილდება, რომელსაც ფეხბურთის ფედერაცია მიიჩნევს საჭიროდ. მაგალითად, შესაძლოა, ფედერაციამ ფიფასა და უეფას პროგრამით თავად გადაამზადოს მწვრთნელები და მსაჯები, ჩვენ კი დავეხმარებით ინფრასტრუქტურის ნაწილში და ასე შემდეგ... ერთი სიტყვით, სახელმწიფო რომელიმე ერთ მიმართულებაზე არ იქნება აქცენტირებული, ჩვენ კომპლექსურად და თანამიმდევრულად დავეხმარებით ქართულ ფეხბურთს.

**- სახელმწიფომ მეორედაც გადაიხადა უცხოელი მწვრთნელისა და მისი შტაბის ხელფასი. 30 დეკემბერს ექტორ კუპერსა და მის თანაშემწეებს ფედერაციასთან გაფორმებული კონტრაქტის ვადა ეწურებათ. რა იქნება ამის შემდეგ?**

- ჩვენ ნაკრების მწვრთნელის საკითხშიც ვითანამშრომლებთ და სხვა პრობლემების მოგვარებაშიც. მოკლედ რომ ვთქვა, ყველანაირი დახმარებისთვის მზად ვართ. თუმცა ეს ყველაფერი ფეხბურთის განვითარების ახალი გეგმის მიხედვით მოხდება. შესაძლოა, ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელისთვის მილიონები აღარ იყოს გამოყოფილი და სახსრები ინფრასტრუქტურასა და ბავშვთა ფეხბურთისკენ მივმართოთ. ამ საკითხზე ჯერ უნდა ჩამოვყალიბდეთ. ასე რომ, დაველოდოთ ფეხბურთის ფედერაციის ახალი მმართველი გუნდის შექმნასა და აღმასკომის გადაწყვეტილებებს. ალბათ რამდენიმე დღეში უკვე ცნობილი იქნება კონკრეტული გეგმა, თუ რა მიმართულებით უნდა დავიწყოთ ქართულ ფეხბურთში ვითარების გაუმჯობესება. ეს გეგმა საჯაროც გახდება.

**- პირდაპირ ვთქვათ, რომ თემურ ქეცბაია ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ექტორ კუპერის ყველაზე რეალური ალტერნატივაა. უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია?**

- ზვიად სიჭინავამ აღნიშნა, რომ ეროვნულ გუნდს ქართველმა მწვრთნელმა უნდა უხელმძღვანელოს. სამწუხაროდ, კვალიფიციური მოთამაშეები დღეს ბევრი აღარ გვყავს, შესაბამისად, ნაკრებში ექტორ კუპერის დონის მწვრთნელის დანიშვნა წყლის ნაყვაა. ალბათ, უპრიანი იქნება, ახალ თაობას დაველოდოთ და ვიდრე ეს თაობა ეროვნულ ნაკრებამდე მოვა, უმჯობესია, მანამდე ნაკრებში საშუალო დონის მწვრთნელმა იმუშაოს. შესაძლოა, ეს მწვრთნელი ქართველიც იყოს... რა თქმა უნდა, თემურ ქეცბაიას კანდიდატურაზე არის ლაპარაკი და გულშემატკივრის აზრიც ვიცით... იმის თქმა მსურს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში ქომაგთა როლიც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ფეხბურთი გულშემატკივრებისთვისაა და სწორედ ისინი უნდა იყვნენ მონაწილენი იმ პროცესებისა, რაც ქართულ ფეხბურთში მიმდინარეობს. არსებობს ასეთი პროექტიც - ჩატარდეს გამოკითხვა ქომაგებს შორის. ამ პროექტის მიხედვით, გულშემატკივრებს არა ერთ, არამედ რამდენიმე მწვრთნელს შორის მოუწევთ არჩევანის გაკეთება. ასე გავიგებთ ხალხის აზრს.

**- ქართული საფეხბურთო სამყაროს გაერთიანება - ასეთია ზვიად სიჭინავას გზავნილი, რომელიც წესით ყველასთვის მისაღები უნდა იყოს. როგორც გავიგეთ, ფედერაცის მმართველი გუნდიც ამ პრინციპით დაკომპლექტდება. ვიცე-პრეზიდენტები ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ არველაძე, გიორგი ნემსაძე და ვლადიმერ გუცაევი იქნებიან. ასეა?**

- ვერ გეტყვით, ეს ფედერაციის ახალი პრეზიდენტის პრეროგატივაა და მოდი, მან გასცეს ამ კითხვას პასუხი. ერთსაც ვიტყოდი - ზვიად სიჭინავას სხვადასხვა საფეხბურთო წრესთან ურთიერთობის არანაირი პრობლემა არ აქვს და ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. საარჩევნო კამპანიისას ის ყველა თაობის ვეტერან ფეხბურთელს შეხვდა, ელაპარაკა კლუბების ხელმძღვანელებს, მსაჯთა კორპუსის წარმომადგენლებს, გულშემატკივრებს, მასმედიას, რეგიონულ ფედერაციებს... მან ყველას პრობლემა იცის. მნიშვნელოვანი იქნება, ფედერაციის ახალმა თავკაცმა და მისმა გუნდმა, ცხადია, საფეხბურთო სამყაროს აზრის გათვალისწინებით, ქართული ფეხბურთის განვითარების 10-წლიანი გეგმა შეიმუშაოს. ალბათ, დროა, ყველამ ერთად გავიზიაროთ და ვიტვირთოთ პასუხისმგებლობა, ობიექტურად შევაფასოთ მოვლენები და ყველაფერი გავაკეთოთ საიმისოდ, რათა რამდენიმე წელიწადში ქართულ ფეხბურთს ძველი დიდება დავუბრუნოთ...

**დავით ცაბაძე**

ახალი ლეგიონერი

# ქართველი რომეო ბრეშაში

## გელენიძეს რუსეთის ნაკრებში თამაში არ სურს


რომეო გელენიძე

16 წლის **რომეო გელენიძე** მოსკოვური პრემიერლიგის (ასეთიც არსებობს) „ტრუდოვოი რეზერვის" თავდამსხმელი და, როგორც ჩანს, საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელია. გელენიძე კარიერას იტალიურ კლუბ „ბრეშაში" გააგრძელებს. ის სულ რაღაც 3 წელია, რაც რუსეთში გადასახლდა, მანამდე კი თბილისის „ამერის" საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა.

„ჩემი გუნდი მოსკოვის პრემიერლიგაში გამოდის, მაგრამ ძალიან ხშირად დავდივართ საერთაშორისო ტურნირებზე, ვატარებთ ამხანაგურ შეხვედრებს და უცხოური კლუბების მენეჯერებმა ჩვენი ფეხბურთელები კარგად გაიცნეს. ზაფხულში მილანის საერთაშორისო ტურნირი მოვიგეთ, ფინალში თავად მასპინძელი „მილანი" 2:1 დავამარცხეთ და ორივე გოლი მე გავიტანე. ევროპული კლუბების სელექციონერები მანამდეც მაკვირდებოდნენ, იტალიური ფინალის შემდეგ კი ერთდროულად რამდენიმე კლუბში მიმიწვიეს - კიევის „დინამოში", მადრიდის „ატლეტიკოსა" და „ბრეშაში", მაგრამ ყველაზე მეტად იტალიელებმა იაქტიურეს. ახლახან, „ბრეშას" მიწვევით იტალიაში ჩავედი და 10 დღე მაკვირდებოდნენ. თან „ტრუდოვოი რეზერვის" დირექტორი ოლეგ იუზლინსკი მახლდა, რომელიც „ბრეშასთან" მოლაპარაკებას აწარმოებდა. 10 დღე „ბრეშას" რეზერვისტებთან ერთად ვივარჯიშე, მწვრთნელს მოვეწონე და ჩემი გამოსყიდვა მოისურვა. ეს სულ რაღაც ორი კვირის ამბავია. რა თქმა უნდა, იტალიაში დარჩენა მსურდა, მაგრამ „ტრუდოვოი რეზერვის" დირექტორმა დროებით რუსეთში დაბრუნება მირჩია - მოსკოვის პრემიერლიგის გათამაშება ორ თვეში მთავრდება და იტალიაში ამის შემდეგ წადიო. ახლა მოსკოვში ვარ და სეზონის დასრულებას ველოდები. „ბრეშაში" ერთწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს, რაც ჩემთვის მისაღებია. მეორე ვარიანტი კიევის „დინამოს" დუბლებია. ახლა ვფიქრობ, სად გადავიდე. იტალიასა ან უკრაინაში წასვლა არა მხოლოდ საკლუბო კარიერის ასაწყობად, არამედ რუსეთიდან წასასვლელადაც მსურს. დიდი ხანია რუსეთის ნაკრებში მიწვევენ. რუსეთის 17-წლამდელებში ერთხელ ვითამაშე კიდეც, უელსის წინააღმდეგ ამხანაგური შეხვედრა გვქონდა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვიტალი სიმუტენკომ ძირითად შემადგენლობაში დამაყენა. რუსეთში რომ დავრჩე, უფრო მეტი დაწოლა იქნება, მე კი საქართველოს ნაკრებში მსურს თამაში. სხვათა შორის, რუსეთის 17-წლამდელებში თბილისელი ოსი სოსო ჯიოევი, მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელი თამაშობს. სოსო საკმაოდ ნიჭიერი ბიჭია, თბილისში იზრდებოდა, მაგრამ წლების წინ მისი ოჯახი რუსეთში დასახლდა. თუმცა ქართული კარგად ესმის. 17-წლამდელებში დღემდე მიწვევენ, ეს იუზლინსკიმ მითხრა, მაგრამ აღარ მინდა. ერთი თამაშის ჩატარებასაც შეცდომად მივიჩნევ. როგორც მითხრეს, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი „ტრუდოვოი რეზერვის" დირექტორს ელაპარაკა. ჩემი გასინჯვა სურდა და ნაკრებში მიმიწვია, მაგრამ არ გამიშვეს - ამ დროს გუნდს ტუნისში შეკრება გვქონდა. ჩემი სურვილი კი საქართველოს ნაკრებში მოხვედრაა. რაც უნდა კარგად ვიყო რუსეთში, მე ქართველი ვარ და ჩემი ქვეყნის ეროვნული გუნდის ფორმას მოვირგებ", - გვითხრა გელენიძემ.

საინტერესო ფაქტი: „ტრუდოვოი რეზერვის" ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, რომ შესაძლოა კლუბმა წელს მოსკოვის პრემიერლიგაში გამოსვლა შეწყვიტოს, რადგან შემადგენლობის 20 წევრიდან 14-ს ევროპის წამყვან კლუბებში გაყიდვას უპირებენ. გადახედავ კლუბის შეკრებებისა და საერთაშორისო ტურნირების განრიგს და ინატრებ - ნეტავ, ჩვენთან ასე როდის მოხდება?

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უქმეები

# პირველად, ამერიკაში...

## გიორგი ჩირგაძე სელადესისა და ანხელის თანაგუნდელი გახდა

ქართული ლეგიონის მორიგი უქმეების მიმოხილვას ერთი სასიხარულო სიახლით დავიწყებთ - ამიერიდან ლეგიონერი ამერიკის ფეხბურთის მთავარ ლიგაშიც (MLS) გვეყოლება. 28 სექტემბერს ნიუ იორკის „რედ ბულმა“ გამოაცხადა, რომ პროფესიული კონტრაქტი გაუფორმა ქართველ ფორვარდ გიორგი ჩირგაძეს, რომელიც პირველ გუნდში გადაიყვანა...

### წითელი ხარი ბრუკლინიდან

18 წლის ქართველი კლუბის ისტორიაში პირველი ფეხბურთელია, რომელიც აკადემიიდან მთავარ გუნდში გადაიყვანეს. *„დღეს მნიშვნელოვანი დღეა ჩვენი გუნდის ისტორიაში. ვიმედოვნებთ, რომ გიორგი გზას გაუხსნის ჩვენი აკადემიიდან სხვა ნიჭიერ ფეხბურთელებსაც. გიორგიმ ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი მთავარ გუნდთან ვარჯიშისას, ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი დაწინაურება“*, - განაცხადა აშშ-ის ნაკრების ყოფილმა ნევრმა **ჯეფ აგუსმა**, ამჟამად „რედ ბულის“ სპორტულმა დირექტორმა.

ჩირგაძე 2005 წლიდან „რედ ბულის“ („წითელი ხარი“) აკადემიაშია, ის ბრუკლინში ცხოვრობს. თავიდან ის 15-წლამდელთა გუნდში ჩაირიცხა, წლეულს კი გიორგიმ უკვე „რედ ბულის“ 20-წლამდელთა გუნდს მოაგებინა ჩემპიონატი. შარშან ის იყო 17-წლამდელთა გუნდის კაპიტანი, რომელმაც მილანის „ინტერის“ 17-წლამდელთა გუნდი 3:1 დაამარცხა, ქართველმა ამ შეხვედრაში დუბლი შეასრულა. *„ჩემი ოცნება ყოველთვის პროფესიონალი ფეხბურთელობა იყო, მადლობა ყველას ვინც ამ ოცნების ასრულებას ხელი შეუწყო“*, - განაცხადა ჩვენებურმა.

MLS-ის წესების მიხედვით ჩირგაძე 2009 წელს გუნდს ვერ დაეხმარება. ადრე „რედ ბულს“ „მეტროსტარსი“ ერქვა, შარშან ჩირგაძის გუნდი ფინალში გავიდა. გიორგის თანაგუნდელები არიან ესპანელი **ალბერტ სელადესი** და კოლუმბიელი **ხუან პაბლო ანხელი**. ამ გუნდში უთამაშიათ **იური ჯორკაეფს, ლოთარ მათეუსსა** და **რობერტო დონადონის**.

### რაო, ხიზანეიშვილიო?

პარასკევის მატჩში „აინტრახტის“ წინაალმდეგ „შალკეს“ თავკაცმა **ფელიქს მაგათმა** ლევან ყენია 58-ე წუთზე გამოცვალა. მწვრთნელმა უარყო, თითქოს, ამ ცვლილების მიზეზი ლევანის ცუდი თამაში იყო. გაცილებით თვითკრიტიკული იყო თავად ფეხბურთელი: *„ძალიან დაღლილი ვიყავი, ფეხები არ მემორჩილებოდა“*, - განაცხადა ქართველმა ფეხბურთელმა. „შპორტალმა“ მისი თამაში 4,5 ბალით შეაფასა - *„იშვიათად ჰქონდა ბურთი და იშვიათად ქმნიდა სახიფათო მომენტებს“*. ლევანს ბუნდესლიგის 9 თამაშში 2 საგოლე პასი აქვს.

**დავით თარგამაძის** „ფრაიბურგი“ 2:5 განადგურდა „ჰანოვერთან“, 20 წლის ქართველი მატჩის განაცხადში არ ყოფილა. „შალკე“ 16 ქულით მე-3 ადგილზეა, „ფრაიბურგი“ 10 ქულით მეათეა.

როგორც იქნა, რაღაც სიახლე შევიტყვეთ **ოთარ ხიზანეიშვილის** შესახებ - „აუგსბურგ ალგემაინე“ წერს, რომ ქართველი მცველი მალე გამოჯანმრთელდება, თუმცა მას მხოლოდ სანაკრებო პაუზის შემდეგ ათამაშებენ. უმისოდ „აუგსბურგი“ „პადერბორნს“ ესტუმრა და 2:2 დაუზავდა. არც **მათე ღვინიანიძე** ყოფილა „მიუნხენის“ განაცხადში, „ლომები“ „ზანკტ პაულის“ ეწვივნენ და 1:3 დამარცხდნენ. **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუე“ კი დღეს თამაშობს, ქართველი კაპიტნის გუნდი „არმინიას“ მასპინძლობს. „აუგსბურგი“ (11 ქულა) მე-8 ადგილზეა, „კარლსრუე“ (10) - მე-14-ზე, შემდეგ მოდის „მიუნხენი“ 8 ქულით.

### ხიზანიშვილი დაუმარცხებელია

**ზურაბ ხიზანიშვილის** ახალი გუნდი „ნიუკასლი“ შინ „ბრისტოლ სიტის“ დაუზავდა - 0:0. ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. მან ყვითელი ბარათი მიიღო და გუნდიდან ყველაზე მეტჯერ (3-ჯერ) დაჯარიმდა. მე-20 წუთზე ჩვენებურის პასი უკან **ლი ჯონსონმა** ჩაჭრა, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო. ქულების დაკარგვის მიუხედავად „ნიუკასლი“ 24 ქულით ლიდერობს ჩემპიონშიპს. ზურაბმა „მირორისგან“ კარგი შეფასება მიიღო - 7 ბალი. საფრანგეთში კვლავ მოხვდა მატჩის განაცხადში **გიორგი მაკარიძე**, „სოშოსთან“ საგარეო მარცხში (0:1) „ლე მანის“ კარს **დიდიე ოვონო** იცავდა.





რედ ბულმა ქართველი გიორგი ჩირგაძე გულშემატკივარს წარუდგინა



ლადო დვალიშვილი



მალხაზ ასათიანი



დავით დევდარიანი





გოგიტა გოგუა



ლევან ყენია

სერია A-ში **კახა კალაძის** „მილანმა“ ბოლოსკენ შეძლო ქულის გადარჩენა „ატალანტასთან“ საგარეო მატჩში - 1:1. ჩვენი კაპიტანი სათადარიგოს როლით დააკმაყოფილეს. ყველა გამოცემას სავარაუდო შემადგენლობაში კალაძე ეწერა, მაგრამ **ლეონარდომ** მას **ჯუზეპე ფავალი** არჩია.

### ლადოგოლი

დანიის ჩემპიონატში **დავით დევდარიანის** „ორჰუსმა“ „სონდერისკე“ 2:1 დაამარცხა, ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მოედანზე. სამწუხაროდ, მცირე ტრავმა მას ეროვნულ ნაკრებში თამაშის საშუალებას არ მისცემს. „ორჰუსი“ 20 ქულით მე-4 ადგილზეა სასლიგაში. რანგით მეორე ლიგაში, ისევ თავის პოზიციაზე დახიეს (წინა ტურებში მარჯვენა ნახევარმცველად ათამაშეს) **გიორგი ფოფხაძე**, მისმა „ვიბორგმა“ სტუმრად 1:0 სძლია „ჰორსენსს“. *„ორი ძალიან ძნელი მატჩი გველის ჩერნოგორიის და ბულგარეთის ნაკრებებთან. ვიმედოვნებ, ერთ-ერთ თამაშს მაინც მოვიგებთ. ჩვენ კარგი ნაკრები გვყავს, რამდენიმე ვარსკვლავი და მსოფლიო კლასის მწვრთნელი. ნამდვილად ვიმსახურებთ ერთი მატჩის მოგებას მაინც საკვალიფიკაციო ეტაპზე. შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ მაქვს, მაგრამ თუ მათამაშებენ ყოველმხრივ მზად ვიქნები“*, - განუცხადა ფოფხაძემ „ვიბორგის“ ოფიციალურ საიტს. „ვიბორგი“ 13 ქულით მხოლოდ მე-9 ადგილზეა.

ჩეხეთში გამბრინუსლიგის მე-10 ტურში **დიმიტრი ტატანაშვილის** „კლადნო“ აუტსაიდერ „ბუდეიოვიცეს“ დაუზავდა - 0:0. ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა, „კლადნო“ 10 ქულით ცხრილის მეორე ნახევარშია.

სლოვაკეთში „ნიტრასა“ და „ჟილინას“ დაპირისპირება წესით ყველაზე მეტად უნდა გვაინტერესებდეს, მაგრამ არც მასპინძელთა რიგებში გამოჩენილა **ირაკლი ლილუაშვილი** და არც სტუმრებში - **გიორგი ციმაკურიძე**.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში „შტურმი“ შინ „კაპფენბერგს“ დაუზავდა - 0:0 და 17 ქულით მესამე ადგილზე დარჩა. **ილია კანდელაკმა**, რა თქმა უნდა, შეუცვლელად ითამაშა.

სერბეთში **მიხეილ ხუციშვილის** „ვოივოდინამ“ სტუმრად 4:0 გაანადგურა „ბორჩა“. ქართველი შემტევი მოედანზე 82-ე წუთზე გამოჩნდა, მან ჰეტ-თრიკის ავტორი **დრაგან მრდა** შეცვალა. ბოსნიაში **ლევან კუტალიას** „სლავიამ“ „მოდრიცას“ მოუგო - 4:1. ლევანს არ უთამაშია, რადგან თასის მერვედფინალში გააძევეს.

ისრაელში ჩემპიონმა და ლიდერმა ჰაიფას „მაქაბიმ“ 2:0 დაამარცხა ფეთაჰ ტიკვას „მაქაბი“. მატჩის 70-ე წუთზე მასპინძელთა მეორე გოლი საქართველოს ნაკრების მეგოლე **ვლადიმერ დვალიშვილმა** გაიტანა. ჩემპიონატში მან მე-5 მატჩში მე-3 გოლი გაიტანა, როგორც ხედავთ, ლადომ ლატვიურ ტემპს არ მოუკლო. „მაქაბი“ 15 ქულით პირველ ადგილზეა.

უნგრეთში „დიორი ეტომ“ 3:1 დაამარცხა „პაკში“, **რატი ალექსიძე** 79-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე მან ყვითელი ბარათი მიიღო. რატის თამაში 6 ბალით შეაფასეს. „ეტო“ 20 ქულით მე-2 ადგილზეა.

### სალუქვაძის გოლმა ვერ უშველათ

მოსკოვში „ლოკომოტივის“ სტადიონზე ადგილობრივი გუნდისა და „რუბინის“ დაპირისპირება ძალიან ბევრს წყვეტდა. სტუმრები გამარჯვების შემთხვევაში გვარიანად მოსწყდებოდნენ მდევრებს საჩემპიონო რბოლაში, მაგრამ **იური სიომინის** გუნდმა 2:1 მოიგო და სეზონში პირველი გოლი გაიტანა „რუბინის“ მცველმა **ლაშა სალუქვაძემ**, მაგრამ ამ გოლმა მის გუნდს ველარ უშველა. „ლოკომოტივში“ 90 წუთი ითამაშა **მალხაზ ასათიანმა** (შეფასება - 6), სტუმრებში კი - სალუქვაძემ (5,5). სხვა ქართველები სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. ლაშამ 75-ე წუთზე **დომინგესის** ჩაწოდების შემდეგ თავურით გაიტანა. ამ მატჩის შემდეგ „რუბინს“ 47 ქულა დარჩა, ჩემპიონს ტურნირის დასრულებამდე 6 ტურით ადრე მხოლოდ ქულით ჩამორჩება მოსკოვის „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“ 41 ქულით მე-5 ადგილზეა და თეორიულად ჩემპიონობისთვის ბრძოლაც შეუძლია. „სპარტაკმა“ სტუმრად „ამკარს“ **ჯანო ანანიძის** გარეშე მოუგო - 2:1. ჯანომ წინა დღით დუბლებში ითამაშა (1:2) და „სპარტაკის“ ერთადერთი გოლი (მე-9 ჩემპიონატში) გაიტანა.

გროზნოს „ტერეკმა“ სტუმრად 2:1 მოუგო „ხიმკის“, ეს შეხვერდა სათადარიგოთა სკამზე დაიწყეს **ლევან გვაზავამ** და **გოგიტა გოგუამ**. გოგუა 67-ე წუთზე გამოვიდა მოედანზე. ის უნიკალური ფეხბურთელია - სულ 12 წუთი დასჭირდა სეზონში მე-8 (1 წითელი, 7 ყვითელი) ბარათის მისაღებად. მთელ ჩემპიონატში სულ ორი ფეხბურთელია მასზე უხეში, **კირილ კომბაროვი** და **დმიტრი ტარასოვი**, თუმცა სამართლიანობისთვის ალვნიშნოთ, რომ გოგუამ „კონკურენტებზე“ 2-3 თამაშით ნაკლები ჩაატარა. **ალექსანდრე ამისულაშვილის** „სპარტაკი“ „კრილია სოვეტოვს“ 0:0 დაუზავდა. ამისულაშვილმა 90 წუთი ითამაშა (6 ქულა). ნალჩიკელთა განაცხადშიც კი არ ყოფილა **დავით სირაძე**. „ტერეკი“ 33 ქულით მე-8 ადგილზეა, „სპარტაკი“ 24 ქულით მე-14 ადგილზეა და პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძვის.

### უკრაინა, ისევ ვერაფერი

უკრაინულ ვიშალიგაში მე-9 ტურის მატჩები გაიმართა. **ვასილ გიგიაძის** „ტავრია“ ლუგანსკს ესტუმრა და „ზარიას“ დაუზავდა - 0:0. ქართველი ფორვარდი მსაჯის მიერ დამატებულ მე-5 წუთზე შეცვალეს, დროის გაყვანის მიზნით. ხარკოვში „მეტალისტმა“ **ვახტანგ ფანცხავას** გარეშე 1:0 მოუგო **სანდრო კობახიძის** „კრივბასს“. კობახიძემ მატჩის მიწურულს ყვითელი ბარათი მიიღო. კარპატულ დერბიში **სანდრო გურულის** „კარპატიმ“ ბოლო წუთზე გამოსტაცა გამარჯვება „ზაკარპატიას“ - 1:0, თუმცა იმ დროისათვის გურული მოედანზე აღარ იყო, ის 75-ე წუთზე შეცვალეს.

ამ უქმეებზე ჩვენებურთაგან გოლებით თავი **კლიმენტი წიტაიშვილმა** (კვიპროსი) და **გივი კვარაცხელიამ** (ბელარუსი) გამოიჩინეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

VIII ტური

გრენობლი-მონპელიე 2:3
ნიცა-ვალანსი 3:2
პსჟ-ნანსი 1:1
რენი-ოსერი 0:1
სტ. ეტიენი-ბორდო 3:1
სოშო-ლე მანი 1:0
ლანსი-ლიონი 0:2
ბულონი-ლილი 2:3
ტულუზა-ლორიანი 0:1
მარსელი-მონაკო 1:2

### II დივიზიონი

IX ტური

ანჟერსი-სტრასბური 0:0; ბასტია-შატორუ 0:1; ბრესტი-კლერმონი 2:0; კაენი-სედანი 3:1; დიჟონი-ჰავრი 1:2; ისტრი-არლი 1:1; მეცი-ლავალი 3:2; ნიმი-გინგამი 2:0; ვანი-აიაჩო 0:3; ტური-ნანტი დღეს.

## ჰოლანდია

IX ტური

ვიტესი-სპარტა 2:0
დენ ჰააგი-გრონინგენი 1:1
ალკმაარი-ბრედა 1:0
ვილემი-ნიიმეგენი 1:1
ფეიენოორდი-ვაალვიკი 3:0
როდა-აიაქსი 2:2
უტრეხტი-ეინდჰოვენი 0:0
ჰერაკლესი-ტვენტე 1:3
ჰერენვეენი-ვენლო 1:1

### II დივიზიონი

X ტური

გრააფსხაპი-დორდრეჰტი 2:0; ექსელსიორი-როსენდაალი 2:1; დენ ბოშიგლზი 1:1; ემენი-აპელდოორნი 3:1; ტოპ ოსი-ვეენდამი 0:3; ცვოლე-მაასტრიხტი 2:1; ფორტუნა-ვოლენდამი 3:2; ჰელმონდი-ომნივორლდი 2:1; კამბური-ეინდჰოვენი II 3:1; ტელსტარი-ჰაარლემი 2:2.

## ბელგია

X ტური

გენტი-მუსკრონი 1:1
შარლერუა-კორტრეიკი 3:3
ბევერსხოტი-ვესტერლო 3:1
მეხელენი-ლოკერენი 2:0
რუზელარე-სერკლი 3:2
სტ. ტრუიდენი-ვარეგემი 1:2
ბრიუგე-ანდერლეხტი 4:2
სტანდარდი-გენკი 1:0

### II დივიზიონი

VIII ტური

ბევერენი-ანტვერპენი 2:2; ბრიუსელი-ჰევერლე 1:2; ლიეჟი-ლიერსი 0:3; ლომელი-ვაასლანდი 0:1; ტურნე-ბერგენი 2:1; ტურნჰაუტი-ოსტენდე 1:3; ბორინაჟი-ტუბეკე 1:2; რონსე-სტანდარდი (ვ) 1:2; ტინენი-დენდერი 0:0.

## პორტუგალია

VII ტური

აკადემიკა-მარიტიმუ 2:4
ნავალი-რიუ ავე 3:2
ბრაგა-სეტუბალი 2:0
ლეიქსოეში-ლეირია 3:2
სპორტინგი-ბელენენსეში 0:0
ოლჰანენსე-პორტუ 0:3
ნასიონალი-გიმარაეში დღეს
ფერეირა-ბენფიკა დღეს

### II დივიზიონი

VI ტური

ეშტორილი-ბეირა მარი 2:0; პორტიმონენსე-ფრეამუნდე 1:0; ოლივეირენსე-შავეში 1:3; კოვილია-ტროფენსე 2:1; ფატიმა-კარეგადო 1:2; ფეირენსე-პენაფიელი 1:1; ვარზიმი-სანტა კლარა 1:2; ავეშიჟილ ვისენტე დღეს.

## შოტლანდია

VII ტური

ჰემილტონი-სტ. ჯონსტონი 0:2
ჰიბერნიანი-დანდი იუნ 1:1
კილმარნოკი-აბერდინი 1:1
მოზერველი-ფალკირკი 1:0
სტ. მირენი-ჰართსი 2:1
რეინჯერსი-სელტიკი 2:1

### I დივიზიონი

VIII ტური

პარტიკი-ეირდრი 2:0; ქუინი-მორტონი 2:3.

### II დივიზიონი

VIII ტური

ალოა-ისტ ფაიფი 0:0; არბროა-კლაიდი გადაიდო; დამბარტონი-სტირლინგი 2:3; პიტერჰედი-ბრეჩინი გადაიდო; სტენჰაუზმური-კოუდენბითი 0:2.

### III დივიზიონი

VIII ტური

ალბიონი-ისტ სტირლინგი 3:0; ბერუიკი-ფორფარი 0:1; მონროუზი-ქუინზ პარკი გადაიდო; სტრანრარი-ელჯინი 0:2.

## შოტლანდიის თასი

ბონირიგი-ფრეზერბურგი 1:2
ფორესი-ბაკი 0:0 პენ. 1:4
ვიკი-კლეჩნაკუდინი 2:1
ვიგთაუნი-ვაითჰილი 0:3

## შოტლანდია

### ლიგის თასი

დანდი-ანანი 3:0
ინვერნესი-როსი 1:0

## ავსტრია

X ტური

ლინცერი-რიდი 2:2
შტურმი-კაპფენბერგი 0:0
აუსტრია (ვ)-მატერსბურგი 1:0
ზალცბურგი-აუსტრია (კ) 7:1
ვინერი-რაპიდი 0:4

### II დივიზიონი

XI ტური

ადმირა-აუსტრია II 1:1; ლუშტენაუ-სტ. პოლტენი 0:0; დორნბირნი-გრატკორნი 1:2; ვენა-ტიროლი 1:3; ზალცბურგი II-ალტახი 1:2; ჰარტბერგი-აუსტრია (ლ) 2:0.

## კვიპროსი

V ტური

აეპ-აპეპ 2:1
არისი-ენოსისი 1:1
დოქსა-ეთნიკოსი 1:0
ომონია-ანორთოსისი 1:1
აელ-აპოლონი 0:0
ნეა სალამისი-აპოპ 1:2
ერმისი-აპოელ დღეს

## დანია

XI ტური

ორჰუსი-სონდერისკი 2:1
რანდერსი-სილკებორგი 1:2
კოპენჰაგენი-ესბერგი 2:1
მიდტიულანდი-ჰერფიოლგე 2:1
ბრონდბიუ-ნორდსილანდი 6:3
ოდენსე-ოლბორგი დღეს

### II დივიზიონი

IX ტური

ბრაბრანდი-ფრემი 2:2; როსკილდე-აკადემისკი 2:3; ვესტსიელანდი-ფრედერისია 1:0; ჰვიდოვრე-ტისტედი 1:1; ჰორსენსი-ვიბორგი 0:1; კოლდინგი-ლუნგბიუ 3:0; სკივე-ნაესტვედი 1:5; ვეილე-ფინი 1:3.

## ფინეთი

XXV ტური

მარიეჰამნი-იუვიასკიულა 3:1
ინტერი-ჰიკ 1:1
მიუპა-ტურკუ 2:2
იარო-ჰაკა 1:0
ჰონკა-როვანიემი 9:0
კუოპიო-ვაასა 3:3
ტამპერე-ლაჰტი 0:2

### II დივიზიონი

XXIV ტური

ტპ47-ოულუ 2:3; ტპვ ტამპერე-იიპო 3:0; კპვ-კიისტო 3:2; ატლანტისი-კემი 2:3; ჰამეენლინა-პოპა 2:2; კლუბი04-პკ35 დღეს; კოოტეპე-ვიიკინგიტი დღეს.

## საბერძნეთი

VI ტური

პანთრაკიკოსი-არისი 1:1
იანინა-კავალა 2:1
ლევადია-ოლიმპიაკოსი 0:3
ასტერასი-ერგოტელისი დღეს
პანიონიოსი-ატრომიტოსი დღეს
პაოკ-ირაკლისი დღეს
ქსანთი-აეკ დღეს
პანათინაიკოსი-ლარისა დღეს

## ირლანდია

### II დივიზიონი

ლონგფორდი-ეთლონი 3:0
ფინ ჰარპსი-უოტერფორდი 1:1

## ნორვეგია

XXVII ტური

სტრიომსგოდსეტი-ბოდო გლიმტი 3:0
ოდ გრენლანდი-მოლდე 2:1
ოლესუნდი-სანდეფიორდი 1:1
ლილესტრიომი-ლინი 2:1
სტაბეკი-ფრედრიკსტადი 2:1
ტრომსიო-ბრანი 0:2
როზენბორგი-სტარტი 2:3
ვოლერენგა-ვიკინგი დღეს

### II დივიზიონი

XXVI ტური

ალტა-ნოტოდენი 1:0; ჰაუგესუნდი-ჰამ კამი 4:2; ლოვ ჰამი-სკეიდი 2:0; მოსი-სარპსბორგი 4:2; ნილი-სიოგნდალი 1:1; სტავანგერი-მიონდალენი 3:1; კონგსვინგერი-ბრინი 1:0.

## რუმინეთი

IX ტური

ოცელული-ბრაშოვი 1:1
ჩახლაული-რაპიდი 0:4
ვასლუი-ასტრა 3:1
გაზ მეთანი-უნირეა (უ) 0:0
უნივერსიტატეა-უნირეა (ა) 3:1
სტიაუა-გლორია 1:1
დინამო-პანდური 1:1
კლუჟი-პოლიტეხნიკა 1:1
ინტერნასიონალი-ტიმიშოარა დღეს

## მსოფლიოს ჩემპიონატი

### UNDER 20

ავსტრალია-ბრაზილია 1:3
კოსტა რიკა-ჩეხეთი 2:3
უნგრეთი-საემიროები 2:0
ს. აფრიკა-ჰონდურასი 2:0

## შვედეთი

XXVI ტური

იურგორდენი-ტრელებორგი 0:0
იორგრიტე-კალმარი 4:2
გეფლე-ჰალმსტადი 1:0
ჰამარბიუ-ბრომაპოიკარნა 1:0
ჰელსინგბორგი-ჰაკენი 1:0
ერებრუ-მალმიო 0:3
ელფსბორგი-აიკ 0:0
გიოტებორგი-გაის დღეს

### II დივიზიონი

XXVII ტური

ანგელჰოლმი-ტროლჰატანი 3:4; ასირისკა-ვასბი 4:0; მიალბიუ-იონჩოპინგი 0:0; კვიდინგი-ატვიდაბერგი 2:0; ნორჩოპინგი-ლიუნგსკილე დღეს; სირიუსი-ვასალუნდსი დღეს; სუნდსვალი-სირიანსკა დღეს.

## შვეიცარია

XII ტური

გრასჰოპერსი-ლუცერნი 0:0
ქსამაქსი-სტ. გალენი 4:2
ბაზელი-სიონი 5:0
ბელინცონა-ციურიხი 3:2
იანგ ბოიზი-არაუ 4:0

### ჩელენჯლიგა

X ტური

სტად ნიონე-ლუგანო 1:3; კრინსი-ლოზანა 3:3; ვილი-ბილი 1:1; ლე მონი-ვადუცი 0:3; შაფჰაუზენი-სერვეტი 2:2; ლოკარნო-ვოლენი 1:0; გოსაუ-ივერდონი 1:0; ვინტერტური-თუნი დღეს.

## თურქეთი

VIII ტური

ტრაბზონი-გაზიანთეფი 0:0
დიარბაქირი-ბუიუქშეჰირი 1:3
მანისა-ბურსა 0:2
ბეშიქთაში-დენიზლი 1:0
ესქიშეჰირი-კაისერი 0:1
სივასი-ანთალია 2:0
ანკარაგუჯუ-გალათასარაი 3:0
ფენერბაჩე-გენჩლერი 3:0
კასიმფაშა-ანკარა გადაიდო

### II დივიზიონი

VII ტური

ალთაი-ქოჯაელი 1:0; ბუკა-ადანა 4:1; ერჩიესი-მერსინი 1:0; ბბ გაზიანთეფი-რიზე 3:0; გირეშუნი-პაჩეთეფე 1:0; ქართალი-ორდუ 1:0; ქონია-ქარაბუქი 1:0; სამსუნი-ბოლუ 3:0; დარდანელი-ქარსიაქა დღეს.

## ბელარუსი

XXII ტური

დინამო (მნ)-შახტიორი 0:1
მინსკი-ტორპედო 0:4
სმორგონი-მტზ რიპო 0:4
ტრანსმაში-გომელი 2:0
ნემანი-გრანიტი 0:0
დინამო (ბ)-ვიტებსკი 3:0
ბატე-ნაფტანი დღეს

## ბოსნია

IX ტური

ცელიკი-ლაკტაში 2:1
ლეოტარი-ტრავნიკი 2:0
ზვიეზდა-ოლიმპიკი 3:4
რუდარი-ბორაცი 1:0
ჟელეზნიჩარი-სლობოდა 4:1
სლავია-მოდრიცა 4:1
ზრინსკი-ველეჟი 2:1
შიროკი ბრიეგი-სარაევო გადაიდო

## ბულგარეთი

VIII ტური

სლავია-მინიორი 1:0
ჩერნო მორე-ლიტექსი 0:0
ლოკომოტივი (ს)-ბოტევი 2:2
სპორტისტი-ლოკომოტივი (მ) 0:4
ჩერნომორეცი-მონტანა 1:1
ლოკომოტივი (პ)-ლევსკი 2:2
ცსკა-სლივენი 1:0
ბეროე-პირინი დღეს

## ხორვატია

X ტური

მედიმურიე-ლოკომოტივა 0:3
კროაცია-რიეკა 1:2
ზადარი-სლავენი 1:0
შიბენიკი-ციბალია 0:2
კარლოვაცი-ზაგრები 0:0
ისტრა-ჰაიდუკი 0:1
ოსიეკი-ინკერი 4:2
დინამო-ვარტექსი 2:1

## ჩეხეთი

X ტური

ბრნო-პრშიბრამი 2:1
პლზენი-სიგმა 1:0
სლოვაცკო-ბანიკი 0:2
ტეპლიცე-ლიბერეცი 2:0
ბუდეიოვიცე-კლადნო 0:0
ბოჰემიანსი-ბოჰემიანსი 1905 0:0
იაბლონეცი-ბოლესლავი 1:0
სლავია-სპარტა დღეს

### II დივიზიონი

X ტური

სოკოლოვი-ზლინი 0:2; სპარტა II-კარვინა 0:3; ტრშინეცი-პრადეცი 1:1; ოპავა-მოსტი 4:2; ვიქტორია-ვლაშიმი 0:4; ჩასლავი-დუკლა 2:1; უსტი-პლუჩინი 2:0; ვიტკოვიცე-იჰლავა 3:2.

## ესტონეთი

XXX ტური

კურესაარე-პაიდე 4:1
კალევი-ტარტუ 3:0
ტალინა-ლევადია 0:1
ტულევიკი-ნომე 3:2
ფლორა-ტრანს ნარვა 1:2

## უნგრეთი

X ტური

ჰონვედი-ვაშაში 3:3
დიოშდიორი-ზალაეგერსეგი 1:1
დიორი-პაქსი 3:1
ფეჰერვარი-კაპოშვარი 2:0
უიპეშტი-ფერენცვაროში 2:1
ლომბარდი-პალადაში 1:3
კეჩკემეტი-ნირეგიჰაზა 2:2
დებრეცენი-მტკ გადაიდო

## ისრაელი

V ტური

მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (ა) 1:1
აშდოდი-ჰაპოელი (რ-გ) 0:0
ბნეი შახნინი-ჰაპოელი (ჰ) 0:3
ჰაპოელი (ფ-თ)-ბნეი იეჰუდა 1:1
მაკაბი (ა-ნ)-ჰაპოელი (რ) 2:1
მაკაბი (ჰ)-მაკაბი (ფ-თ) 2:0
მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (თ-ა) 0:3
ჰაპოელი (ბ-შ)-ბეითარი დღეს

## ლატვია

XXIX ტური

იურმალა-მეტალურგსი 1:4
ბლაჟმა-დაუგავა 4:0
სკონტო-ვენტსპილსი 0:0

## ლიტვა

XXV ტური

ტელედემა-ბანგა 1:2
კრუოია-სუდუვა 0:1
ვეტრა-შიაულიაი 5:2
ეკრანასი-ტაურასი 1:0

## მოლდოვა

XIII ტური

დაჩია-დინამო 3:2
აკადემიკა-ტირასპოლი 1:1
ოლიმპია-ნისტრუ 3:0

## პოლონეთი

IX ტური

კრაკოვია-ზაგლებე 1:1
შლიონსკი-ვისლა 1:3
ოდრა-რუხი 1:3
იაგელონია-ლეგია 2:0
ბელხატოვი-კორონა 1:0
პოლონია (ბ)-ლეჩია 1:1
არკა-ლეხი 1:1
პოლონია (ვ)-პიასტი 0:2

## რუსეთი

XXIV ტური

ტომი-სატურნი 3:1
კრილია-ნალჩიკი 0:0
ხიმკი-ტერეკი 1:2
როსტოვი-მოსკოვი 2:2
ამკარი-სპარტაკი 1:2
ლოკომოტივი-რუბინი 2:1
ცსკა-კუბანი 4:0
ზენიტი-დინამო 2:1

### II დივიზიონი

XXXIV ტური

ჩიტა-გაზპრომი 1:2; ლ. ენერგია-ნოსტა 1:1; სკა ენერგია-ვიტიაზი 1:0; ურალი-ჩერნომორეცი 1:0; სიბირი-კრასნოდარი 1:0; მეტალურგი-შინიკი 0:0; ვოლგა-კამაზ 4:1; სალუტი-ბალტიკა 3:2.

## სერბეთი

VII ტური

ბორაცი-ვოივოდინა 0:4
მეტალაცი-ბორაცი 1:0
იაგოდინა-ჩუკარიჩკი 2:0
ნაპრედაკი-იავორი 1:1
სარტიდი-მლადი 0:0
ცრვენა ზვეზდა-ოფკ 2:1
სპარტაკი-პარტიზანი 1:1
რად-ჰაიდუკი 1:1

## სლოვენია

XII ტური

ინტერბლოკი-კოპერი 0:1
ნაფტა-მარიბორი 2:4
გორიცა-დომჟალე 1:1
რუდარი-ოლიმპია 0:3
დრავა-პუბლიკუმი 0:1

## მექსიკა

XI ტური

ტეკოსი-ატლასი 1:2
ხაგუარესი-პუმასი 0:2
კერეტარო-ინდიოსი 3:1
ატლანტე-მორელია 2:1
გვადალახარა-მონტერეი 1:0
პაჩუკა-ამერიკა 2:1
ტიგრესი-კრუს ასული 2:0
ტოლუკა-სან ლუისი 1:1
პუებლა-ს. ლაგუნა გვ. დასრულდა

## ისლანდიის თასი

### ფინალი

ფრამი-ბრეიდაბლიკი 2:2 პენ. 6:7

## უკრაინა

IX ტური

ზორია-ტავრია 0:0
მეტალურგი (დ)-ილიჩოვეცი 4:1
ობოლონი-მეტალურგი (ზ) 4:1
მეტალისტი-კრივბასი 1:0
არსენალი-დინამო 0:1
კარპატი-ზაკარპატია 1:0
დნეპრი-შახტარი 2:2
ვორსკლა-ჩერნომორეცი 0:0

## სლოვაკეთი

XII ტური

ინტერი-სლოვანი 0:2
ბისტრიცა-ტრნავა 1:0
დ. სტრედა-კოშიცე 1:1
დუბნიცა-რუჟომბეროკი 1:2
ნიტრა-ჟილინა 0:1
ტატრანი-პეტრჟალკა 2:0

## ჩრ. ირლანდია

XI ტური

ნიური-გლენავონი 0:3
დუნგანონი-ინსტიტუტი 2:1
გლენტორანი-ლისბურნი 1:0
პორტდაუნი-კრუზეიდერსი 1:2
ლინფილდი-კოლრეინი გადაიდო

## ეკვადორი

XII ტური

ბარსელონა-პორტოვიეხო 2:0
დეპ. კუენსა-ლიგა დე კიტო 3:0
დეპ. მაკარა-ელ ნასიონალი 1:1
დეპ. კიტო-ოლმედო 2:2
ესპოლი-ტექ. უნივერსიტარიო 2:2
მანტა-ემელეკი 2:0

## იაპონია

XXVIII ტური

შიმიცუ-ჰიროშიმა 1:1
იამაგატა-ოიტა 0:0
კაშივა-ივატა 1:2
ურავა-ჯეფ იუნაიტედი 3:1
კობე-კიოტო 1:1
კავასაკი-იოკოჰამა 2:0
გამბა-ომია 4:1
კაშიმა-ნიიგატა 0:1
ნაგოია-ტოკიო 1:2

## აშშ

ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 1:0
კოლამბუსი-სიეტლი 0:1
დი სი იუნაიტედი-ჩივასი 0:2
კოლორადო-ნიუ ინგლენდი 1:1
სან ხოსე-ნიუ იორკი 1:0
ჰიუსტონი-კანზასი 1:1

## ბრაზილია

XXVII ტური

ატ. მინეირო-ბარუერი 2:1
კორინთიანსი-ატ. პარანაენსე 1:3
სანტო ანდრე-ვიტორია 1:0
გოიაში-ბოტაფოგო 1:3
გრემიო-სპორტ რესიფე 3:3
სანტოსი-პალმეირასი 1:3
ავაი-კრუზეირო გვ. დასრულდა
კურიტიბა-ინტერი გვ. დასრულდა
ფლამენგო-ფლუმინენსე გვ. დასრულდა

## არგენტინა

VII ტური

კოლონი-ბანფილდი 0:0
ინდეპენდიენტე-ტიგრე 2:1
ურაკანი-რასინგი 3:1
არგ. ხუნიორსი-ესტუდიანტესი 1:0
არსენალი-როსარიო 1:0
ნიუელსი-ატლეტიკო 3:0
ხიმნასია-ჩაკარიტა 2:0
სან ლორენსო-რივერ პლეიტი 2:1
ბოკა ხუნიორსი-ველესი გვ. დასრულდა
ლანუსი-გოდოი გვ. დასრულდა

## ჩილე

XIII ტური

უნ. კატოლიკა-რეინჯერსი 5:1
მუნისიპალი-უაჩიპატო 2:2
კოლო კოლო-უნ. ჩილე 1:0
აუდაქსი-ო'ჰიგინსი 1:1
ლა სერენა-კობრესალი 3:2
უნ. კონსეპსიონი-კურიკო 3:1
ნუბლენსე-პალესტინო 1:0
ევერტონი-კობრელოა 0:3
უ. ესპანიოლ-ს. მორნინ გვ. დასრულდა

## კოლუმბია

XII ტური

ჩიკო-მილიონარიოსი 2:2
დეპ. კალი-ატ. ნასიონალი 1:2
დეპ. პერეირა-ამერიკა 2:0
ატ. უილა-ლა ეკიდადი 1:0
დეპ. პასტო-ონსე კალდასი 5:1
ენვიგადო-დეპ. კინდიო 3:0
რეალი-კუკუტა 3:2
სანტა ფე-დეპ. ტოლიმა 1:1
ინდეპენდიენ-ხუნიორი გვ. დასრულდა

## ურუგვაი

VI ტური

სენტრალი-მონტევიდეო 1:1
ფენიქსი-ლივერპული 1:1
ნასიონალი-რასინგი 3:2
დანუბიო-სერო 4:2
ატენასი-სერო ლარგო 2:0
სერიტო-ტაკუარემბო 2:0
რამპლა-დეფენსორი 1:3
პენიაროლი-რივერ პლეიტი 2:2

**იტალიის ნაკრები**

# ლიპიმ გატუზო დააბრუნა



იტალიის ნაკრები, რომელსაც საქართველოს ეროვნულ გუნდთან საქმე აღარ აქვს, II ჯგუფის დასკვნითი მატჩებისთვის მზადებას დღეიდან შეუდგება. 10 ოქტომბერს „სკუადრა აძურა" დუბლინში ირლანდიას შეხვდება, 14 ოქტომბერს კი პარმაში კვიპროსის ნაკრებს უმასპინძლებს. ამ ორ თამაშში მსოფლიოს ჩემპიონს ერთი ქულაც ეყოფა, რათა მომავალ წელს სამხრეთ აფრიკაში ტიტულის დასაცავად გაემგზავროს.

**მარჩელო ლიპიმ** 24 ფეხბურთელს უხმო. მათ შორისაა **ჯენარო გატუზოც**, რომელიც ბოლო სანაკრებო მატჩებში ტრავმის გამო ვერ მონაწილეობდა. გარკვეულ მოსაზრებათა გამო, ლიპიმ მიღმა დატოვა **დომენიკო კრიშიტო** („ჯენოა") და **მარკო მარკიონი** („ფიორენტინა"), მათ ნაცვლად კი ამავე გუნდებიდან **სალვატორე ბოკეტი** და **ალესანდრო გამბერინი** გამოიძახა.

დისკვალიფიკაციის გამო ირლანდიასთან ვერ ითამაშებს გუნდის კაპიტანი და დაცვის ბურჯი **ფაბიო კანავარო**, რომელიც „აძურას" დუბლინის მატჩის შემდეგ, „კოვერჩანოში" შეუერთდება. მოკლედ, ლიპის რჩეულთა შორის მოხვდნენ:

მეკარეები - **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **მორგან დე სანქტისი** (ნაპოლი), **ფედერიკო მარკეტი** (კალიარი);

მცველები - **ფაბიო კანავარო, ჯორჯო კიელინი, ნიკოლა ლეგროტალიე, ფაბიო გროსო** (ყველა იუვენტუსი), **სალვატორე ბოკეტი** (ჯენოა), **ალესანდრო გამბერინი** (ფიორენტინა), **დავიდე სანტონი** (ინტერი), **ჯანლუკა ძამბროტა** (მილანი);

ნახევარმცველები - **მაურო კამორანეზი, კლაუდიო მარკიზიო** (ორივე იუვენტუსი), **გაეტანო დ'აგოსტინო, სიმონე პეპე** (ორივე უდინეზე), **დანიელე დე როსი** (რომა), **ჯენარო გატუზო, ანდრეა პირლო** (ორივე მილანი), **ანჯელო პალომბო** (სამპდორია);

თავდამსხმელები - **ანტონიო დი ნატალე** (უდინეზე), **ალბერტო ჯილარდინო** (ფიორენტინა), **ვინჩენცო იაკვინტა** (იუვენტუსი), **ფაბიო კვალიარელა** (ნაპოლი), **ჯუზეპე როსი** (ვილიარეალი, ესპანეთი).

**დავით ცაბაძე**



ხესუს ნავასს რეალის კარში პირველი გოლი გააქვს

# ესეც შენი მეფე!

## საგაზაფხულო ტური პრიმერაში

მრავალასეულმილიონიანი მანქანა მე-6 ტურში გააჩერეს - ანდალუსიურ ხაფანგში მართლაც გაეხვა „სამეფო კლუბი“, რეალმა „სანჩეს პისხუანზე“ 1:2 წააგო, რითაც „ბარსელონა“ ერთპიროვნული ლიდერი გახადა. „რეალს“ აკლდა **კრიშტიანო რონალდო**, მაგრამ როცა ერთის სატრანსფერო სარკმლის განმავლობაში ლამის 300 მილიონ ევროს ხარჯავ, ერთი ვარსკლავის გამოკლება არ უნდა იყოს წაგების მიზეზი. „სევილიამ“ **ხესუს ნავასის** და **რენატოს** გოლების წყალობით დაამარცხა მეტოქე, რომელიც მხოლოდ **პეპეს** გოლს გამორჩა. მეორე ტაიმში „სევილიას“ კონტრშეტევებზე ერთი ამდენი გოლის გატანა შეეძლო, თუმცა ხან **იკერ კასილიასი** ყოჩაღობდა, ხან **ფედერიკ კანუტე** სცოდავდა დამაგვირგვინებელ ფაზაში. ანდალუსიელები ქულებით დაეწივნენ „რეალს“, რომელიც სანაკრებო პაუზას ცუდი განწყობით ხდება. სხვათა შორის, ამ მატჩში სამივე გოლი თავურით გავიდა.

*„აბელი კვლავ სუნთქავს“*, - ასეთი სათაური შემოგვთავაზა „მარკამ“ მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „სარაგოსას“ მატჩის მიმოხილვაზე. მართლაც, **აბელ რესინო** ბეწვზე გადაურჩა მოხსნას, ამას კი 18 წლის გოლკიპერ **დავიდ დე ხეას** უნდა უმადლოდეს. „ატლეტიკომ“ **სერხიო ასენხო** მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე მიავლინა, ხოლო მეორე მეკარე **რობერტო** ტრავმის გამო დააკლდა რესინოს გუნდს. დებიუტანტი დე ხეა კი „ვისენტე კალდერონზე“ გამართულ პირველივე მატჩის გმირი გახდა - პირველ ტაიმში მან გადამწყვეტი პენალტი მოიგერია, მეორეში კი - **ხორხე ლოპესის** მიერ შესრულებული ძალიან სახიფათო საჯარიმო დარტყმა. **ხოსე მანუელ ხურადოსა** და **ანტონიო ლოპესის** გოლების წყალობით „ატლეტიკომ“ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა - 2:1.

„ატლეტიკომ“ პირველივე შეტევაზე გახსნა ანგარიში, **დიეგო ფორლანის** დარტყმა უხეირო გამოდგა, მაგრამ რიკოშეტით ბურთი ხურადოს მიუვიდა, რომელმაც **ხუან პაბლო კარისოს** კარი დალაშქრა. „სარაგოსას“ უმალვე შეეძლო გათანაბრება, **ხავიერ არისმენდი** ახლო მანძილიდან ურტყამდა, მაგრამ სტუმართა ფორვარდმა ყოფილ გუნდს გოლი ვერ გაუტანა. მატჩის მე-20 წუთზე სტუმრებს უკეთესი შანსი მიეცათ გათანაბრების. საჯარიმოში შეჭრილი ხორხე ლოპესი დებიუტანტმა დე ხეამ მოცელა. გოლკიპერმა კარიერაში პირველი ყვითელი ბარათი მიიღო, მის კარში კი პენალტი დაინიშნა. აბელ რესინომ პენალტის შესრულებას ვერ უყურა, თუმცა „ვისენტე კალდერონის“ რეაქციით მწვრთნელი მიხვდა, რომ მის თავზე შეყრილი შავი ღრუბლები 18 წლის დებიუტანტმა გადაყარა, დე ხეამ შესანიშნავი ნახტომით აუღო **მარკო ბაბიჩს**.

ძალიან მონდომებული იყო ურუგვაელი დიეგო ფორლანი, მან ტაიმის მიწურულს ერთხელ და მეორე ტაიმის დასაწყისში ორჯერ შეამოწმა კარისოს მზადყოფნა. 68-ე წუთზე „სარაგოსას“ გოლკიპერიც უძლური აღმოჩნდა, საჯარიმოს კუთხესთან არგენტინელი **სერხიო აგუერო** წააქციეს, ხოლო გუნდის კაპიტანმა ანტონიო ლოპესმა უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა - 2:0. რესინო სათადარიგოთა სკამზე სულ რაღაც 5 წუთი იჯდა მშვიდად, **ტომაშ უიფალუშიმ** წესების დაცვით აართვა ბურთი არისმენდის, მაგრამ **პერეს ბურულმა** სხვანაირად განსაჯა. პენალტი ამჯერად ბრაზილიელმა **ევერტონმა** შეასრულა, დე გეა კი უძლური აღმოჩნდა - 2:1. ამას კი 87-ე წუთზე ხორხე ლოპესის გასროლა მოჰყვა, ახალგაზრდა გოლკიპერის თავგანწირულმა ნახტომმა აბელ რესინოს პოსტი შეუნარჩუნა.

*„პირველად ვითამაშე „ვისენტე კალდერონზე“ და პენალტის აღება შევძელი. ოცნება ამისრულდა, მოხარული ვარ, რომ მოვიგეთ და ამაში ჩემი წვლილიცაა“*, - განუცხადა დავიდ დე ხეამ მატჩის შემდეგ „დიარიო ას-ს“.

ექვსიდან ექვსი მოგება - ამ ტურის მიზანიც მიღწეულია, მაგრამ **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდს „ალმერიას“ ძლევის შემდეგ კრიტიკოსები მოუმრავლდა, „ბარსელონამ“ მხოლოდ 1:0 მოიგო, ისიც 22 წლის **პედრო როდრიგეს ლედესმას** გოლის წყალობით. პედრიტომ, როგორც მას ესპანეთში უწოდებენ, 31-ე წუთზე საჯარიმოში **მაქსველის** პასი მიიღო და ტრიალში ეფექტური გოლი გაიტანა **დიეგო ალვესის** კარში. ეს იყო და ეს, „ბარსელონამ“ მეტის გატანა ვერ შეძლო, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** რეკორდული სვლაც „ალმერიას“ დაცვით რედუტებთან დასრულდა, შვედმა ძალზე უხეიროდ ითამაშა.

არავინ ელოდა, რომ **უგო სანჩესის** გუნდთან ასე გაუჭირდებოდა „ელ ტრიკამპეონს“, სტუმრებს **ვიქტორ ვალდესის** კართში ერთხელაც არ დაურტყამთ, მაშინ როცა „ბარსელონა“ 17-ჯერ დაემუქრა „ალმერიას“ კარს, ბურთს მუდმივად მასპინძლები აკონტროლებდნენ, მაგრამ მასპინძლებს მაინც ძალიან უჭირდათ წინსვლა, სახიფათო მომენტების შექმნა, გოლებზე საუბარიც ზედმეტია. მე-17 წუთზე სტუმრები აშკარა გოლს გადარჩნენ იბრაჰიმოვიჩის ჩაწოდებული ბურთი ჩავიმ დაუმუშავებლად დაარტყა, მაგრამ ძელს გაარტყა, დამატებაზე პედრიტომ ივარგა, მაგრამ მისი თავური ხარიხამ აისხლიტა. მხოლოდ ერთხელ შეეძლო იბრაჰიმოვიჩს გოლის გატანა, 76-ე წუთზე მან ყველაფერი ჩინებულად შეასრულა, მაგრამ დიეგო ალვესის ნახტომმა მისი რეკორდი დაასამარა.

*„ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ და უდანაკარგოდ ვლიდერობთ. ჩემი რეკორდი კი შეწყდა, მაგრამ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, მთავარია გუნდი იგებს. ძალიან რთული თამაში გვქონდა, ამ სეზონში ასეთი წინააღმდეგობა ჩვენთვის არ გაუწევიათ. რთულია ერთდროულად ამდენი მცველის წინააღმდეგ თამაში. მინდა, პედრიტო შევაქო, ძალიან კარგი ბიჭია, ტექნიკური და დღეს მაგარი გოლი გაიტანა“.*

შაბათის კიდევ ერთი მატჩი კანარის კუნძულებზე გაიმართა, „ტენერიფემ“ შინ ლა კორუნიის „დეპორტივოსთან“ დათმო - 0:1. კუნძულელებმა უკეთ დაიწყეს, პირველ 15 წუთში მათ ორი გოლის გატანა მართებდათ, ორივეჯერ მიზანთან **რომან მარტინესი** იყო ახლოს. ტაიმის მიწურულს „დეპორტივომ“ მწვავე კონტრშეტევა წამოიწყო, **გუარდადოს** ჩაწოდებულს **ლასადი** ვერ შესწვდა, თორემ გოლი გარდაუვალი იყო. გამარჯვების გოლი კუთხურიდან ჩაწოდებას მოჰყვა, ცენტრალურმა მცველმა **დიეგო კოლოტომ** თავურით იხეირა.

გუშინ „რეალ ვალიადოლიდისა“ და ბილბაოს „ატლეტიკის“ მატჩში ბევრი საინტერესო ფაქტი მოხდა, მაგრამ მთავარი მაინც სტუმართა ნორჩი ფორვარდის, **იკერ მუნიაინის** გაბრწყინება. შეცვლაზე შემოსულმა ფორვარდმა 77-ე წუთზე გაათანაბრა და ბასკური კლუბი მარცხისგან იხსნა - 2:2. ამ გოლით იკერი პრიმერა დივიზიონის ისტორიაში ჩაეწერა, ის ყველაზე ახალგაზრდა მეგოლეა ჩემპიონატის ისტორიაში. ნავარელმა გოლი 16 წლის და 289 დღის ასაკში გაიტანა. აქამდე რეკორდი ვილიარეალელ **სისკო ნადალს** ეკუთვნოდა (რომელიც ახლა „ლევანტეში“ გამოდის) - 16 დღე და 353 დღე. ვთქვით ამ თამაშში ბევრი რამ მოხდაო და ზოგიერთს ჩამოვთვლით: გუნდებმა მატჩი ცხრა ათზე დაასრულეს, **ნივალდოსთან** საჰაერო დუელში თავის ისეთი მძიმე ტრავმა მიიღო ბასკთა ფორვარდმა **ფერნანდო ლორენტემ**, რომ ის ეგრევე ჰოსპიტალში გააქანეს. საბედნიეროდ, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

„ვილიარეალმა“ შინ ვერ მოუგო 10 კაცით დარჩენილ „ესპანიოლს“ და ბოლოსწინა ადგილზე დარჩა, არ გაგიკვირდეთ თუ მალე „ელ სუბმარინოს“ მწვრთნელის, **ერნესტო ვალვერდეს** გადაყენების შესახებ შეიტყობთ. თამაშის შემდეგ ვალვერდემ აღიარა, რომ ისიც და გუნდიც მეტად ცუდ სიტუაციაშია.

სანტანდერში **ნიკოლა ჟიგიჩმა** ყოფილ გუნდს გაუტანა და ახლანდელს მოაგებინა, სერბმა **პინილიოსის** შეცდომით ისარგებლა და „ვალენსიას“ ერთადერთი გოლი გაიტანა - 1:0. „ვალენსიამ“ ცუდად ითამაშა, თუმცა ფეხბურთში მაინც მთავარი შედეგია. სხვათა შორის, შემდეგ ტურში „ღამურები“ „ბარსელონას“ დაუხვდებიან...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

18 ოქტომბერი. ოსასუნა-ატლეტიკო, **ვალენსია-ბარსელონა, ესპანიოლი-ტენერიფე, რეალი-ვალიადოლიდი, მალიორკა-ხეტაფე, დეპორტივო-სევილია, ხერესი-ვილიარეალი, მალაგა-ალმერია, ბილბაო-სპორტინგი, სარაგოსა-რასინგი.**

### ტენერიფე-დეპორტივო 0:1

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ნუნიესი (64. დინეი), სისილია, ლუნა, ბელვისი - მ. ალონსო, რომანი - ალფარო, რიჩი (61. ომარი), კომე (83. ანხელი) - ნინო.

**დეპორტივო (4-4-2):** არანსუბია - პაბლო, კოლოტო, ლოპო, ფილიპე - ალვარესი (80. მისტა), ტომასი, სერხიო, გუარდადო - რიკი (71. ბოდიპო), ლასადი (46. როდრიგესი).

**გოლი:** 0:1 კოლოტო (60)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური-** 6-11; **ჯარიმა:** 20-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 17-11 (4-5); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 24 000

### ბარსელონა-ალმერია 1:0

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, მარკესი (59. პიკე), პუიოლი, მაქსველი - ჩავი, ბუსკეტსი (75. კეიტა), ინიესტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი, პედრო (75. ტურე).

**ალმერია (4-2-3-1):** ალვესი - მასედო, პელერანო, აკასიეტე, სისმა - ბერნარდელო, ჩიკო - ორტისი (79. სორიანო), კრუსატი (72. ნიეტო), გილერმე - უჩე (65. პიატი).

**გოლი:** 1:0 პედრო (31)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური-** 10-3; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 17-0 (7-0); **ბურთის ფლობა:** 73%-27%

**მაყურებელი:** 74 177

### ატლეტიკო-სარაგოსა 2:1

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, ხუანიტო, ა. ლოპესი - ხურადო, ასუნსაო, სანტანა, სიმაო (66. მ. როდრიგესი) - ფორლანი (88. სინამა პონგოლე), აგუერო (70. რეიესი).

**სარაგოსა (4-2-3-1):** კარისო - პულიდო, აიალა, პავონი, პარედესი - გაბი (55. ევერტონი), პონსიო - ხ. ლოპესი, აგილარი (66. პენანტი), ბაბიჩი (35. ლაფიტა) - არისმენდი.

**გოლები:** 1:0 ხურადო (2), 2:0 ა. ლოპესი (65), 2:1 ევერტონი (72-პენ)

*მე-20 წუთზე ბაბიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 6-3; **კუთხური-** 6-12; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 2-7; **კარში დარტყმა:** 16-14 (6-4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 30 000

### ხერესი-მალაგა 1:1

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - ფრანსისი, პრიეტო, აიტამი, მენდოსა - ბერგანტინიოსი, კეიტა (46. ვიკერა) - მომო (56. კალვო), აბელი, არმენტეროსი (88. ანტონიტო) - ბერმეხო.

**მალაგა (4-4-1-1):** მუნუა - გამესი, გუარდადო, ველინგტონი, მ. ტორესი - ვალდო (52. ედინიო), ხ. ტორესი (59. რამოსი), ხუანიტო, დუდა - ბაჰა (63. ბენაშური) - ობინა.

**გოლები:** 1:0 არმენტეროსი (46), 1:1 ობინა (83)

**გაძევება:** ობინა (90)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური-** 4-8; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 6-18 (3-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 17 430

### ვილიარეალი-ესპანიოლი 0:0

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ვენტა, გონსალო, გოდინი, კაპდევილია - კასორლა, სენა, ეგურენი (51. კანი), პირესი (65. პერეირა) - როსი, ნილმარი (68. ლორენტე).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - რონკალია, პარეხა, ფორლინი, დ. გარსია - მოისესი, ნაკამურა (18. პილუდი) - კორომინასი (46. ბაენა), ალონსო, ლ. გარსია - კალეხონი (82. ხ. ლოპესი).

**გაძევება:** ფორლინი (14)

**გაფრთხილება:** 33; **კუთხური-** 13-1; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 15-5 (6-0); **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 16 000

### ვალიადოლიდი-ბილბაო 2:2

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაკობო - პ. ლოპესი, პრიეტო, ნივალდო, ბარაგანი (50. მარკოსი) - ბორხა (52. მანუჩო), რუბიო - სისი (84. ბარახა), კანობიო, სესმა - დ. კოშტა.

**ბილბაო (4-4-1-1):** ირაისოსი - ირაოლა, უსტარისი, ოსიო, კოიკილი - სუსაეტა, მარტინესი, გურპეგი, იესტე (25. ეჩეიტა) - ტოკერო (61. მუნიაინი) - ლორენტე (13. ეჩებერია).

**გოლები:** 0:1 სუსაეტა (10) 1:1 კოშტა (60), 2:1 ნივალდო (75), 2:2 მუნიაინი (77)

**გაძევება:** უსტარიცი (22), მარკოსი (75) ნივალდო (79)

**გაფრთხილება:** 7-4; **კუთხური:** 14-5; **ჯარიმა:** 13-9; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 19-9 (4-3); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 19 800

### სპორტინგი-მალიორკა 4:1

**სპორტინგი (4-2-3-1):** პაბლო - ლორა, გრეგორი, ხერარდი, კანელია - მიჩელი, რივერა - ლას კუევასი (75. კარმელო), მორანი, კასტრო (83. მატეო) - ბარალი (66. ბილიჩი).

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ხოსემი, ნუნიესი, რამისი, აიოსე - მარტი, სუარესი (73. ალვარესი), ვალერო, ტუნი (70. პაზოლანო) - ვიქტორი (65. ვებო), ადურისი.

**გოლები:** 0:1 მარტი (12), 1:1 მორანი (58), 2:1 ლას კუევასი (59), 3:1 ლას კუევასი (68), 4:1 ბილიჩი (82)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 8-14; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 19-8 (8-2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 20 000

### ხეტაფე-ოსასუნა 2:1

**ხეტაფე (4-3-3):** უსტარი - მ. ტორესი, დიასი, მარიო, მანე - კასკერო (60. ბოატენგი), სელესტინი, გონსალესი (69. მანუ) - ლეონი (80. კონტრა), სოლდადო, ალბინი.

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - ოიერი, ფლანო, ხოსეჩო, მონრეალი - ხუანფრანი (78. მასუდი), პუნიალი (86. გალანი), ნეკუნამი (79. რუპერი), კამუნიასი - პანდიანი, არანდა.

**გოლები:** 1:0 დიასი (55), 1:1 არანდა (62), 2:1 ლეონი (76)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 14-13 (7-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 11 800

### რასინგი-ვალენსია 0:1

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - პინილიოსი (83. გეიხო), მორისი, ტორეხონი, კრისტიანი - არანა, კოლსა, ლასენი, სერანო - ჩიტე, მუნიტისი (64. ლ. გარსია).

**ვალენსია (4-4-2):** სესარი - ბრუნო, დეალბერტი, ნავარო, მატიო - ხოაკინი, მარჩენა, ბანეგა (70. ალბელდა), მატა - მიკუ (51. სილვა), ვილია (57. ჟიგიჩი).

**გოლი:** 0:1 ჟიგიჩი (60)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 20-19; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 18-7 (6-2); **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 16 000

### სევილია-რეალი 2:1

**სევილია (4-4-2):** პალოპი - კონკო, სკილაჩი (23. ნავარო), დრაგუტინოვიჩი, ადრიანო - ნავასი, რენატო, ზოკორა, პეროტი (57. კაპელი) - ნეგრედო (64. კანუტე), ლუიშ ფაბიანო.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - რამოსი, პეპე, ალბიოლი, მარსელო - ჩაბი ალონსო, მ. დიარა (72. ვანდერ ვაარტი) - კაკა, რაული, გუტი (80. გრანერო) - ბენზემა (52. იგუაინი).

**გოლები:** 1:0 ნავასი (33), 1:1 პეპე (49), 2:1 რენატო (66)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 15-6; **ჯარიმა:** 20-9; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 24-17 (10-3); **ბურთის ფლობა:** 43%-58%

**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 17-3 | 18 |
| 2. რეალი | 6 | 5 | 0 | 1 | 17-4 | 15 |
| 3. სევილია | 6 | 5 | 0 | 1 | 14-4 | 15 |
| 4. დეპორტივო | 6 | 4 | 0 | 2 | 10-6 | 12 |
| 5. ვალენსია | 6 | 3 | 2 | 1 | 12-9 | 11 |
| 6. მალიორკა | 6 | 3 | 1 | 2 | 11-7 | 10 |
| 7. ბილბაო | 6 | 3 | 1 | 2 | 7-9 | 10 |
| 8. ხეტაფე | 6 | 3 | 0 | 3 | 9-9 | 9 |
| 9. სპორტინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 10. ესპანიოლი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-7 | 8 |
| 11. სარაგოსა | 6 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 7 |
| 12. ოსასუნა | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| 13. ალმერია | 6 | 1 | 3 | 2 | 5-6 | 6 |
| 14. ატლეტიკო | 6 | 1 | 3 | 2 | 9-14 | 6 |
| 15. ტენერიფე | 6 | 2 | 0 | 4 | 3-10 | 6 |
| 16. ვალიადოლიდი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-12 | 5 |
| 17. რასინგი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-13 | 5 |
| 18. მალაგა | 6 | 1 | 1 | 4 | 6-8 | 4 |
| 19. ვილიარეალი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-8 | 3 |
| 20. ხერესი | 6 | 0 | 2 | 4 | 1-12 | 2 |

**ბომბარდირები:** 6 - ვილია (ვალენსია); 5 - მესი (ბარსელონა), იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა), რონალდო (რეალი); 3 - აგილარი (სარაგოსა), ბენზემა (რეალი), სოლდადო (ხეტაფე), ადურისი (მალიორკა), პანდიანი (ოსასუნა).

### სეგუნდა დივიზიონი

### VI ტური

**უნიონი-კასტელონი** 3:1

**გოლები:** 0:1 ულოა (13), 1:1 აბასოლო (43), 2:1 ბრიტი (69), 3:1 გოიკოეჩეა (90).

**გაძევება:** სანჩესი (36. კასტელონი)

**კარტახენა-ვილიარეალი B** 0:0

**ლევანტე-მურსია** 2:2

**გოლები:** 1:0 სისკო (3), 2:0 გუერა (30), 2:1 ჩანდო (74), 2:2 აკინო (77)

**გაძევება:** პალარდო (74. ლევანტე)

**უესკა-ხირონა** 2:2

**გოლები:** 1:0 რეინალდო (4), 1:1 რატონი (68), 1:2 სარმიენტო (78), 2:2 ვეგარი (90-პენ)

**გაძევება:** პერაგონი (45. ხირონა)

**უელვა-სელტა** 1:2

**გოლები:** 1:0 ანტონი (23), 1:1 ასპასი (51), 1:2 ტრაშორასი (69-პენ)

**ერკულესი-ელჩე** 3:0

**გოლები:** 1:0 დელიბაშიჩი (22), 2:0 დელიბაშიჩი (44), 3:0 დელიბაშიჩი (78)

**გაძევება:** დელიბაშიჩი (84. ერკულესი)

**რაიო ვალეკანო-ბეტისი** 2:2

**გოლები:** 0:1 ხუანდე (8), 1:1 კასტრო (11), 1:2 რივასი (18), 2:2 პიტი (36)

**სალამანკა-ხიმნასტიკი** 1:0

**გოლი:** 1:0 დესპოტოვიჩი (27)

**ნუმანსია-რეალ სოსიედადი** 1:3

**გოლები:** 0:1 სურუტუსა (7), 0:2 პრიეტო (26), 1:2 გორირია (52), 1:3 პრიეტო (53)

**კორდობა-ლას პალმასი** 1:0

**გოლი:** 1:0 დიასი (27)

**გაძევება:** ლოპესი (83. კორდობა)

**ალბასეტე-კადისი** 0:1

**გოლი:** 0:1 ნანო (32)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-3 | 13 |
| 2. სოსიედადი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-5 | 12 |
| 3. კარტახენა | 6 | 3 | 3 | 0 | 6-2 | 12 |
| 4. ბეტისი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-6 | 11 |
| 5. ვალეკანო | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| 6. ლევანტე | 6 | 2 | 4 | 0 | 9-7 | 10 |
| 7. ნუმანსია | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| 8. კორდობა | 6 | 3 | 1 | 2 | 5-7 | 10 |
| 9. სალამანკა | 6 | 2 | 3 | 1 | 7-6 | 9 |
| 10. უელვა | 6 | 3 | 0 | 3 | 6-7 | 9 |
| 11. ლას პალმასი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-4 | 8 |
| 12. კადისი | 6 | 2 | 2 | 2 | 3-3 | 8 |
| 13. ალბასეტე | 6 | 2 | 1 | 3 | 9-12 | 7 |
| 14. ხიმნასტიკი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-5 | 7 |
| 15. უნიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-6 | 7 |
| 16. უესკა | 6 | 1 | 3 | 2 | 6-7 | 6 |
| 17. ვილიარეალი B | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| 18. მურსია | 6 | 0 | 5 | 1 | 6-7 | 5 |
| 19. სელტა | 6 | 1 | 2 | 3 | 5-7 | 5 |
| 20. ხირონა | 6 | 0 | 4 | 2 | 6-9 | 4 |
| 21. ელჩე | 6 | 1 | 1 | 4 | 7-13 | 4 |
| 22. კასტელონი | 6 | 0 | 1 | 5 | 6-15 | 1 |

# როცა მწვრთნელი მარცხითაც ბედნიერია...

გახსოვთ შარშანდელი „ინტერი"-„უდინეზე"? ჰოდა, ისიც გეხსომებათ, 94-ე წუთზე რომ მოხდა - **კრუსის** (მაშინ „ინტერში" იყო) გოლმა **ჟოზე მოურინიოს** გუნდს ურთულესი გამარჯვება მოუტანა. ასე იყო შაბათსაც - თითქმის იგივენი და **სნეიდერი.** ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა 93-ე წუთზე ბურთი შორეულ კუთხეში შეაგორა და ენაგადმოგდებული მოურინიო პატარა ბავშვივით ახტუნავა...

მარცხი გენუაში, ფრე თათრეთში... გასკდა გული პირდაპირ! - ამოიხვნეშებდა ალბათ „ინტერის" მავანი ქომაგი: ერთი გენახათ ჯერ ეკლებზე მჯდომი **მასიმო მორატი,** სნეიდერის გოლის მერე კი - გალიმებული, წელში გამართული... რა თქმა უნდა, იმ მომენტში მას აღარც ახსოვდა 92 წუთი გამარჯვების გოლამდე, არ ახსოვდა, რომ მისმა საყვარელმა „ინტერმა" უკბილოდ ითამაშა და 88-ე წუთზე მარცხსაც ჩახედა თვალებში...

ჰოდა, იმას ვამბობდით, რომ გუნდები შაბათამდე სხვადასხვა განწყობით მივიდნენ. თუკი „ინტერი" ბოლო ხანებში საკუთარ თავს არ ჰგავდა, უხეირო სტარტის შემდეგ „უდინეზემ" მკვეთრად გამოასწორა თამაშიცა და შედეგებიც - ოთხმატჩიანი დაუმარცხებელი სერია ზედიზედ 2 გამარჯვებით (მათ შორის, ერთი „მილანთან", თუმცა ამ გუნდთან მოგება დღეს დიდი პრობლემა აღარ არის). ცხადია, **პასკუალე მარინოს** ბიჭები „სან სიროზე" უშანსოდ არ იყვნენ...

მატჩი როგორ ტემპშიც და რა სცენარითაც დაიწყო, ისევე წარიმართა. „ინტერს" უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ეგ იყო, საგოლე მომენტებს ვერ ქმნიდა. ბედად, ჩემპიონის პირველივე სერიოზული მცდელობა შედეგიანი აღმოჩნდა - **ეტოომ** მარჯვნიდან გაატანა ბურთი საჯარიმოში შეჭრილ **სტანკოვიჩს,** ვინაც შორეულ მაღალ კუთხეში ზუსტად დაარტყა - 1:0.

სიხარული მალევე უსიამოვნებით შეიცვალა - მოურინიო იძულებული გახდა, ტრავმირებული **მილიტო ბალოტელით** შეეცვალა. ამასობაში, ანგარიშიც გათანაბრდა. **დი ნატალემ ინლერისგან** მიიღო გადაცემა, თვალი თვალში გაუყარა **ჟულიო სეზარს** და მახვილი კუთხიდან ზუსტად დაარტყა - 1:1.

სნეიდერის გოლამდე კი მატჩის კულმინაციად კინაღამ იმავე დი ნატალეს „ოქროს" შანსი იქცა. სერია A-ს ბომბარდირი კიდევ ერთხელ შეატოვეს ჟულიო სეზარს, მაგრამ ამჯერად მეკარემ იმარჯვა. თუმცა დაკარგული შანსი უფრო დი ნატალეს კისერზე უნდა იყოს - მას შეეძლო, ბურთისთვის ოდნავ ძლიერად ამოეკრა და... ამ მომენტზე თქვა სწორედ ფრიულელთა მწვრთნელმა გულდაწყვეტით - „ტოტოს" ყველა შანსის გამოყენებას ხომ ვერ მოვთხოვთო? ეგ კი არა, მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგის გოლებით გვიდგას სულიო - არა, ეს აღარ დაუყოლებია, მაგრამ ეგებ გაიფიქრა და მართალიც იქნებოდა: „უდინეზეს" 11 გოლიდან 9 - დი ნატალესია. და ბარემ აქვე, ერთი საინტერესო დეტალიც: ის „ინტერის" კარში გოლების გატანას ნაჩვევი არ არის. ბოლოს, დი ნატალემ „ნერაძურის" გაუტანა 2002 წელს, როცა „ემპოლის" ფორვარდი იყო, ხოლო მის გუნდი **ექტორ კუპერის** „ინტერთან" 4:3 დამარცხდა...

მატჩის შემდეგ მარინომ კრუსის შარშანდელი გოლიც გაიხსენა და ბოლოს დასძინა: *„სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ მოხდა ის, რაც შარშან - ბოლო წამებზე წავაგეთ. არადა, დღეს მშვენივრად ვითამაშეთ და მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ... რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, დღეს უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე „ნაპოლისთან" ფრეს შემდეგ ვიყავი".*

მოურინიომ მაინც გაჰკრა კბილი არბიტრ **მაურო ბერგონცის,** რომელსაც შეახსენა, რომ ბალოტელის წაქცევისთვის პენალტის დანიშვნა მართებდა. *„თუმცა საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ მსაჯობით (აბა, ვერ მოეგო „ინტერს"... - ავტ), რაც შეეხება მატჩს... ჩემი აზრით, „ინტერმა" დღეს კარგად ითამაშა მეტად ძლიერი „უდინეზეს" წინააღმდეგ, რომელსაც სნეიდერის გოლამდე შეეძლო გატანა... ეს იყო უმნიშვნელოვანესი გამარჯვება „სამპდორიასთან" წაგებისა და ყაზანში ნათამაშები ფრეს ფონზე".*

ამ მატჩამდე „ბარიმ" და „კატანიამ" „სან ნიკოლაზე" უგოლოდ იბურთავეს. ჰო, მართლა - სიცილიური „წარლვნის" (პარასკევს კუნძულზე დიდი წყალდიდობა იყო) მსხვერპლთ პუბლიკამ თამაშის დაწყების წინ წუთიერი დუმილით სცა პატივი...

„ბარი" უდავოდ სიმპათიური გუნდია. ხუმრობა საქმე ხომ არ არის - „მილანსა" და „ინტერს" „სან სიროზე" თითო ქულა დასცინცლა, მაგრამ... საკუთარ მოედანზე ვერაფერს გახდა „კატანიასთან", რომელსაც ჯერ მოგება არ აქვს. სწორედ ამ მოუგებელი სერიის გამო „სპილოების" მწვრთნელი **ჯანლუკა ატცორი** გადაყენების პირას იყო. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ ბოლო ნადავლმა მისი მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვალა. რაღაც მომენტები სტუმრებსაც ჰქონდათ, მაგრამ არა ისეთი, როგორიც მასპინძლებს - პირველ ტაიმში ბელარუსმა **კუტუზოვმა,** ხოლო თამაშის მიწურულს **მეჯორინიმ** და **ალვარესმა** ასპროცენტიანი შანსები გაანიავეს.

ლიდერმა „სამპდორიამ" შინ პირველი ქულებიც დაკარგა და მოწინავე ადგილიც. **ლუიჯი დელ ნერის** შეგირდებმა „პარმას" დამარცხება ვერ მოახერხეს. ვერ ვიტყვით, რომ გენუელებმა სტატუსის დარი თამაში აჩვენეს. ერთი მხრივ, ეს საბოლოო შედეგითაც ჩანს, რეალურად კი წაგებისგანაც არ იყვნენ შორს - მატჩის ბოლოს პარმელთა ვეტერანმა ფორვარდმა **ამორუზომ მარიგას** პასი მკერდით ჩამოილო და თითქოს **კასტელაცის** კარიც უნდა დაელაშქრა, მაგრამ გენუელთა კიპერმა ბურთი ხაზზე გააქვავა და 1:1 გადაარჩინა.

როგორც იტალიური პრესა წერდა, ბერგამოში წაგება „მილანის" მწვრთნელ **ლეონარდოს** ძვირად დაუჯდებოდა. და გაგიკვირდებოდათ, ასე რომ მომხდარიყო? ან „როსონერის" მარცხი იქნებოდა სენსაცია? არავითარ შემთხვევაში! რომ არა იგივე „ატალანტა" და „ლივორნო", **პატოს, რონალდინიოს, ფილიპო ინძაგისა** და **ჰუნტელაარის** პატრონ „მილანს" სერია A-ში ყველაზე ცოტა გოლი ექნებოდა გატანილი...

10-კაციანი „ატალანტა" მატჩის უმეტეს ნაწილში უპირატესობას ფლობდა და უგებდა კიდეც „მილანს", რომლისგანაც სახელიღაა დარჩენილი. ლეონარდო მეორე ტაიმში შესულმა **რონალდინიომ** გადაარჩინა... მაგრამ გადაარჩინა კი? საგულისხმოა, რომ მატჩის შემდეგ მთავარი მწვრთნელის ნაცვლად პრესკონფერენციაზე გამოცხადდა მისი ასისტენტი **მაურო ტასოტი,** რომელმაც თამაში ლაკონურად შეაჯამა - ამ ფრეთი ბედნიერები როდი ვართო...

„ჯენოამ", რომელსაც ვგონებთ ტყუილად გაუძევეს **მესტო** მეორე ტაიმის დასაწყისში, „ბოლონიას" 100-წლოვანი იუბილე ჩაუშხამა - 3:1. „რომამ" **ტოტის** დუბლის წყალობით „ნაპოლის" დამარცხება შეძლო. ნამატჩევს ნეაპოლელთა პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** კატეგორიულად უარყო ხმები, თითქოს ეს მარცხი **რობერტო დონადონის** გადაყენებას მოასწავებს. ისე, იტალიის ნაკრების ყოფილ თავკაცს მოხსნამდე ბევრი რომ არ უკლია, უდავოა. ტოტი კი კინაღამ დუბლს გადაჰყვა - მეორე გოლის მომენტში მუხლი იტკინა და ველარ იზეიმა. თუმცა ზეიმს ვინ ჩივის, კაპიტანს სამკვირიანი დასვენება აქვს გამოწერილი. სხვათა შორის, რომაელებს პირველ ტაიმში მეკარე **ჟულიო სერჟიო** და მცველი **მოტაც** დაუშავდათ. ბედი არ გინდა?!

„ფიორენტინას" გოლი „წაართვეს" „ლაციოსთან" საშინაო მატჩში, რის გამოც **ჩეზარე პრანდელიმ** არბიტრი და მისი თანაშემწე მიწასთან გაასწორა - **ჯილარდინოს** დარტყმულმა აშკარად გადაკვეთა კარის ხაზი, მაგრამ...

ტურის ბოლო მატჩში „პალერმომ" 2:0 მოუგო „იუვენტუსს" მთელი ხუთი საფეხურით დაწინაურდა. ტურინელებისთვის ეს პირველი მარცხი იყო ამ სეზონში. რაც შეეხება **ლევან მჭედლიძეს,** ის ბოლომდე სკამზე დარჩა, არადა, შარშან სიცილიელებმა სწორედ მისი გოლით დაამარცხეს „ბებერი ქალბატონი", თანაც სტუმრად. ახლა კი ეს უფრო მარტივად მოხერხდა - პირველი ტაიმის სულ რაღაც ხუთწუთიან მონაკვეთში...

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

### მომდევნო ტური

17 ოქტომბერი. იუვენტუსი-ფიორენტინა, ჯენოა-ინტერი. 18 ოქტომბერი. პარმა-სიენა, კატანია-კალიარი, ლაციო-სამპდორია, ნაპოლი-ბოლონია, კიევო-ბარი, ლივორნო-პალერმო, უდინეზე-ატალანტა, მილანი-რომა.



პალერმომ იუვენტუსს პირველი მარცხი აგემა

### ბარი-კატანია 0:0

**ბარი:** ჟილე 6 - ა. მაზიელო 6, რანოკია 7, ბონუჩი 6, ს. მაზიელო 6 - ალვარესი 6.5, დონატი 6.5, გაცი 6, რივასი 6 (90. ალმირონი) - კუტუზოვი 5.5 (59. მეჯორინი 6.5), ბარეტო 5 (70. გრეკო 5).

**კატანია:** ანდუხარი 6.5 - ბელუში 5.5, სილვესტრე 6, სპოლი 6.5, მარკეზე 5 - ლამა 6.5 (67. პეშე 5.5), ბიაჯანტი 6, იცკო 6 - რიკიუტი 6 (81. პლასმატი), მასკარა 5 - მორიმოტო 5 (86. აუგუსტინი).

**გაფრთხილება:** 0-5; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 13-23; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 6-10 (2-2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 17 000

### ინტერი-უდინეზე 2:1

**ინტერი:** ჟულიო სეზარი 6 - ხ. ძანეტი 6, ლუსიო 6 (87. სანტონი), სამუელი 6, კივუ 5 - კამბიასო 6.5, სტანკოვიჩი 7, მუნტარი 5 (71. სუასო) - სნეიდერი 7 - მილიტო 6 (24. ბალოტელი 6.5), ეტოო 6.5.

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი 6 - ბაშტა 7 (69. საპატა 5), კოდა 6.5, დომიცი 5.5, ლუკოვიჩი 5.5 - დ'აგოსტინო 6, ინლერი 6.5, სანჩესი 6.5, პეპე 6 (89. პასკუალე) - ფლორო ფლორესი 6.5 (74. კორადი), დი ნატალე 7.

**გოლები:** 1:0 სტანკოვიჩი (22), 1:1 დი ნატალე (27), 2:1 სნეიდერი (90)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 22-13 (7-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 50 000

### სამპდორია-პარმა 1:1

**სამპდორია:** კასტელაცი 7 - სტანკევიჩუსი 6.5, გასტალდელო 6, ლუკინი 6, ციგლერი 6 - მანინი 6.5, პალომბო 6, პოლი 6.5 (80. პოცი), ბელუჩი 5.5 (46. პადალინო 6) - კასანო 6, პაცინი 7.

**პარმა:** მირანტე 6 - დ. ძენონი 5.5, ძაკარდო 6, პანუჩი 6.5, ა. ლუკარელი 6.5, კასტელინი 6.5 - მორონე 6, მარიგა 6.5, გალოპა 7 - ბიაბიანი 5.5, ამორუზო 6.5 (87. პალოსკი).

**გოლები:** 1:0 პაცინი (23), 1:1 გალოპა (30)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 10-25; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 10-3 (3-1); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 26 000

### ფიორენტინა-ლაციო 0:0

**ფიორენტინა:** ს. ფრეი 6.5 - კომოტო 5.5, გამბერინი 7, კროლდრუპი 6.5, გობი 5.5 - კ. ძანეტი 6, მონტოლივო 6.5 - მარკიონი 5 (75. იორგენსენი 6), იოვეტიჩი 6.5, ვარგასი 7 - მუტუ 6.5 (65. ჯილარდინო 6).

**ლაციო:** მუსლერა 6.5 - ლიხტშტაინერი 6.5, კრიბარი 7.5, რადუ 7, დელ ნერო 7 (84. ლუჩანი) - ფოჯა 6 (75. მეგნი), ბარონიო 7, მათუსალემი 5.5, მაური 5.5 - როკი 5 (65. დაბო 6), სარატე 5.5.

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 20-12; **თამაშგარე:** 2-9; **კარში დარტყმა:** 24-14 (10-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 26 436

### ბოლონია-ჯენოა 1:3

**ბოლონია:** ვივიანო 6 - რაჯი 5, პორტანოვა 4.5, ბრიტოსი 5, ლანა 5.5 - ვიჯანი 5 (53. ოსვალდო 5), მინგაცინი 5.5 (69. ვალიანი 5), გუანა 5.5 (73. მუდინგაი 4.5), ჯაკ. ტედესკო 6 - სალაიეტა 6, დი ვაიო 6.

**ჯენოა:** ამელია 6 - ესპოზიტო 6.5, მორეტი 6.5, ბოკეტი 6 - მესტო 5, ხარჯა 6.5, მილანეტო 7, მოდესტო 6.5 - პალადინო 6 (49. პალასიო 6), ფლოკარი 7 (60. საპატერი 6.5), სკული 6.5 (69. ტომოვიჩი 5.5).

**გოლები:** 0:1 ხარჯა (11-პენ), 0:2 სკული (35), 1:2 დი ვაიო (85-პენ), 1:3 საპატერი (90)

**გაძევება:** მესტო (52. ჯენოა)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 18-20; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 14-7 (5-5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 23 000

### ატალანტა-მილანი 1:1

**ატალანტა:** კონსილი 7 - დარიჩი 6, თ. მანფრედინი 6, პელეგრინო 6, ბელინი 6 - პადოინი 5.5, გუარენტე 6, რადოვანოვიჩი 5, ხ. ვალდესი 5 (74. პელუზო 6) - კ. დონი 6.5 (61. კაზერტა 6), ტირიბოკი 6.5 (56. ჩერავოლო 5.5).

**მილანი:** სტორარი 6 - აბატე 6, ნესტა 6.5, ფავალი 6, ძამბროტა 5.5 - გატუზო 5 (76. ამბროზინი 6), პირლო 5.5, ფლამინი 5 (46. რონალდინიო 6.5), ზეედორფი 5.5 - პატო 5, ჰუნტელაარი 5 (58. ფ. ინძაგი 5).

**გოლები:** 1:0 ტირიბოკი (21), 1:1 რონალდინიო (83)

**გაძევება:** რადოვანოვიჩი (40. ატალანტა)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 2-9; **კარში დარტყმა:** 7-12 (1-5); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 25 000

### რომა-ნაპოლი 2:1

**რომა:** ჟულიო სერჟიო (22. ლობონტი 6) - მოტა (10. კასეტი 6), ანდრეოლი 6.5, ბურდისო 7, რიისე 6 - ჩერჩი 5 (46. ფატი 7), დე როსი 6.5, პისარო 6, პეროტა 6.5 - ვუჩინიჩი 6.5, ტოტი 7.5.

**ნაპოლი:** დე სანქტისი 6 - პ. კანავარო 6 (68. ჰოფერი 5.5), რინაუდო 6, კონტინი 5.5 - მაჯო 5.5, ჰამშიკი 6, ჩიგარინი 5 (87. დენისი), გარგანო 6, დატოლო 6.5 (81. სუნიგა) - კვალიარელა 5, ლავეცი 6.5.

**გოლები:** 0:1 ლავეცი (25), 1:1 ტოტი (37), 2:1 ტოტი (63)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 17-20; **თამაშგარე:** 1-8; **კარში დარტყმა:** 15-9 (3-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 27 119

### კალიარი-კიევო 1:2

**კალიარი:** მარკეტი 5.5 - მარძორატი 6.5, კანინი 6, ლოპესი 6, აგოსტინი 6 - დესენა 5 (87. ლარივეი), კონტი 5.5, ბიონდინი 6.5 (58. ლაძარი 5) - კოსუ 6 - ჟედა 5, მატრი 6.5 (74. ნენე).

**კიევო:** სორენტინო 6.5 - ნ. ფრეი 6, მორერო 6, იეპესი 6.5, მანტოვანი 6 (82. არიატი) - ლუსიანო 6.5 (80. ბენტივოლიო), იორი 6, მარკოლინი 7.5 - პინცი 6.5 - პელისიერი 6.5, ბოგდანი 5 (64. გრანოკე 6).

**გოლები:** 1:0 მატრი (38), 1:1 მარკოლინი (41), 1:2 მარკოლინი (70)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 5-5 (2-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 12 000

### სიენა-ლივორნო 0:0

**სიენა:** კურჩი 6 - როზი 6, ტერცი 6.5, ბრანდაუ 6.5, დელ გროსო 6.5 (75. გაროფალო) - ვერგასოლა 6 (58. ეკდალი 5.5), კოდრეა 5.5, ფინი 5.5 - იაიალო 5 (54. გეზალი 5.5) - კალაიო 5.5, მაკარონე 5.5.

**ლივორნო:** ლე ლუჩის 7 - რაიმონდი 6.5, რივასი 7, კნეჟევიჩი 5.5 (46. მილიონიკო 6), პიერი 6 - პულცეტი 6, მორო 5.5, მოცარტი (19. მარკინი 5), ვიტალე 5.5 - ტავანო 6.5 (76. დინიზი 6.5), კ. ლუკარელი 4.5.

*39-ე წუთზე მაკარონემ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაძევება:** მარკინი (38. სიენა)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 23-10; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 22-5 (6-1); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 9 000

### პალერმო-იუვენტუსი 2:0

**პალერმო:** სირიგუ 6 - ბოვო 6.5, კიაერი 7, მილიაჩო 6.5 - კასანი 6.5, ბრეშანო 6.5 (74. ნოჩერინო 6), სიმპლისიუ 7, ბალცარეტი 6.5 - პასტორე 7 (85. ბუდანი) - კავანი 7.5 (77. გოიანი), მიკოლი 8.

**იუვენტუსი:** ბუფონი 6.5 - ზებინა 5.5 (76. გრიგერა), ლეგროტალიე 5, კიელინი 6, გროსო 5.5 - ფელიპე მელო 5, პოულსენი 5 - კამორანეზი 6.5 (65. ტრეზეგე 5.5), დიეგო 5 (63. დე ჩელიე 6) - იაკუნტა 4.5, ამაური 5.

**გოლები:** 1:0 კავანი (37), 2:0 სიმპლისიუ (42)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 24-16 (8-0); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 32 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-5 | 16 |
| 2. სამპდორია | 7 | 5 | 1 | 1 | 12-6 | 16 |
| 3. იუვენტუსი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| 4. ფიორენტინა | 7 | 4 | 2 | 1 | 7-4 | 14 |
| 5. ჯენოა | 7 | 4 | 1 | 2 | 14-11 | 13 |
| 6. კიევო | 7 | 3 | 2 | 2 | 9-6 | 11 |
| 7. უდინეზე | 7 | 3 | 2 | 2 | 11-9 | 11 |
| 8. რომა | 7 | 3 | 2 | 2 | 14-13 | 11 |
| 9. პარმა | 7 | 3 | 2 | 2 | 8-9 | 11 |
| 10. პალერმო | 7 | 2 | 3 | 2 | 9-8 | 9 |
| 11. ლაციო | 7 | 2 | 3 | 2 | 6-7 | 9 |
| 12. მილანი | 7 | 2 | 3 | 2 | 4-7 | 9 |
| 13. ბარი | 7 | 1 | 5 | 1 | 6-4 | 8 |
| 14. კალიარი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-8 | 7 |
| 15. ნაპოლი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-13 | 7 |
| 16. ბოლონია | 7 | 1 | 3 | 3 | 5-8 | 6 |
| 17. სიენა | 7 | 1 | 2 | 4 | 7-11 | 5 |
| 18. კატანია | 7 | 0 | 4 | 3 | 6-10 | 4 |
| 19. ატალანტა | 7 | 0 | 3 | 4 | 3-9 | 3 |
| 20. ლივორნო | 7 | 0 | 3 | 4 | 1-8 | 3 |

ბომბარდირები: 9 - დი ნატალე (უდინეზე); 6 - ტოტი (რომა); 5 - ჰამშიკი (ნაპოლი), მილიტო (ინტერი); 4 - პაცინი (სამპდორია), პელისიერი (კიევო).

## სერია B

### VIII ტური

**ასკოლი-სასუოლო 1:5**

**გოლები:** 0:1 პოლენგი (2), 1:1 ბერნაჩი (9), 1:2 ნოსელი (22), 1:3 ნოსელი (42), 1:4 ნოსელი (50), 1:5 მარტინეტი (64)

**ჩეზენა-სალერნიტანა 3:0**

**გოლები:** 1:0 სკელოტო (7), 2:0 სკელოტო (58), 3:0 მატუტე (77)

**ტრიესტინა-ალბინოლეფე 2:3**

**გოლები:** 0:1 სალა (11-პენ), 1:1 სალა (21-საკ. კარში), 1:2 რუოპოლო (33), 2:2 გოდეასი (51), 2:3 ჩელინი (53)

**გაძევება:** ტესტინი (83. ტრიესტინა)

**მოდენა-რეჯინა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბრუნო (90)

**ჩიტადელა-ლეჩე 3:0**

**გოლები:** 1:0 ოლივეირა (23), 2:0 არდემანი (63), 3:0 პეტინარი (90)

**პიაჩენცა-ფროზინონე 0:2**

**გოლები:** 0:1 კალილი (50), 0:2 მაცეო (72-პენ)

**ბრეშა-ვიჩენცა 0:1**

**გოლი:** 0:1 ზგრინია (52)

**კროტონე-პადოვა 2:1**

**გოლები:** 0:1 დი ნარდო (8), 1:1 ბონვისუტო (18), 2:1 ბონვისუტო (90)

**მანტოვა-გროსეტო 2:0**

**გოლები:** 1:0 კარიდი (49-პენ), 2:0 ნასი (62)

**გალიპოლი-ემპოლი 0:0**

**ტორინო-ანკონა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფროზინონე | 8 | 5 | 2 | 1 | 14-8 | 17 |
| 2. ჩეზენა | 8 | 4 | 3 | 1 | 12-4 | 15 |
| 3. ტორინო | 7 | 4 | 1 | 2 | 13-5 | 13 |
| 4. სასუოლო | 8 | 3 | 4 | 1 | 14-9 | 13 |
| 5. ბრეშა | 8 | 4 | 1 | 3 | 9-7 | 13 |
| 6. ასკოლი | 8 | 3 | 4 | 1 | 11-11 | 13 |
| 7. ემპოლი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-11 | 13 |
| 8. ანკონა | 7 | 4 | 0 | 3 | 10-7 | 12 |
| 9. ჩიტადელა | 8 | 3 | 2 | 3 | 12-10 | 11 |
| 10. ვიჩენცა | 8 | 2 | 5 | 1 | 11-9 | 11 |
| 11. პადოვა | 8 | 3 | 4 | 1 | 8-6 | 11 |
| 12. ლეჩე | 8 | 3 | 2 | 3 | 12-11 | 11 |
| 13. მოდენა | 8 | 3 | 1 | 4 | 7-9 | 10 |
| 14. გალიპოლი | 8 | 1 | 6 | 1 | 7-8 | 9 |
| 15. გროსეტო | 8 | 2 | 3 | 3 | 8-11 | 9 |
| 16. რეჯინა | 8 | 2 | 3 | 3 | 7-10 | 9 |
| 17. ალბინოლეფე | 8 | 2 | 2 | 4 | 11-14 | 8 |
| 18. კროტონე | 8 | 1 | 5 | 2 | 4-7 | 8 |
| 19. ტრიესტინა | 8 | 2 | 2 | 4 | 8-13 | 8 |
| 20. პიაჩენცა | 8 | 2 | 2 | 4 | 6-11 | 8 |
| 21. მანტოვა | 8 | 1 | 3 | 4 | 8-10 | 6 |
| 22. სალერნიტანა | 8 | 0 | 2 | 6 | 2-14 | 2 |

ბომბარდირები: 6 - რ. ბიანკი (ტორინო); 5 - მასტრონუნციო (ანკონა), ნასი (მანტოვა), ზგრინია (ვიჩენცა); 4 - ჩელინი (ალბინოლეფე), კოლაკონე (ანკონა), დი ნარდო (პადოვა), იუნკო (ჩიტადელა).

## ლეგა პრო 1/A

### VII ტური

ალესანდრია-კომო 0:0, არეცო-ლეკო 1:0, ლუმეცანე-კრემონეზე 0:0, მონცა-ფოლინიო 2:1, პერგოკრემა-ფილინე 1:0, პერუჯა-ვიარეჯო 1:0, პრო პატრია-ნოვარა 0:1, სორენტო-ბენევენტო 3:2, ვარეზე-პაგანეზე 5:2.

## ლეგა პრო 1/B

### VII ტური

ანდრია-სპალ 0:0, კავეზე-რავენა 1:0, ფოჯა-რეალ მარჩანიზე 1:3, პესკარა-ტერნანა 2:1, პეშინა-ტარანტო 0:2, პოტენცა-ვერონა 0:2, რეჯანა-კოზენცა 5:2, რიმინი-პორტოგრუარო 2:3, ჯულიანოვა-ვირტუს ლანჩანო დღეს.



# დრამა, ფანტაზია და ახალი ლიდერი

**ამჯერად, ბენ ფოსტერს** თავი ყულფში ჰქონდა გაყოფილი, **ანტონ ფერდინანდმა** კი საკუთარ კარში ბოლო წამს გატანილი გოლით უშველაო. მართლაც, მსაჯის დამატებული დროის მესამე წუთი მიდიოდა, როდესაც ფერდინანდმა **პატრის ევრას** დარტყმულ ბურთს „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" სასურველი მიმართულება მისცა - ინგლისის ჩემპიონი „ოლდ ტრეფორდზე" დამარცხებისგან იხსნა. არადა, მანჩესტერელთა კაპიტნის, **რიო ფერდინანდის** სანდერლენდელ ძმას თავი რომ არ გამოედო, ევრას დარტყმული, ვგონებთ, მიზანს სცდებოდა - ასე მოიპოვა ინგლისის ჩემპიონმა ქულა. უფროს ფერდინანდს (რომელსაც არ უთამაშია) გაუხარდა, უმცროსს - ეწყინა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც „იუნაიტედი" გასაჭირს თავს მსაჯის დამატებულ წუთებში აღწევს. ასე იყო მანჩესტერული დერბის დროსაც, როდესაც 3:3-ის შემდეგ, სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა გამარჯვების გოლი „ბოლოწამს" გაიტანა. სტუმართათვის, „ოლდ ტრეფორდზე" ბოლო წუთები ძნელი გასაძლებია.

შაბათს ანგარიში თამაშის დასაწყისში **დარენ ბენტმა** გახსნა. გოლი სტუმართა სწრაფ კონტრშეტევას მოჰყვა, რომლის ბოლო ნაწილში ბენტმა ბურთი მიიღო, მარჯვენა ფეხზე მოირგო და საჯარიმოს მისადგომებიდან თავისგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო. ეს ბენტის მეშვიდე გოლი იყო მიმდინარე სეზონში. ამის შემდეგ, ინგლისის ჩემპიონთა დიდი მონდომების მიუხედავად, პირველ ტაიმში გოლი აღარ გასულა. შესვენების შემდეგ კი **დიმიტარ ბერბატოვმა** მაკრატელა დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. პენალტის ნიშნულთან მდგომს სიღრმიდან პასი **ჯონ ოშიმ** მიაწოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეპიზოდი მასპინძელთა ხანგრძლივი, სწრაფი და დაჟინებული შეტევის ბოლო მონაკვეთი იყო, მაგრამ გამოხდა ხანი და ყველამ დაინახა, რომ „იუნაიტედს" სასწრაფოდ სჭირდება მთავარი მეკარის, **ედვინ ვან დერ სარის** გამოჯანმრთელება - „სანდერლენდის" დინამიკურ კონტრშეტევას ბურთის ჩაკიდება მოჰყვა, ხოლო ზემოხსენებულმა ფოსტერმა ხელებაღმართულმაც კი ვერ აჯობა **კინუაინ ჯონსს**, რომელიც მასზე მაღლა ახტა და თავურით სტუმრები დააწინაურა.

მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „სანდერლენდს" არ გაუმართლა, „ოლდ ტრეფორდიდან" სამი ქულა ვერ წაიღო - ანტონ ფერდინანდმა ხომ თავის კარში შეაგდო გოლი - თუმცა ამ ამბავს წინ სტუმარი გუნდის ერთი ფეხბურთელის გაძევებაც უძღოდა. **კიერან რიჩარდსონი** მსაჯს ერთხელ უკვე ჰყავდა გაფრთხილებული, თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი ბურთისთვის ფეხის გაკვრისთვის მეორედაც გააფრთხილა და გასახდელისკენ გაუშვა.

ასე და ამგვარად, მატჩის მიწურულს „მანჩესტერ იუნაიტედის" მოწინააღმდეგე უმცირესობაში დარჩა, „ოლდ ტრეფორდზე" კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბოლო წუთები, ისედაც მასპინძლისაა... მაგრამ, „პასეანსის" ასე იღბლიანად გაშლის მიუხედავად, სერ ალექსმა მატჩის შემდეგ მაინც მსაჯს დააყარა ქოქოლა:

*„ტემპიდან გამომდინარე, ამ შეხვედრას ფიზიკურად კარგად მომზადებული მსაჯი სჭირდებოდა, ალან უაილის კი მოძრაობა უჭირდა. ხომ უყურებთ, უცხოეთში არბიტრები ყასბის ძალლებივით დარბიან. ინგლისში ასეთი ცოტაა. უაილი ფეხბურთელის გაფრთხილებას ნახევარ წუთს უნდებოდა, ასე ისვენებდა. ნელ-ნელა იწერდა მოთამაშეების გვარებს ყვითელ ბარათზე. თან, ანტონ ფერდინანდმა თავის კარში გოლი რომ შეაგდო, ამის გამო დრო საერთოდ არ დაგვიმატა. დამატებულ დროში მხოლოდ ოთხი წუთი და ორი წამი ვითამაშეთ".*

ფრედ ითამაშა **ჰარი რედნაპის** „ტოტენჰემ ჰოთსპურმაც". ლონდონელები აგერ უკვე რვა ტურია, ყველა ღონეს ხმარობენ პრემიერლიგის დიდ ოთხეულს რომ არ ჩამორჩნენ და მეტ-ნაკლებად გამოუდით კიდეც. ბოლტონში „სფურზს" ორჯერ მოუხდა ანგარიშის გათანაბრება და ეს ორივეჯერ ხორვატმა ფეხბურთელმა გააკეთა, ერთხელ **ნიკო კრანჩარმა**, მეორედ კი **ვედრან ჩორლუკამ**. სტატისტიკის მოყვარულთ დააინტერესებთ, რომ „ტოტენჰემს" „რიბოკ სთედიუმზე" უკვე ათი თამაშია არ მოუგია.

და ვაშა „პომპეის"! მიუხედავად იმისა, რომ კლუბმა ფეხბურთელების ნაწილს ბოლო თვეში ხელფასიც კი ვერ გადაუხადა, ჩავარდნილმა და ნირწამხდარმა „პორტსმუთმა" მაინც მოახერხა ზედიზედ შვიდი წაგების შემდეგ პირველი გამარჯვების მოპოვება. ვულვერჰემპტონში გამართული ამ შეხვედრის ერთადერთი გოლი „ბენფიკასგან" ნაქირავებმა **ჰასან იებდამ** შეაგდო. გამარჯვებულთა მწვრთნელი **პოლ ჰარტი** კი კიდევ უფრო კარგ ამბებს ამ კვირაში ელის. ეს, უპირველეს ყოვლისა, დაფინანსებასთანაა დაკავშირებული.

„ბირმინგემმა" სტუმრად ზედიზედ მესამე თამაში წააგო, ამჯერად ბარნლიში. ჟურნალისტები ბირმინგემელთა „კოჭლობას" გუნდის დღევანდელი შემადგენლობისთვის შეუფერებელი განლაგებით, 4-5-1-ით თამაშს აბრალებენ, თუმცა გუნდის თავკაცი **ალექს მაკლიში** კრიტიკის გაგონებაზე ბრაზდება და ხელმოცარული მწვრთნელებისთვის დამახასიათებელ სიტყვებს იძახის: *„მე დიდი ხანია, რაც ფეხბურთში ვარ და ჟურნალისტებზე უკეთ ვიცი, რომელი განლაგება რომელს სჯობს".*

თუ იცი და მოიგე, ვინ გიშლის. ხოლო, ერთი კვირის წინ „ლივერპულთან" 6:1 განადგურებულმა „ჰალმა" წინა ტურის სენსაციის შემოქმედს, „ჩელსის" დამმარცხებელ „უიგანს" აჯობა - ზედმეტი არ მოგივიდესო. გამარჯვებულთა თავკაცმა **ფილ ბრაუნმა** ბრძანა: *„დღეს მხოლოდ თამაში კი არ გვქონდა, მთელი კვირის ნაშრომის შეჯამება იყო".*

აი ახლა, შაბათის ამბების აღწერის შემდეგ გვინდა კვირის ამბებზე, უფრო ზუსტად კი ტურის მთავარ შეხვედრაზე, „ჩელსი"-„ლივერპულზე" გადავიდეთ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მოგახსენოთ, რომ მატჩი სანახაობრივი თვალსაზრისით ვერაფერი შვილი გამოდგა. ეს სულაც არ გახლდათ გასაკვირი. ამ შეხვედრაში მხარეებისთვის მთავარი არწაგება იყო და ამიტომ, როგორც ლონდონელებმა ასევე ლივერპულელებმა, თამაში შეძლებისდაგვარად ჩაკეტეს. შეძლებისდაგვარადო იმიტომ ვამბობთ, რომ ორივე გუნდში, მოგეხსენებათ, ბრწყინვალე ფეხბურთელები თამაშობენ და მათი ბოლომდე ჩაკეტვა ძნელად წარმოსადგენი საქმეა, მაგრამ „სტემფორდ ბრიჯზე" კვირა საღამოს აქცენტი ორივე მხრივ უფრო გოლის არგაშვებაზე რომ კეთდებოდა, ვიდრე შეტევასა და ფანტაზიაზე, იოლი დასანახი იყო. თუმცა დიდი ვარსკვლავების ბოლომდე გაჩუმება რთული საქმეაო და მართლაც ასე მოხდა: მასპინძლებმა ორ ეპიზოდში ნავსი გატეხეს და გოლები გაიტანეს. თუმცა შემთხვევით, ეტყობა, მართლა არაფერი ხდება - როგორ გინდა არ გაიხსენო იმ ინგლისელი მიმომხილველების სიტყვები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ამ სეზონში „ლივერპული" ყველა „ნამდვილად ძლიერ" გუნდთან, - „ტოტენჰემ ჰოთსპურთან", „ასტონ ვილასთან", „ფიორენტინასთან" და ახლა „ჩელსისთანაც" - დამარცხდა. შესაძლოა ნათქვამი მართლაც ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ იმავდროულად დამაფიქრებელიც რომ არის, ფაქტია. და, ისევ დაცვა... ვფიქრობთ, „ჩელსისთან" გაშვებულ გოლებში **ჯეიმი კარაგერსა** და მის პარტნიორებს, ლომის წილი უდევთ.

ისე, ერთხელ (!) „ლურჯების" დაცვაც მოდუნდა - 2:0-ის მერე, უკვე მსაჯის წამატებულ წუთებში, შეცვლაზე შესულმა **იოსი ბენაიუნმა** სიზუსტეს სანტიმეტრი დააკლო, თორემ მატჩის ბოლო წამებს საგიჟეთად აქცევდა.

ხოლო, ვისაც ალმაფრენის, ფანტაზიის და მშვენიერების ნახვა უნდოდა, „არსენალისთვის" უნდა ეყურებინა - „მეთოფეებმა" „ბლექბერნს" 6:2 მოუგეს. იმ შეხვედრის... უფრო სწორედ კი მისი ერთი მონაწილის, „არსენალის" თამაშის აღწერა შეუძლებელი საქმეა. **სესკ ფაბრეგასი** და მისი თანაგუნდელები კვირას გამორჩეულად ბრწყინავდნენ.

„ევერტონმა" და „სტოკ სიტიმ" მოსაწყენ შეხვედრაში გოლები გაუცვალეს ერთმანეთს, **სტანისლასის** მიერ მსაჯის წამატებულ დროში გატანილმა გოლმა კი „ვესტ ჰემს" ათი კაცით დარჩენილ „ფულჰემთან" ქულა გადაურჩინა. რატომ იყო „ფულჰემი" ათი კაცით? სამხრეთ აფრიკელმა **კაგიშო დიკგეკოიმ** ამ გუნდის მაისურით თავის პირველ შეხვედრაში ზედმეტად მოინდომა და **სკოტ პარკერის** წინააღმდეგ ბურთის გარეშე იუხეშა...

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## მომდევნო ტური

**17 ოქტომბერი. ასტონ ვილა-ჩელსი, სტოკ სიტი-ვესტ ჰემი, პორტსმუთი-ტოტენჰემი, მანჩესტერ იუნაიტედი-ბოლტონი, არსენალი-ბირმინგემი, სანდერლენდი-ლივერპული, ევერტონი-ვულვერჰემპტონი. 18 ოქტომბერი. ბლექბერნი-ბარნლი, უიგანი-მანჩესტერ სიტი. 19 ოქტომბერი. ფულჰემი-ჰალ სიტი.**

### მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი 2:2

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ფოსტერი, ოში, ვიდიჩი, ევანსი, ევრა, ნანი, ფლეტჩერი (72. კარიკი), სქოულზი (45. ანდერსონი), უელბეკი (72. ვალენსია), ბერბატოვი, რუნი.

**სანდერლენდი:** გორდონი, ბერდსლი, ტერნერი, ფერდინანდი, რიჩარდსონი, მოლბრანკი, კანა, კეტერმოლი, რიდი (74. ჰენდერსონი), ბენტი, ჯონსი (84. კემპბელი), (86. მაკარტნი).

**გოლები:** 0:1 ბენტი (7), 1:1 ბერბატოვი (51), 1:2 ჯონსი (58), 2:2 ფერდინანდი (90-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 2-2; **გაძევება:** 0:1; **კუთხური:** 15-1; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 20-5 (5-3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 75 114

### ვულვზი-პორტსმუთი 0:1

**ვულვერჰემპტონი:** ჰენესი, ფოლი (46. კითლი), მანსიენი, ბერა, ელოკობი (80. მაიერჰოფერი), ჰელფორდი, ედვარდსი, ჰენრი, ჯერვისი, დოილი, კეო (46. ებანს-ბლეიკი).

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ფინანი, ქაბული, უილსონი, ბენ-ჰაიმი, ოჰარა, იებდა (78. მოკოენა), ბრაუნი, ბოატენგი, დინდანე (74. ვებერი), სმიტი (80. ვანდენ ბორე).

**გოლი:** 0:1 იებდა (19)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 14-13 (4-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 29 023

### ბარნლი-ბირმინგემი 2:1

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კერლისლი, კოლდუელი, ჯორდანი, ფლეტჩერი (73. იგლზი), ელიოტი, ბიკეი, ალექსანდერი, ბლეიკი (90. კალვენესი), ნაჯენტი (87. ტომპსონი).

**ბირმინგემი:** ჰარტი, კარი, ჯონსონი, დენი, ქუოდრო (46. რიჯუელი), მაკფადენი, ბოიერი, ფერგიუსონი, ფეჰეი (46. ლარსონი), ტაინიო (67. ფილიპსი), ოკონორი.

**გოლები:** 1:0 ფლეტჩერი (53), 2:0 ბიკეი (62), 2:1 ლარსონი (90)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 17-11 (5-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 20 102

### ჰალი-უიგანი 2:1

**ჰალი:** მიჰილი, მაკშეინი, სონკო, კილბეინი, დოუსონი, ჯოვანი, ზაიატი (82. ოლოფინიანა), ბარმბი (65. გილასი), მერნი, ჰანტი, ვენეგოორი (90. მოიოკოლო).

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, ბრამბლი, ბოისი, ფიგეროა, ნზოგბია (84. სინკლერი), ტომასი (90. კინგი), დიამე, როდალეგა, შარნერი (66. გომესი), სკოტლენდი.

**გოლები:** 1:0 ვენეგოორი (60), 2:0 ჯოვანი (68), 2:1 სინკლერი (87)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 12-13 (5-5); **ბურთის ფლობა:** 24%-76%.

**მაყურებელი:** 22 822

### ბოლტონი-ტოტენჰემი 2:2

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, რიკეტსი, კეჰილი, ნაითი, სემუელი, ლი (87. კლასნიჩი), მუამბა (74. მაკკენი), ტეილორი (81. მ. დევისი), გარდნერი, კოჰენი, კ. დევისი.

**ტოტენჰემი:** კუდიჩინი, ჩორლუკა, ჰადლსტოუნი, ბასონგი, ასუ-ეკოტო, ლენონი, ჯენასი, პალასიოსი, კრანჩარი, კინი (68. დეფო), კრაუჩი.

**გოლები:** 1:0 გარდნერი (3), 1:1 კრანჩარი (34), 2:1 კ. დევისი (69), 2:2 ჩორლუკა (73)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 17-15 (7-6); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 21 305

### არსენალი-ბლექბერნი 6:2

**არსენალი:** მანონე, სანია, გალასი, ვერმელენი, კლიში, ფაბრეგასი (76. რამსი), ბილონგი, დიაბი, ვან პერსი, არშავინი (76. ბენდტნერი), როსიცკი (69. უოლკოტი).

**ბლექბერნი:** რობინსონი, იაკობსენი, შიმბონდა, ჟივე, ოლსონი, ემერტონი (55. პედერსენი), ენდრიუსი, ნზონზი, დანი (62. მაკარტი/70. ჰოილეტი), დიუფი, დი სანტო.

**გოლები:** 0:1 ნზონზი (4), 1:1 ვერმელენი (17), 1:2 დანი (30), 2:2 ვან პერსი (33), 3:2 არშავინი (37), 4:2 ფაბრეგასი (57), 5:2 უოლკოტი (75), 6:2 ბენდტნერი (89)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 11-10; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 22-7 (15-5); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 59 431

### ევერტონი-სტოკ სიტი 1:1

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, ჰეიტინგა, დისტინი, ბეინესი, ოსმანი (76. იაკუბუ), კეჰილი, როდუელი, ბილიალეტდინოვი (76. ჟო), ფელანი, საა.

**სტოკი:** სიორენსენი, ჰუტი, შოუკროსი, ფაიე, კოლინზი, დილაპი, უაიტჰედი, დიაო (77. ვილანი), ეზერინგტონი, ფულერი (90. კიტსონი), ბიტი.

**გოლები:** 0:1 ჰუტი (50), 1:1 ოსმანი (55)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 24-8 (11-5); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 36 753

### ვესტ ჰემი-ფულჰემი 2:2

**ვესტ ჰემი:** გრინი, ფაბერი, ტომკინსი, აპსონი, ილუნგა, დიამანტი, ნობლი, პარკერი (71. ბეჰრამი), ჰაინესი (72. სტანისლასი), ხიმენესი, კ. კოული.

**ფულჰემი:** შვარცერი, პენტსილი, ჰიუზი, ჰენგელანდი, კონჩესკი, გერა, მერფი, დიკგეკოი, დემპსი (84. რიისე), ენ. ჯონსონი (46. ბეირდი), კამარა (82. ე. ჯონსონი).

**გოლები:** 1:0 კოული (16), 1:1 მერფი (47-პენ), 1:2 გერა (57), 2:2 სტანისლასი (90)

**გაფრთხილება:** 3-2; **გაძევება:** 0:1; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 29-11 (7-6); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 32 612

### ჩელსი-ლივერპული 2:0

**ჩელსი:** ილარიო, ივანოვიჩი, კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ბალაკი, ესიენი, დეკუ (76. მალუდა), ლემპარდი, დროგბა, ანელკა.

**ლივერპული:** რეინა, ჯონსონი, შკრტელი, კარაგერი, ინსუა (83. აურელიო), კუიტი, მასკერანო, ლუკასი (76. ბაბელი), რიერა (67. ბენაიუნი), ჯერარდი, ტორესი.

**გოლები:** 1:0 ანელკა (60), 2:0 მალუდა (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 17-17 (8-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 41 732

**ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 8 | 7 | 0 | 1 | 18-6 | 21 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 8 | 6 | 1 | 1 | 19-8 | 19 |
| 3. ტოტენჰემი | 8 | 5 | 1 | 2 | 19-12 | 16 |
| 4. არსენალი | 7 | 5 | 0 | 2 | 24-10 | 15 |
| 5. ლივერპული | 8 | 5 | 0 | 3 | 22-12 | 15 |
| 6. მანჩესტ. სიტი | 6 | 5 | 0 | 1 | 14-7 | 15 |
| 7. სანდერლენდი | 8 | 4 | 1 | 3 | 16-13 | 13 |
| 8. ასტონ ვილა | 6 | 4 | 0 | 2 | 9-5 | 12 |
| 9. ბარნლი | 8 | 4 | 0 | 4 | 7-16 | 12 |
| 10. ევერტონი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-11 | 10 |
| 11. სტოკი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-10 | 9 |
| 12. უიგანი | 8 | 3 | 0 | 5 | 8-15 | 9 |
| 13. ბოლტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-11 | 8 |
| 14. ბირმინგემი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-8 | 7 |
| 15. ფულჰემი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-10 | 7 |
| 16. ბლექბერნი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-15 | 7 |
| 17. ვულვზი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-14 | 7 |
| 18. ჰალი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-20 | 7 |
| 19. ვესტ ჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-11 | 5 |
| 20. პორტსმუთი | 8 | 1 | 0 | 7 | 4-13 | 3 |

**ბომბარდირები:** 8 - ტორესი (ლივერპული); 7- ბენტი (სანდერლენდი); 6 - რუნი (მანჩესტერ იუნ), დროგბა (ჩელსი); 5 - დეფო (ტოტენჰემი), კინი (ტოტენჰემი), საა (ევერტონი), ჯონსი (სანდერლენდი); 4 - ადებაიორი (მანჩესტერ სიტი), აგბონლაორი (ასტონ ვილა).

## ჩემპიონშიპი

### XI ტური

**ქოვენთრი-ლესტერი 1:1**
გოლები: 1:0 კლინგანი (38), 1:1 უეგპორნი (71)

**რიდინგი-მიდლსბრო 0:2**
გოლები: 0:1 ლედჯერი (12), 0:2 ლიტა (55)

**შეფილდ იუნ-დონკასტერი 1:1**
გოლები: 0:1 ჰეიტერი (45), 1:1 კრესუელი (65)

**სუონსი-ქუინზ პარკი 2:0**
გოლები: 1:0 გოუერი (74), 2:0 ტრანდლი (85)

**უოტფორდი-კარდიფი 0:4**
გოლები: 0:1 უიტინგჰემი (243), 0:2 მეტიუზი (41), 0:3 უიტინგჰემი (66), 0:4 ბოთროიდი (67)

**კრისტალ პალასი-ბლექპული 4:1**
გოლები: 1:0 ლი (4), 2:0 დენსი (32), 2:1 ბეპტისტი (53), 3:1 ემბროუზი (66), 4:1 ნდაიე (89)

**პრესტონი-ვესტ ბრომვიჩი 0:0**

**დერბი-შეფილდ უენ 3:0**
გოლები: 1:0 კროფტი (17), 2:0 მაკეველი (65), 3:0 ჰალსი (90-პენ)

**პიტერბორო-ნოტინგემი 1:2**
გოლები: 1:0 მაკლინი (50), 1:1 მაიევსკი (51), 1:2 ანდერსონი (56)

**პლიმუთი-სკანთორპი 2:1**
გოლები: 1:0 ფელონი (57), 1:1 ჰუპერი (75), 2:1 ჯაჯი (76-პენ)

**ბარნსლი-იფსვიჩი 2:1**
გოლები: 1:0 ჰიუმი (8), 1:1 როსენიორი (45), 2:1 მაკენი (90)

**ნიუკასლი-ბრისტოლი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუკასლი | 11 | 7 | 3 | 1 | 18-5 | 24 |
| 2. ვესტ ბრომ. | 11 | 6 | 3 | 2 | 21-11 | 21 |
| 3. მიდლსბრო | 11 | 6 | 2 | 3 | 18-12 | 20 |
| 4. კარდიფი | 11 | 6 | 1 | 4 | 23-11 | 19 |
| 5. პრესტონი | 11 | 5 | 4 | 2 | 18-12 | 19 |
| 6. შეფილდ იუნ. | 11 | 4 | 5 | 2 | 19-15 | 17 |
| 7. ლესტერი | 11 | 4 | 5 | 2 | 13-11 | 17 |
| 8. ბრისტოლი | 11 | 4 | 5 | 2 | 10-9 | 17 |
| 9. ბლექპული | 11 | 4 | 4 | 3 | 14-13 | 16 |
| 10. ნოტინგემი | 11 | 4 | 4 | 3 | 13-12 | 16 |
| 11. ქოვენთრი | 11 | 4 | 4 | 3 | 16-16 | 16 |
| 12. კრ. პალასი | 10 | 4 | 3 | 3 | 11-11 | 15 |
| 13. ქუინზ პარკი | 10 | 3 | 5 | 2 | 13-10 | 14 |
| 14. სუონსი | 11 | 3 | 5 | 3 | 7-9 | 14 |
| 15. უოტფორდი | 11 | 3 | 5 | 3 | 16-19 | 14 |
| 16. შეფილდ უენ. | 11 | 3 | 4 | 4 | 17-16 | 13 |
| 17. დერბი | 11 | 4 | 1 | 6 | 15-19 | 13 |
| 18. დონკასტერი | 11 | 1 | 8 | 2 | 11-13 | 11 |
| 19. სკანთორპი | 11 | 3 | 2 | 6 | 14-21 | 11 |
| 20. ბარნსლი | 11 | 3 | 2 | 6 | 13-21 | 11 |
| 21. რიდინგი | 11 | 2 | 4 | 5 | 9-15 | 10 |
| 22. პლიმუთი | 11 | 2 | 2 | 7 | 11-20 | 8 |
| 23. პიტერბორო | 11 | 1 | 4 | 6 | 12-19 | 7 |
| 24. იფსვიჩი | 11 | 0 | 5 | 6 | 12-24 | 5 |

**ბომბარდირები:** 11 - ჩოპრა (კარდიფ სიტი), 7 - ფრიატი (ლესტერი); 6 - გრემი (უოტფორდი), მეინარდი (ბრისტოლი), 5 - მორისონი (ქოვენთრი), თაჯი (შეფილდ უენსდეი), ნოლანი (ნიუკასლი), ჯონსონი (მიდლსბრო), მელორი (პრესტონი), ბესტი (ქოვენთრი).

## პირველი ლიგა

### XI ტური

**ბრენტფორდი-სუინდონი 2:3, ბრაიტონი-მილტონი 0:1, კოლჩესტერი-ჰადერსფილდი 1:0, ექსეტერი-ჰარტლპული 3:1, ლიდსი-ჩარლტონი 0:0, მილუოლი-ტრანმერი 5:0, ნორვიჩი-ბრისტოლი 5:1, ოლდჰემი-იეოვილი 0:0, საუთჰემპტონი-ჯილინგემი 4:1, სტოკპორტი-საუთენდი 0:2, უოლსოლი-კერლისლი 2:2, უაიკომბი-ლეიტონი 0:1.**

## მეორე ლიგა

### XI ტური

**ბერნეტი-გრიმსბი 3:0, ჩელტენჰემი-ნოთს ქაუნთი 1:1, ჩესტერფილდი-ეკრინგტონი 1:0, ქრიუ-როტერჰემი 2:3, დარლინგტონი-მაკლესფილდი 0:1, ჰერეფორდი-დაგენჰემი 1:1, ლინკოლნი-ოლდერშოტი 1:0, მორკემბი-შრუზბერი 1:1, ნორთემპტონი-ბრედფორდი 2:2, პორტ ვეილი-ბურნმუთი 0:0, თორგუეი-ბერი 1:1, ბარტონი-როჩდეილი 1:0.**

## კონფერენსი

### XIV ტური

**უიმბლდონი-კიდერმინსტერი 0:1, ბეროუ-ოქსფორდი 1:1, ისტბერნი-კიტერინგი 0:1, იბსფლიტი-ქროული 0:0, გრეისი-გეიტსჰედი 0:0, ჰეიეს ენდ იადინგი-ჩესტერი 0:0, ლუტონი-ტამუორთი 2:1, მენსფილდი-ფორესტ გრინი 1:0, რაშდენ ენდ დაიმონდსი-ელტრინჩემი 0:1, ვრექსჰემი-სელისბერი 1:2, იორკი-სტივინეიჯი 1:1, ჰისტონი-კემბრიჯი 1:1.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომგებიანი ბილეთი

# აღმოაჩინე 3 ერთნაირი ერთეული






# იპოვე შენი იღბლიანი შვიდიანი






# შეიძინე 1 ოქტომბრიდან და მოიგე 1 000 ლარამდე!

## მიიღეთ მოგებული თანხა სახალხო ბანკის ფილიალებში

GLC შპს საქართველოს ლატარიის კომპანია
Georgian Lottery Company LLC

649 649
www.georgianlottery.com

სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK



პოდოლსკიმ ყოფილ თანაგუნდელებთან ქულა გაიყო

# რეკორდმაისტერი მერვეკლასელად იქცა

„ბაიერნი" ისევ კოჭლობს, „ლევერკუზენი" და „ჰამბურგი" შეუჩერებელნი არიან, „შალკე" და „ვერდერიც" ნორმალურად გამოიყურებიან - ბუნდესლიგის გასულ ტურში ახალი და საკვირველი არაფერი გვინახავს, ერთი ეგაა, რეკორდმაისტერი უკვე მერვე საფეხურამდე დაეშვა და ლიდერებს უკვე რვა ქულით ჩამორჩება.

შაბათს „ბაიერნის" გამოცდილ მეკარე **ჰანს-იორგ ბუტს** საქმე საერთოდ არ ჰქონია. ვან გაალის გუნდმა „კიოლნს" თამაშით კი აჯობა, მაგრამ რად გინდა, რამდენიმე რეალური მომენტი გოლად ვერ აქცია და ნულოვან ფრეს დასჯერდა.

მიუნხენელთა ჰოლანდიელმა დამრიგებელმა კვლავ ერთი ცენტრფორვარდით ითამაშა და ამ პოზიციაზე უპირატესობა **მიროსლავ კლოზეს** მიანიჭა, რომელმაც ბოძებული შანსი ვერ გამოიყენა და მატჩის ერთ-ერთ ყველაზე უსახურ მონაწილედ იქცა. ფლანგებიდან მას **სოსა** და **რიბერი** ეხმარებოდნენ. ეს ამჯერად ვერ იყო ჩვეულებისამებრ აქტიური, სოსამ კიდევ უფრო უარესად ითამაშა და საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახვა, რომ „ბაიერნის" დონის ფეხბურთელი არაა.

შეხვედრის ყველაზე უიღბლო მონაწილე **ბასტიან შვაინშტაიგერია**. გოლის გატანის შესაძლებლობა მას ორჯერ ჰქონდა და ბურთი თავით ორივეჯერ სტუმართა კარის ხარიხას გაარტყა. „ბაიერნის" უპირატესობა შთამბეჭდავი იყო, მაგრამ მიუნხენელთა შემტევები იერიშების ბოლო ფაზაში სცოდავდნენ. თამაშის გამოცოცხლება შეძლო მოედანზე კლოზეს ნაცვლად შესულმა **ივიცა ოლიჩმა**. მატჩის მიწურულს გამარჯვების გოლის გატანა შეძლო, მაგრამ „კიოლნის" კარის სიახლოვეს უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა ხორვატმა ახლო მანძილიდან ბურთი ტრიბუნებისკენ გაგზავნა.

„თხები" მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, შესაბამისად, არც ექსბაიერნელ **ლუკას პოდოლსკის** და არც „კიოლნის" სხვა ფორვარდებს ღირებული არაფერი შეუქმნიათ.

„ბაიერნი" კი გაგანია სეზონისას კვლავ ჩამოყალიბების პროცესშია. კლუბის ხელმძღვანელობას **ლუის ვან გაალისადმი** ნდობა შესაძლოა, ჯერ კიდევ ჰქონდეს შენარჩუნებული, მაგრამ ასე დიდხანს გაგრძელება რომ არ შეიძლება, ესეც ფაქტია. კიდევ რამდენიმე ასეთი დანაკარგი და მიუნხენელები გერმანიის ჩემპიონობაზე ფიქრს შეწყვეტენ, ევროასპარეზზე წარმატებით გამოსვლა კი ასეთი თამაშით საერთოდ წარმოუდგენელია.

ალბათ, შეამჩნევდით, რომ „კიოლნთან" **არიენ რობენმა** ვერ ითამაშა. ჰოლანდიელი ახალწვეული უმალ იქცა „ბაიერნის" ლიდერად, მაგრამ უიღბლობა, რომელიც მთელი კარიერა თან სდევს, გერმანიაშიც გადაჰყვა. იგი დღეისათვის კარგად ნაცნობ და შინაურ ადგილას, ანუ ლაზარეთში იმყოფება. არადა, რობენმა „ბაიერნის" რიგებში ყველა მატჩი შთამბეჭდავად ჩაატარა.

ვან გაალი აცხადებს, რომ სტაბილურ წარმატებას კიდევ სჭირდება გარკვეული დრო. არადა, **იუპ ჰაინკესმა**, რომელსაც ზაფხულში „ბაიერნი" იოლად შეელია და ახალი მისულია „ლევერკუზენში", სტაბილურობასაც უკვე მიაღწია და მეტიც, თავისი ამჟამინდელი გუნდით ბუნდესლიგის სათავეშიცაა მოქცეული.

ლევერკუზენელებმა „ნიურნბერგს" ერთი ამოსუნთქვით გადაურბინეს, მატჩის გმირი კი **ტონი კროოსია**, რომელიც მოგეხსენებათ, „ბაიერნის" საკუთრებაა და „ფარმაცევტთა" რიგებში განათხოვრებით ასპარეზობს.

პარასკევს „აინტრახტი" „შალკეს" კარგა ხანს უძალიანდებოდა. გელზენკირხენელებმა სტუმრებს პირველ ტაიმში ვერაფერი დააკლეს. ჩვენდა სამწუხაროდ, გამარჯვების სასწორი „ხუმარათა" მხარეს მას შემდეგლა გადაიხარა, რაც ინერტულად მოთამაშე **ლევან ყენიას** ნაცვლად საქმეში გამოცდილი **ჯერალდ ასამოა** ჩაერთო. მან ანგარიში მალევე გახსნა და ამის შემდეგ მასპინძელთა გამარჯვება ეჭვქვეშ აღარ დამდგარა. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშეები ასამოა და მეორე გოლის ავტორი **ჯეფერსონ ფარფანი** არიან, ყენიამ კი თანაგუნდელთა შორის „შპორტალისგან" ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო.

ორი „ბორუსიას" დაპირისპირებაში დორტმუნდელებმა იმარჯვეს და სახიფათო ზონას თავი დააღწიეს. როგორც იქნა, თავის გუნდს გამოადგა „შავ-ყვითელთა" არგენტინელი ახალწვეული **ლუკას ბარიოსი**, რომელმაც ბუნდესლიგაში პირველი გოლი გაიტანა.

ჩემპიონობის შენარჩუნებაზე ოცნებას ნელ-ნელა ემშვიდობებიან ვოლფსბურგელები. „მგლები" კვლავაც სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ **არმინ ფეეს** გუნდს არასტაბილურობა დასჩემდა. ბრაზილიელმა **გრაფიტემ** უსახურად ითამაშა და მის ნაცვლად მოედანზე **ობაფემი მარტინსი** შევიდა. ნიგერიელმა „ვოლფსბურგის" შეტევებს სიმძაფრე შემატა, ჩემპიონებს კი ქულა **ედინ ჯეკომ** გადაურჩინა, რომელის გრაფიტესგან განსხვავებით, შაბათს ძალიან აქტიური იყო.

„მაინცთან" წაგებით ლიდერთა ჯგუფს მოსწყდა „ჰოფენჰაიმი", „ფრაიბურგისგან" კი ასეთ უიმედო მარცხს არ ელოდნენ. **დავით თარგამაძის** გუნდის დაცვა განსაკუთრებით შეხვედრის დასკვნით ნაწილში გაირღვა, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი „ჰანოვერის" ვეტერანი ჰოლანდიელი ნახევარმცველი **არნოლდ ბრუგინკი** დაასახელეს.

კვირას გამართული ორივე შეხვედრა დიდი ინტერესს იწვევდა. უჩვეულოდ დაბალ საფეხურზე მყოფმა „შტუტგარტმა" „ვერდერს" უმასპინძლა და სატურნირო ვითარების გამოსწორებას მთელი ძალებით ეცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა. **კლაუდიო პისარომ** სწრაფი გოლი გაიტანა, რამაც შვაბები დიდად ვერ გამოაცოცხლა. მასპინძლებმა საშინლად ითამაშეს, „შტუტგარტს", ფაქტობრივად, არც ერთი აზრიანი კომბინაცია არ გაუთამაშებია, აბსოლუტურად იყო მოშლილი კავშირი რგოლებს შორის. **მარკუს ბაბელის** გუნდს მოლოდ პირველ ტაიმში ჰქონდა ერთი სახიფათო მომენტი, როცა **შიბერმა** ვერ ივარგა. 0:2-ის შემდეგ „შტუტგარტმა" საბოლოოდ დაყარა ფარ-ხმალი და მსაჯის საფინალო სასტვენამდე დარჩენილ დროში გატანა უკვე „ვერდერს" შეეძლო, თანაც რამოდენიმეჯერ. შესაძლოა, მორიგი დათხოვნილი მწვრთნელი ბაბელი აღმოჩნდეს.

მეორე ბუნდესლიგისკენ მიმავალ გზაზე მტკიცე ნაბიჯებით მიაბიჯებს „ჰერტა", რომელსაც მთავარი მწვრთნელის შეცვლის შემდეგ სახეირო ჯერჯერობით, არაფერი დასტყობია. ვნახოთ, რას შეცვლის წყალწაღებულ ბერლინელებში **ლუსიენ ფავრის** ნაცვლად დანიშნული გამოცდილი **ფრიდჰელმ ფუნკელი**. ეს მისი პირველი მატჩი იყო „ჰერტას" თავკაცის პოსტზე და არაა გასაკვირი, ბუნდესლიგის ერთ-ერთი გამორჩეულ გუნდთან ვერაფერი რომ გააწყო. არადა, შეხვედრა დედაქალაქელთათვის შედეგიანად დაიწყო, „ჰამბურგმა" კი თამაშის სადავეები ხელში **კაკას** ავტოგოლის შემდეგ ჩაიგდო. სტუმრებს „ჰერტას" კარში კიდევ ერთი გოლი რომ გაეტანათ, ბურთების უკეთესი შეფარდებით „ბაიერს" გადაასწრებდნენ და პირველ ადგილზე აღმოჩნდებოდნენ.

ბუნდესლიგის გასული ტურის მატჩები წუთიერი დუმილით დაიწყო, რომელიც გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველის, 1978 წლის მუნდიალის მონაწილის, „შალკესა" და დორტმუნდის „ბორუსიაში" ნათამაშები **როლფ რიუსმანის** ხსოვნას მიეძღვნა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

### მომდევნო ტური

17 ოქტომბერი. **შტუტგარტი-შალკე, ვერდერი-ჰოფენჰაიმი, კიოლნი-მაინცი, აინტრახტი-ჰანოვერი, ფრაიბურგი-ბაიერნი, ნიურნბერგი-ჰერტა, ჰამბურგი-ლევერკუზენი.** 18 ოქტომბერი. **ვოლფსბურგი-ბორუსია (მ), ბორუსია (დ)- ბოხუმი.**

### შალკე-აინტრახტი 2:0

**შალკე:** ნოიერი-3.5 - ჰიოვედესი-3.5, ძამბრანო-3, ბორდონი-2.5, ვესტერმანი-2.5 - მორიტცი-2.5 (58. ასამოა-2.5), რაფინია-4, შმიტცი-3.5 - ყენია-4.5 (58. ასამოა-2.5), ფარფანი-2.5, კურანი-5 (83. რაკიტიჩი).

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-3.5 (46. ციმერმანი-4.5) - ოქსი-3, ფრანცი-4.5, კრისი-3, შპიხერი-3 - შვეგლერი-4.5, ტებერი-2.5 - შტაინჰოფერი-4.5 (72. კაიო), ა. მაიერი-4.5, კოლერი-4 - ამანატიდისი-5 (61. ლიბეროპულოსი-4).

**გოლები:** 1:0 ასამოა (66), 2:0 ფარფანი (90-პენ)

**გაძევება:** შვეგლერი (85)

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 10(6)-7(1); **ჯარიმა:** 29-21; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 61 673

### ბორუსია (მ)-ბორუსია (დ) 0:1

**ბორუსია (მ):** ბეილი-3 - სტალტერი-4 (86. ნოივილი), ბრუვერსი-4.5, დანტე-3, ლეველსი-3.5 - მეუვისი-4 (77. როისი) - ბრედლი-4, ტ. მარქსი-4.5 (59. მატმური-4) - არანგო-4 - ფრინდი-5, ბობადილია-3.5.

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3 - ოვომოიელა-3, სუბოტიჩი-3, ჰუმელსი-3, დედე-3.5 - ბენდერი-3.5, ტინგა-3, შაჰინი-3.5 - ჰაინალი-4 (85. გროსკროიტცი) - ბარიოსი-2.5 (78. ვალდესი), ზიდანი-4 (61. ბლაშჩიკოვსკი-4).

**გოლი:** ბარიოსი (38)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 17(3)-20(3); **ჯარიმა:** 9-17; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 52 000

### ბაიერნი-კიოლნი 0:0

**ბაიერნი:** ბუტი-3.5 - ლამი-2.5, ვან ბუიტენი-3, ბადშტუბერი-3.5, ბრააფჰეიდი-4.5 - ოტლი-3.5, შვაინშტაიგერი-2.5 - თ. მიულერი-4 - სოსა-4.5 (46. გომესი-5), კლოზე-4.5 (71. ოლიჩი), რიბერი-4 (46. პრანიჩი-5).

**კიოლნი:** მონდრაგონი-3 - შორხი-4, უეირომელი-2.5, მოჰამადი-2 (74. მაკკენა), ბრეკო-3.5 - ფრაისი-4.5, პეტი-3, პეცონი-3.5, ერე-4.5 (80. მატიპი) - იშიაკუ-5, პოდოლსკი-4 (90. სანუ).

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 13(2)-5(1); **ჯარიმა:** 11-23; **კუთხური:** 9-0; **ბურთის ფლობა:** 72%-28%

**მაყურებელი:** 69 000

### ბოხუმი-ვოლფსბურგი 1:1

**ბოხუმი:** ლუტე-3 - პფერცელი-3 (77. კონჩა), მალტრიტცი-3.5, იაჰია-4.5, ფუქსი-2.5 - დაბროვსკი-4, ონო-5 - ფრაიერი-4, აზაუაგი-4.5 (89. მავრაი) - ეპალე-3 (65. ა. იოჰანსონი-3.5), ჰაშემიანი-2.5.

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-3.5 - რიტერი-4, რიკარდო კოშტა-4.5, მადლუნგი-3, მ. შეფერი-3.5 - ჟოსუე-2.5 - ჰასებე-3.5 (64. დეჟაგა-4), გენტნერი-4 (64. ზიანი-3) - მისიმოვიჩი-3 - გრაფიტე-4.5 (52. მარტინსი-3), ჯეკო-2.5.

**გოლები:** 1:0 ჰაშემიანი (53), 1:1 ჯეკო (75)

**გაძევება:** ონო (83)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 10(2)-22(5); **ჯარიმა:** 20-12; **კუთხური:** 4-7; **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**მაყურებელი:** 21 710

### ლევერკუზენი-ნიურნბერგი 4:0

**ბაიერი:** ადლერი-3.5 - შვააბი-3, მ. ფრიდრიხი-2 (76. სინკიევიჩი), ჰიიპია-2.5, კასტრო-2, ვიდალი-3, როლფესი-2 - ბარნეტა-3.5 (73. რაინარტცი), კროოსი-1.5 - დერდიოკი-3.5 (71. გეკასი), კისლინგი-1.5.

**ნიურნბერგი:** რ. შეფერი-4 - დიკმაიერი-5.5, სპირანოვიჩი-5.5, პინოლა-4, იუდტი-4.5 (41. აიგლერი-5) - მნარი-5.5 - ვიდოშიჩი-5, კლუგე-5, ბროიხი-4.5, ფრანტცი-4.5 - ჩუპომოტინგი-5.5.

**გოლები:** 1:0 კროოსი (2), 2:0 როლფესი (28. პენ.), 3:0 დერდიოკი (34), 4:0 კისლინგი (68)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 18(8)-4(1); **ჯარიმა:** 15-16; **კუთხური:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 26 785

### მაინცი-ჰოფენჰაიმი 2:1

**მაინცი:** ჰ. მიულერი-3.5 - ჰელერი-3.5, ბუნგერტი-2, ნოვესკი-2, ლიოვი-3 - სოტო-2.5 (86. ბ. სვენსონი), პეკოვიჩი-4 - კარჰანი-3.5 (57. გოპკო-4), შურლე-4, ივანშიტცი-2.5 (77. ვან დერ ჰეიდენი) - ბანსე-2.5.

**ჰოფენჰაიმი:** ჰილდებრანდი-3.5 - ბეკი-4.5, პ. ნილსონი-5 (61. მაიკოსუელი-3.5), კომპერი-3.5, იბერტსბერგერი-3 - კარლოს ედუარდო-3.5, ლუის გუსტავო-4.5 (61. ფორსა-3.5), სალიჰოვიჩი-4 - ობასი-3, იბიშევიჩი-5 (79. ტერაციონო), ბა-4.

**გოლები:** 1:0 ივანშიტცი (6), 2:0 ბანსე (11), 2:1 იბერტსბერგერი (87)

**გაფრთხილება:** 6-1; **დარტყმა:** 4(3)-14(3); **ჯარიმა:** 24-23; **კუთხური:** 1-7; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 20 300

### ჰანოვერი-ფრაიბურგი 5:2

**ჰანოვერი:** ფრომლოვიტცი-4 - ჩერუნდოლო-4, ჰაგი-3, კ. შულცი-4, ჯაკპა-3 - ბრუგინკი-1.5 (90. კრჟინოვეკი) - შაჰედი-3.5 (87. რამა), როზენტალი-2.5 - ბალიტჩი-3 - შტაინერი-4 (70. ს. პინტუ-3), ია კონანი-2.5.

**ფრაიბურგი:** პუპლინი-4 - დუ რი ჩა-4 (77. გლოკნერი), კრმაში-5, ბასტიანსი-4.5, ბუჩერი-3 - მაკიადი-4.5 (60. რაიზინგერი-3.5), ბანოვიჩი-3, ფლუმი-3.5 (60. ი. შუსტერი), აბდესადკი-4 - ბეხმანი-3.5, იდრისუ-4.5.

**გოლები:** 1:0 შაჰედი (7), 2:0 ბრუგინკი (10), 2:1 ბანოვიჩი (35), 3:1 ჰაგი (45), 3:2 ი. შუსტერი (82), 4:2 ია კონანი (85), 5:2 ს. პინტუ (90)

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 19(9)-14(4); **ჯარიმა:** 9-16; **კუთხური:** 3-6; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 28 412

### შტუტგარტი-ვერდერი 0:2

**შტუტგარტი:** ლემანი-2.5 - ჩელოცი-5.5 (41. ტრეში-4), ბულაჰრუზი-4, დელპიერი-5, ბოკა-5 - ხედირა-4, ჰიტლშპერგერი-5 - ჰიბერტი-5 (61. ელსონი-3.5), უოლში-4.5 - შიბერი-4 (61. პოგრებნიაკი-5), კაკაუ-3.5.

**ვერდერი:** ვიზე-2.5 - კ. ფრიტცი-3.5, მერტეზაკერი-2.5, ნალდო-3.5, პასანენი-3.5 - ფრინგსი-2 - ბარგფრედე-4 (58. ნიმაიერი-3.5), ჰანტი-3.5 - იოზილი-2 - პიზარო-2.5 (89. მორენო), მარინი-2.5 (80. როზენბერგი).

**გოლები:** 0:1 პიზარო (3), 0:2 ჰანტი (51)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 7(3)-11(6); **ჯარიმა:** 18-15; **კუთხური:** 4-7; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 42 000

### ჰერტა-ჰამბურგი 1:3

**ჰერტა:** ოქსი (33. ბუხერტი) - ა. ფრიდრიხი, კაკა, ფონ ბერგენი, პეიჩინოვიჩი - დარდაი - ებერტი, კაჩარი, ნიკუ (55. სესარი) - რაფაელი (70. დომოვჩიისკი) - რამოსი.

**ჰამბურგი:** როსტი - დემელი, ჟ. ბოატენგი, მატიისენი, აოგო - იაროლიმი, ზე რობერტო - ტორუნი, ელია (89. ტავარესი) - პეტრიჩი (63. ტორხოვსკი), მ. ბერგი (78. პიტროიპა).

**გოლები:** 1:0 ა. ფრიდრიხი (9), 1:1 კაკა (24-საკ. კარში), 1:2 იაროლიმი (38), 1:3 ზე რობერტო (40)

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 12(4)-11(3); **ჯარიმა:** 23-18; **კუთხური:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 37%-63%

**მაყურებელი:** 49 208

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 8 | 6 | 2 | 0 | 18-5 | 20 |
| 2. ჰამბურგი | 8 | 6 | 2 | 0 | 20-8 | 20 |
| 3. შალკე | 8 | 5 | 1 | 2 | 11-5 | 16 |
| 4. ვერდერი | 8 | 4 | 3 | 1 | 14-6 | 15 |
| 5. ჰოფენჰაიმი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-7 | 14 |
| 6. მაინცი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-13 | 14 |
| 7. ვოლფსბურგი | 8 | 4 | 1 | 3 | 16-15 | 13 |
| 8. ბაიერნი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-7 | 12 |
| 9. აინტრახტი | 8 | 2 | 4 | 2 | 8-10 | 10 |
| 10. ფრაიბურგი | 8 | 3 | 1 | 4 | 13-17 | 10 |
| 11. ჰანოვერი | 8 | 2 | 3 | 3 | 11-10 | 9 |
| 12. ბორუსია (დ) | 8 | 2 | 3 | 3 | 7-13 | 9 |
| 13. შტუტგარტი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-12 | 8 |
| 14. ბოხუმი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-15 | 8 |
| 15. ბორუსია (მ) | 8 | 2 | 1 | 5 | 9-16 | 7 |
| 16. კიოლნი | 8 | 1 | 2 | 5 | 5-10 | 5 |
| 17. ნიურნბერგი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-12 | 5 |
| 18. ჰერტა | 8 | 1 | 0 | 7 | 7-20 | 3 |

**ბომბარდირები:** 6 - კისლინგი (ლევერკუზენი); 5 - პისარო (ვერდერი); 4- ბანსე (მაინცი), დერდიოკი (ლევერკუზენი), ჯეკო (ვოლფსბურგი), ფარფანი (შალკე), გერერო (ჰამბურგი), იდრისუ (ფრაიბურგი), ივანშიტცი (მაინცი), მისიმოვიჩი (ვოლფსბურგი), ობასი (ჰოფენჰაიმი), როლფესი (ლევერკუზენი), ზე რობერტო (ჰამბურგი).

### II ბუნდესლიგა

#### VIII ტური

**ალემანია-კოტბუსი** 1:1
**გოლები:** 1:0 აუერი (9), 1:1 ფანდრიხი (80)

**დუისბურგი-უნიონი** 3:1
**გოლები:** 1:0 ლარსენი (28), 2:0 ლარსენი (48), 2:1 ბირანი (82), 3:1 ლარსენი (84)

**კობლენცი-ობერჰაუზენი** 0:1
**გოლი:** 0:1 კონიგი (52)

**ფიურტი-ფორტუნა** 2:1
**გოლები:** 0:1 ჰარნიკი (24), 1:1 ალაგუი (48), 2:1 ნ. მიულერი (85)

**პადერბორნი-აუგსბურგი** 2:2
**გოლები:** 0:1 თურქი (10-პენ), 1:1 საგლიკი (21), 2:1 ბრუკნერი (30), 2:2 თურქი (58)

**ალენი-ჰანზა** 0:2
**გოლები:** 0:1 სებასტიანი (54-პენ), 0:2 სებასტიანი (58. პენ)

**ფრანკფურტი-კაიზერსლაუტ.** 1:1
**გოლები:** 1:0 პუჯაბი (1), 1:1 იენდრიშეკი (45)

**ზტ. პაული-მიუნხენი** 3:1
**გოლები:** 1:0 როტენბახი (28), 2:0 ებერსი (58), 2:1 მლაპა (89), 3:1 ნაკი (90)

**კარლსრუე-არმინია** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაიზერსლაუტ. | 8 | 5 | 3 | 0 | 13-5 | 18 |
| 2. უნიონი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-10 | 17 |
| 3. ზტ. პაული | 8 | 5 | 1 | 2 | 20-9 | 16 |
| 4. ობერჰაუზენი | 8 | 5 | 1 | 2 | 9-9 | 16 |
| 5. არმინია | 7 | 5 | 0 | 2 | 16-8 | 15 |
| 6. ფიურტი | 8 | 4 | 0 | 4 | 17-15 | 12 |
| 7. ჰანზა | 8 | 4 | 0 | 4 | 13-13 | 12 |
| 8. აუგსბურგი | 8 | 2 | 5 | 1 | 15-13 | 11 |
| 9. ფორტუნა | 8 | 3 | 2 | 3 | 10-8 | 11 |
| 10. კოტბუსი | 8 | 3 | 2 | 3 | 15-16 | 11 |
| 11. დუისბურგი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-14 | 11 |
| 12. პადერბორნი | 8 | 2 | 4 | 2 | 13-11 | 10 |
| 13. ალემანიაა | 8 | 2 | 4 | 2 | 8-9 | 10 |
| 14. კარლსრუე | 7 | 3 | 1 | 3 | 10-12 | 10 |
| 15. მიუნხენი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-11 | 8 |
| 16. კობლენცი | 8 | 1 | 2 | 5 | 6-12 | 5 |
| 17. ფრანკფურტი | 8 | 0 | 2 | 6 | 4-18 | 2 |
| 18. ალენი | 8 | 0 | 1 | 7 | 3-15 | 1 |

**ბომბარდირები:** 8 - თურქი (აუგსბურგი); 7 - ფედერიკო (არმინია); 5 - აუერი (ალემანია), კუქი (კობლენცი), ნიოთე (ფიურტი), შაო (კოტბუსი), ს. ვაგნერი (დუისბურგი), ებერსი (ზტ. პაული).

### III ბუნდესლიგა

**კილი-შტუტგარტი II 2:0, ბორუსია II (დ)-ვეენი 1:1, ბრაუნშვაიგი-ჰაიდენჰაიმი 1:1, ბურგჰაუზენი-ვუპერტალი 1:0, აუე-რეგენსბურგი 3:1, ინგოლშტადტი-უნტერჰახინგი 2:2, ოფენბახი-კარლ ცაისი 4:0, ოსნაბრიუკი-ზანდჰაუზენი 3:1, ერფურტი-ბაიერნი II 2:0, ვერდერი II-დინამო 2:0.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა — აჭარის ღია პირველობა

# ქალებში ვივარგეთ, კაცებში ვერა

ბათუმში დამთავრდა აჭარის ღია პირველობა მშვილდოსნობაში, რომელშიც ორ ქართულ – აჭარისა და თბილისის გუნდებთან ერთად სომხეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებებიც გამოდიოდნენ. ტურნირს დიდი ისტორია არ გააჩნია, მაგრამ ტრადიციული კი ნამდვილად გახდა, რაც უთუოდ მისასალმებელი ფაქტია. ზემოხსენებული გუნდები ლამის უცვლელ მონაწილეებად იქცნენ, თუმცა წლეულს ტრადიცია კინაღამ დაირღვა და ბათუმში ფრიად სოლიდური იტალიის გუნდის ხილვის შესაძლებლობა გაჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ამაზე ნამდვილად ლაპარაკობდნენ და არა მხოლოდ ჩვენში, იტალიელებიც ბოლო წუთამდე გვაიმედებდნენ ჩამოსვლით, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრეს. არადა, მათი სტუმრობა ტურნირს წონას და პრესტიჟს უთუოდ შემატებდა, ახლა კი ისევ ძველი ნაცნობების ამარა დავრჩით. იქნებ ეს ტრადიციული გუნდები უძლიერესი შემადგენლობებით არ ჩამოდიან, მაგრამ ნიჭიერ ახალგაზრდებს კი ცდიან (ამ შეჯიბრების ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაც ესაა) და არცთუ ურიგო მონაწილეები გამოერევიან ხოლმე.

წლევანდელ ტურნირში 55-მდე ჩუბინი გამოდიოდა. ჩვენი ყურადღება ძირითადად ქალთა ტურნირისკენ იყო მიპყრობილი, სადაც საქართველოს ნაკრების ყველა ლიდერი ასპარეზობდა. ტურნირი მართლაც მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და ანგისას სტადიონზე მაყურებელმა ნაცნობი ფინალური წყვილი იხილა ნაცნობი შედეგით – აჭარის ნაკრების ლიდერმა **ხათუნა ნარიმანიძემ** დაძაბულ პაექრობაში 107:106 აჯობა თბილისის ნაკრების ლიდერ **ქრისტინე ესებუას** და ჩემპიონი გახდა. მოგეხსენებათ, ორივე ეროვნული ნაკრების ლიდერია და საქართველოში გამართული შეჯიბრებები მუდამ მათი ფინალით მთავრდება. ბათუმიდან ხელცარიელი არც თურქთა ქართველი მოძღვარი **ვლადიმერ ლეკვეიშვილი** წასულა – ხელს ბრინჯაო გააყოლა, რომელიც **ზეინულ იშულსუუნალიმ** მოიპოვა.

ცოტა უცნაურად განვითარდა მოვლენები ქალთა ტურნირის გუნდურ პაექრობაში. ალბათ, ბევრი აქაც მასპინძელთა დომინაციას ან თურქთა გაელვებას ელოდა. აჭარის ნაკრები მართლაც გავიდა ფინალში, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში მისი მეტოქე არა თბილისის ან თურქეთის ნაკრები, არამედ ორი აზერბაიჯანელისა და ერთი თურქისგან სახელდახელოდ შექმნილი ინტერნაციონალური გუნდი აღმოჩნდა. საბოლოოდ მასპინძლებმა – ნარიმანიძემ, **ასმათ დიასამიძემ** და **ნათია ცინცაძემ** 201:180 აჯობეს მოცილეს და ქალთა შეჯიბრების მეორე მთავარი ჯილდოც შინ დაიტოვეს, მესამეზე კი სომხები გავიდნენ.

ქალებისგან განსხვავებით, ვაჟთა შორის პირად პირველობაში თავი ვერაფრით გამოვიჩინეთ. საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენგან საუკეთესო მეხუთეზე გასული **შოთა წიბლიაშვილი** იყო. ასეთი შედეგი თავისთავად საგანგაშო და დამაფიქრებელია, მაგრამ კიდევ უფრო ცუდი ისაა, რომ ამ ნაკრების ლიდერად საბჭოთა სკოლიდან შემორჩენილი წიბლიაშვილი გვევლინება და არა ვინმე ახალგაზრდა. მართალია, აქა-იქ რომელიმე მათგანი (ძირითადად ბათუმელი **ტარიელ ქადიძე**) აჯობებს ხოლმე შედეგებით, მაგრამ ეს ვეტერანი კაცი, რომელმაც უკვე შვილიც ამოიყენა სასროლეთზე გვერდში, გუნდის წონადი და მეტად საჭირო წევრია. ახალგაზრდები მის ჩანაცვლებას თითქმის ვერ ახერხებენ და დაგვეთანხმებით, როცა ვეტერანს ლიდერობას ვერართმევენ, იქ წინსვლაზე ძნელია ლაპარაკი. ვაჟთა ნაკრებისთვის სუსტი გამოსვლა არახალია, მაგრამ იმედია, მეტს იმუშავებენ და ქალებს თუ ვერ გაუთანაბრდებიან, მიუახლოვდებიან მაინც.

პირადი პირველობა სომხებმა ლამის შინაურ, მეტიც, ოჯახურ საქმედ აქციეს და ფინალში იქაური ძმების - **არშაკ და ოვანეს პეტროსიანების** პაექრობა ვიხილეთ. საბოლოოდ, უფროსმა და უფრო გამოცდილმა არშაკმა 112:104 მოუგო უმცროს ძმას და მთავარი ჯილდოც ირგუნა. მესამეზე აზერბაიჯანელი **ემილ აქჩუსინი** გავიდა.

ალსანიშნავია, რომ არშაკ პეტროსიანმა წლეულს ბულგარეთში გამართულ ევროპის „დიდი პრიზის“ ტურნირზე ბრინჯაო მოიპოვა. ცხადია, ასეთი სპორტსმენის პატრონ გუნდს გამარჯვება არც გუნდურ პირველობაში გასჭირვებია, სადაც მომდევნო ადგილები ჩვენმა მსროლელებმა გაინაწილეს. ფინალში სომხებმა თბილისის ნაკრებს 193:180 სძლიეს, ბრინჯაო კი აჭარის გუნდმა მოიპოვა.

ეს ტურნირი ჩვენი მშვილდოსნებისთვის სეზონში ერთ-ერთი ბოლოა, მაგრამ ოქტომბერში კიდევ ორი შეჯიბრება გაიმართება. 16-18 ოქტომბერს ისევ ბათუმი ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, 23-25-ში კი თბილისში საქართველოს თასი გათამაშდება.

**ირაკლი თავაძე**



ხათუნა ნარიმანიძე

ცხენოსნობა — მსოფლიო თასის ეტაპი



შალვა გაჩეჩილაძე



ივანე ნორაკიძე

# გრან-პრი ჩვენია

## შალვა გაჩეჩილაძე პირველი მხედარია საქართველოდან, რომელმაც მსოფლიო ეგიდის ასპარეზობა მოიგო

საშეჯიბრებო სრული სამი დღის განმავლობაში, ასპარეზობის ბოლო სტარტამდე, აზერბაიჯანელი მხედრები შთამბეჭდავად დომინირებდნენ ყველა დისციპლინაში. ბაქოელები შესანიშნავი მერნებით ჩამოვიდნენ თბილისში საასპარეზოდ და ამიტომაც უცნაური და გასაკვირი მათ წარმატებაში არაფერი ყოფილა. არცთუ დიდი ხნის წინათ, რამდენიმე მაღალი კლასის ცხენი თბილისის „ჟოკეი კლუბმაც“ შეიძინა, მაგრამ ჯერ იმდენი დრო არ გასულა, ცხენ-მხედრის სრულ ურთიერთშეთვისებას რომ ესაჭიროება.

ბოლო სტარტი ვახსენეთ, რომელმაც, ჩვენდა საბედნიეროდ, ისტორიული მნიშვნელობაც კი შეიძინა. მთავარი სტარტი სწორედ ეს აღმოჩნდა საქართველოს ნაკრებისთვის დაბრკოლებათა გადალახვაში მსოფლიო თასზე „კავკასიის ლიგის“ გრან-პრის გათამაშებაში. ვერავინ იტყოდა, რომ ტურნირის ფინიშამდე ყველა სტარტის მომგები აზერბაიჯანელები მთავარ პრიზს დათმობდნენ, მით უფრო, რომ ცხენებიც და მხედრებიც უცვლელი იყო და, ასეთ ვთქვათ, საკონკურო მოედანი თავისი დაბრკოლებებით კარგად ჰქონდათ ათვისებულიც და დაცდილიც.

გრან-პრი უმაღლესი ჯილდოა, წინაღობათა უმეტესობაც 150 სმ-ია. აქ მხოლოდ საუკეთესო მერნები და რჩეული სპორტსმენები იბრძვიან წარმატებისთვის. ერთადერთი, ვისაც ხელი მოეცარა და ფინიშამდე ვერ მიაღწია, ყაზახი მხედარი იყო. არც დაეძრახება. ყაზახები, კონკურენტებისგან განსხვავებით, უმერნებოდ ჩამოვიდნენ თბილისში. მართალია, მასპინძლებმა ცხენები კი დაუთმეს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ცხენი ცოცხალი არსებაა და არა უბრალოდ სპორტული ინვენტარი. სულიერთან გვაქვს საქმე და ერთობლივი მზადების გარეშე წარმოუდგენელიცაა წარმატებაზე ფიქრი. თუმცა, ყაზახებს ეს დიდად არ ანაღვლებდათ, — ისინი უკონკურსოდ ჩაებნენ „კავკასიის ლიგის“ ასპარეზობაში.

გრან-პრის გათამაშებაში სტარტზე პირველს **სეიდ მუსაევს** უხმეს. მან 12 საჯარიმო ქულით გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ბუნებრივია, ეს შედეგი იქცა ორიენტირად. ვერც მომდევნო სამმა მხედარმა მოახერხა დაწინაურება. აი, მეოთხემ კი იმავე 12 საჯარიმო ქულით დაასრულა რთული დისტანცია, მაგრამ საკონტროლო დროს ოდნავ გადაამეტა. ეს მხედარი თბილისელი **ივანე ნორაკიძე** იყო. დანარჩენები ამაოდ შეეცადნენ გადაესწროთ ლიდერებისთვის. დარჩა ბოლო მონაწილე — **შალვა გაჩეჩილაძე**. ამ მხედარმა დინჯად აიღო სტარტი, წმინდა ნახტომებით, უჯარიმოდ დასძლია ზედიზედ დაბრკოლებათა წყება და მაშინ, როცა ფინიშამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა, პარალელურ წინაღობას წამოსდო მისმა „სატურნმა“ უკანა ფეხი, რაც მხედარს 8 საჯარიმო ქულა დაუჯდა. მაგრამ ეს უკვე გამარჯვება იყო — ბრწყინვალე გამარჯვება. ზოგადად ქართული სპორტისა და კერძოდ, საქართველოს ცხენოსნობის ისტორიაში, ქართველმა მხედარმა პირველად მოიპოვა წარმატება მსოფლიო რანგის ასპარეზობაში – მოიგო მსოფლიო თასის ეტაპის გრან-პრი. მეორე ადგილი **სეიდ** მუსაევს ხვდა, მესამე — ივანე ნორაკიძეს. გამარჯვებული ცხენოსნობის სპეციალობით ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის (სპორტის აკადემიის) IV კურსის სტუდენტია.

გრან-პრიმდე დილით, დელისის იპოდრომზე მხედრები ახალგაზრდა ცხენებით ეცილებოდნენ ერთმანეთს მთავარ ჯილდოს. საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური აზერბაიჯანელმა მხედრებმა დაიკავეს. პირველი იყო **რაშიდ სამედოვი**, მეორე — **ელმარ აბდულაევი**, მესამე — **რაჰიბ იზმაილოვი**.

ბარემ შაბათის შედეგებსაც გაგაცნობთ. ახალგაზრდა ცხენებით ორ ფაზად (12 დაბრკოლება, 13 ნახტომი) ადგილები ასე განაწილდა: 1. ელმარ აბდულაევი, 2 რაშიდ სამედოვი, 3. რაჰიბ იზმაილოვი, 4. **ზაზა ჩიტრეკაშვილი** (საქართველო). უფროსი ასაკის ცხენებისთვის „ჯოკერში“ პირველ-მეორე ადგილზე გავიდა სეიდ მუსაევი (ორი სხვადასხვა ცხენით), მესამე იყო ივანე ნორაკიძე.

ასპარეზობას მაღალი შეფასება მისცეს ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციიდან მოვლინებულმა სპეციალისტებმა.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

ავტორის ფოტოები

კიკბოქსინგი

# ჩემპიონის რვა ჩემპიონი

ბაქოში გამართულ საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა დედოფლისწყაროს სპორტკლუბ „ჩემპიონის“ გუნდმა **თამაზ ყარაგვეზაშვილის** ხელმძღვანელობით. საქართველოს ათი წარმომადგენლიდან რვამ პირველობა მოიპოვა. უმცროსებში ეს არის **ზურაბ ჯეთერიშვილი** და **გელა იოკაბაშვილი**; უფროსებში: **არსენ ყარაგვეზაშვილი, ნოდარ ცხოვრებაძე, ხვიჩა ქოქუაშვილი, შორენა ჯავახიშვილი, ფიქრია მენთეშაშვილი** და **ინგა ფილიპოვა**.

უმცროსი ასაკის სპორტსმენები ოჯახმა დააფინანსა. უფროსებს კი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **ავთანდილ ლეკიშვილი** დაეხმარა. კლუბი „ჩემპიონი“ საქართველოს არაერთგზის გამარჯვებულია კინგბოქსინგში გუნდურ ჩათვლაში და საერთაშორისო სარბიელზეც ბევრჯერ უსახელებია თავი.



რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი



ალექსანდრე კორძაშვილის ფოტოები



# ბათუმური გაკვეთილები თბილისელებისათვის

**ლოკომოტივი-ბათუმი XV 15:17**

ლოკომოტივი: (15-9) **გოგია, ტუჩაშვილი, კობერიძე (ანდღულაძე 78), ქავთარაძე (გუგავა 62), ჟამუტაშვილი, ნიკლაური, ღვინჯილია. (1-8) პეტრიაშვილი (ელოშვილი 70), გენებაშვილი, ნაცარაშვილი, ოზბეგაშვილი (გუჯარაიძე 70), ჩიტიძე, ნიშნიანიძე, ბერიშვილი, ზ.მაისურაძე.**

*5ს: ნიკლაური.*

ბათუმი XV: (15-9) **სვინტრაძე, ევგენიძე, აშვეთია, ხონელიძე, ცისკარიშვილი, ნინიძე, კიკაჩეიშვილი. (1-8) ღლონტი (დუმბაძე 70), აბესლამიძე, მოქია (დიაკონიძე 70), კუნჭულია (შენგელია 70), ბერიძე, გუგუშვილი, თხილაშვილი, სირბილაძე.**

*ლ: კიკაჩეიშვილი. 4ს: ნინიძე.*

მსაჯი: **ფილიპ ბონური (საფრანგეთი).**

საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფში კიდევ ერთი სენსაცია დაფიქსირდა. „ვისოლი ყოჩებთან" გამარჯვების შემდეგ, მცირე ფინალში, გათამაშების დებიუტანტმა „ბათუმი XV"-მა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი" დაამარცხა - 17:15 და პირველობისთვის ბრძოლას აგრძელებს.

ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ შეხვედრა უშეღავათო, უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ორივე გუნდი თითქმის ერთნაირი სათამაშო სტილის მიმდევარია. მთავარი დამრტყმელი ძალა ორივეს შერკინება ჰყავს. ისე გამოვიდა, რომ სწორედ ამ კომპონენტში უკეთესად ბათუმელებმა ითამაშეს. სტატიკასა და დინამიკაში მეტოქეს აჯობეს.

მორკინალებს მხარი უკანახაზელებმაც აუბეს. ძალიან კარგად გაისარჯა შერკინების ნახევარმცველთა დუეტი - ცხრა ნომერი **ზურაბ კიკაჩეიშვილი** და მგეზავი **მამუკა ნინიძე**. არაერთხელ გაჭრეს მეტოქის ხაზი შუამარბებმა **გოჩა ხონელიძემ** და **თორნიკე აშვეთიამ**.

ბათუმელთა უპირატესობა ანგარიშში მხოლოდ მატჩის მინურულსღა აისახა. მანამდე მათ მინიმუმ სამი ლელოს გატანის უაღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობა ჰქონდათ, თუმცა გამოყენება ვერ შეძლეს, რაც სავარაუდოდ მაინც, არასათანადო სათამაშო კლასის მაჩვენებელია. თუმცა ეს ის შემთხვევაა, რომლის გამოსწორებაც სამომავლოდ სავსებით შესაძლებელია. ასევე აღსანიშნავია ბათუმელთა საკმაოდ არადამაჯერებელი თამაში დერეფანში.

„ლოკომოტივი" ამ შეხვედრაში ლიდერის, მგეზავი **ბობა კვინიხიძის** გარეშე გამოვიდა საასპარეზოდ. ბობა ფეხის ტრავმამ შეაწუხა, რაც გუნდისთვის ფატალური აღმოჩნდა. მისი არყოფნა ლოკომოტიველებს აშკარად დაეტყოთ.

შემცვლელი **ბექა ნიკლაური** მაქსიმალურად ეცადა, საჯარიმოებიც ზუსტად ურტყა და ფეხით თამაშსაც ვერ დაუწუნებდი, თუმცა შეტევის დასკვნით ფაზებში სწორი გადაწყვეტილების მიღება უჭირდა და თანაც, თანაგუნდელებიც ხშირად სცოდავდნენ.

მატჩის პირველი ტაიმი „ლოკომოტივმა" მოიგო - 9:3. ბექა ნიკლაურის სამ საჯარიმოს, ბათუმელმა მამუკა ნინიძემ ერთით უპასუხა. „ჩეჩენამ" ამის გარდა თითო არეკნი და საჯარიმო გააცუდა. არეკნით კარის დალაშქვრა ერთხელ ნიკლაურმაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

მე-2 ტაიმის დასაწყისში, 48-ე წუთზე „ლოკომოტივი" ანგარიშში კიდევ უფრო დაწინაურდა. საჯარიმოდან ისევ ნიკლაურმა გაიტანა - 12:3. ამის შემდეგ „ ბათუმი XV" საგრძნობლად გააქტიურდა. სათამაშო უპირატესობა მთლიანად ხელთ იგდო და 66-ე წუთისთვის ანგარიშის გათანაბრებაც შეძლო - 12:12. სამი საჯარიმო ნინიძემ დაარტყა ზუსტად.

ფრე ხელს „ლოკომოტივს" აძლევდა, რომელიც საბოლოო უპირატესობას იმით აღწევდა, რომ რეგულარულ გათამაშებაში უფრო მაღალი ადგილი დაიკავა, თუმცა რკინიგზელები ამის იმედად არ დარჩენილან და ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. 70-ე წუთზე ნიკლაურმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და „ლოკომოტივი" ისევ დაწინაურდა.

ბოლო, გამარჯვების მომტანი შეტევა ბათუმელებმა თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე წამოიწყეს. შეტევის მარცხენა ფრთაზე, მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 15 მეტრში დერეფანი მოიგეს, მოლი შეკრეს და დაახლოებით ათი მეტრი გაიარეს. მერე თამაში რაკში გადავიდა. მორკინალთა ორი მოკლე დარტყმის შემდეგ, ბურთი რაკიდან ცხრა ნომერმა ზურაბ კიკაჩეიშვილმა აიტაცა, მოკლე ფრთიდან შეუტია და ლელოში შეაღწია. გარდასახვა კიდიდან ნინიძემ ვერ გაიტანა - 17:15.

დარჩენილ ორ წუთში სტუმრებმა ანგარიშის შენარჩუნება შეძლეს და „სინათლის" სტადიონზე საქომაგოდ მოსულ მრავალრიცხოვან ბათუმელ გულშემატკივარს უდიდესი სიხარული მოჰგვარეს.

**ფინალი**

10 ოქტომბერი

**ლელო-ბათუმი XV**

ლეგიონერები

# ქართული დუეტი ლიდერობს

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-9 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ჩაუდგა: „კლერმონი" და „კასტრი".

თუ **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონის" ლიდერობა არც სიახლეა და არც გასაკვირი, **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრის" წარმატებული თამაში მიმდინარე გათამაშების ყველაზე დიდი მოულოდნელობაა. კასტრელებს, მართალია, საკმაოდ მდიდარი ტრადიციები აქვთ, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში მუდამ დივიზიონში დარჩენისთვის უწევდათ ბრძოლა.

ამჟამად, როგორც ჩანს, გუნდმა საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო და მრავალწლიანი, მიზანმიმართული, მუხლმოუხრელი შრომა ნაყოფს ისხამს. მე-9 ტურში „კასტრი" საკუთარ მოედანზე **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს" დაუპირისპირდა და უაღრესად რთულ ბრძოლაში დაამარცხა - 21:19.

მატჩის პირველი ნახევარი ტულონელებმა 16:12 მოიგეს, მაგრამ კასტრელმა დამრტყმელებმა **რომან ტოლემ და კემერონ მაკინტრიმ** გუნდის მონაგარი ოცდაერთამდე გაზარდეს. ამ უკანასკნელის ანგარიშზე სულაც ორი არეკნია, ამათგან ერთი, რომელიც 76-ე წუთზე გაიტანა, გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა.



ტულონელმა **ჯონი ვილკინსონმა** გუნდს 14 ქულა შესძინა (სამი საჯარიმო, ერთი გარდასახვა და ერთიც არეკნი). ქუბრიაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. ძირითად შემადგენლობაში იყო გიორგაძეც, რომელიც 59-ე წუთზე შეცვალეს.

ერთ-ერთ აუტსაიდერ, „ბაიონთან" საკუთარ მოედანზე დამაჯერებლად გაიმარჯვა დავით ზირაქაშვილის „კლერმონმა" - 38:13. ვულკანებმა მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს და ერთი პრემიალური ქულაც ირგუნეს. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 70-ე წუთზე შეცვალეს.

სულ უფრო რთული ხდება **მამუკა გორგოძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიეს" სატურნირო მდგომარეობა. ჩვენებურთა გუნდმა მე-9 ტურში შინ წააგო გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტ „ტულუზთან" - 12:30. მონპელიელები მე-20 წუთისთვის უკვე 24:0-ს აგებდნენ და წარმატების მიღწევის იოტისოდენა შანსიც არ ჰქონიათ.

ამ მარცხის შემდეგ მონპელიელები სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე დამკვიდრდნენ და მათზე ერთი საფეხურით წინ მყოფ „ბაიონს" სამი ქულით ჩამორჩებიან. „ტულუზთან" შეხვედრაში ჩხაიძეს მონაწილეობა არ მიუღია, ის ტრავმირებულია. გორგოძე თადარიგში იყო და მოედანზე 46-ე წუთიდან გამოჩნდა.

სტუმრად დამარცხდა „მეტრო რასინგთან" **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანი" - 12:17. შველიძე თამაშში მე-40 წუთიდან ჩაერთო. შეყლაშვილი სათადარიგოთა შორის იყო, მაგრამ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

სტუმრად წააგო „სტად ფრანსესთან" **დავით ხინჩაგიშვილის „ბრივმა" - 16:44.** მართალია, სტუმრებმა **ენდი გოდის** არეკნით ანგარიში გახსნეს, მაგრამ მერე პარიზელთა უპირატესობა იმდენად საგრძნობი გახდა, რომ გამარჯვებულის ვინაობაში ეჭვი არავის შეჰპარვია. ხინჩაგიშვილი თამაშში 45-ე წუთიდან ჩაერთო.

საფრანგეთი. I დივიზიონი: IX ტური: **სტად ფრანსე - ბრივი 44:16, კლერმონი - ბაიონი 38:13, მონპელიე - ტულუზი 12:30, მეტრო რასინგი - მონტობანი 17:12, კასტრი - ტულონი 21:19, ბიარიცი - პერპინიანი 27:12, ბურგუენი - ალბი 26:16.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. კლერმონი - 30 ქულა, 2. კასტრი - 29, 3. ბიარიცი - 28, 4. პერპინიანი - 27, 5. ტულუზი - 26, 6. სტად ფრანსე - 24, 7. ტულონი - 21, 8. ბურგუენი - 20, 9. მეტრო რასინგი - 19, 10. ბრივი - 18, 11. მონტობანი - 17, 12. ბაიონი - 16, 13. მონპელიე - 13, 14. ალბი - 8.**

რუსეთის სარაგბო ჩემპიონატის სუპერლიგის პლეი ოფში განმეორებითი შეხვედრები გაიმართა. კრასნოიარსკში **რატი ურუშაძისა და დიმა პავლოვის** „ენისეიმ" **თემურ სოხაძის** „კრასნი იარს" სძლია - 18:9. პირველი შეხვედრა იარელების გამარჯვებით დასრულდა და ამიტომ მესამე, გადამწყვეტი მატჩი კვირის თავზე ისევ „ენისეის" მოედანზე გაიმართება.

ამ შეხვედრაში „კრასნი იარს" ცხრა ქულა თემურ სოხაძემ მოუტანა სამი საჯარიმო დარტყმით. „ენისეის" შემადგენლობაში თავიდან ბოლომდე ითამაშა რატი ურუშაძემ. პავლოვს მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

გევარდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ლეგიონერები

ხორვატია

# ბოისა იგებს და იგებს...



ხორვატულმა "ზადარმა" ერთმანეთის მიყოლებით ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, ჯერ ბოსნიაში ჩავიდა და "შიროკი" მისსავე გულშემატკივრის თვალწინ დაამარცხა (76:57), შემდეგ ხორვატიაში დაბრუნდა, "სპლიტს" უმასპინძლა და ამ შემთხვევაშიც გამარჯვებული გამოვიდა – 102:66.

"ზადარის" ქართველი ფორვარდი **ვლადიმერ ბოისა** ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ხვდება და სტატისტიკაც სტაბილური აქვს. ბოსნიაში გამართულ შეხვედრაში ვოვა "ზადარის" სნაიპერთა სამეულში შევიდა – 12 ქულა ჩააგდო. **მარკო კარმა** 17 ქულა მიითვალა, ხოლო **ტომისლავ რუჟიჩმა** – 13.

ამ მატჩში ხორვატებმა გარდატეხა მესამე პერიოდში შეიტანეს, 10:0 გაიქცნენ და 43:32 დაწინაურდნენ. 10-დან 6 ქულა ვლადიმერ ბოისამ საკუთარ ანგარიშზე ჩაიწერა. სხვათა შორის, ამის შემდეგ "შიროკის" თამაშის გადარჩენის შანსი აღარ მისცემია.

ზადარელებმა "სპლიტთან" შეხვედრაშიც მესამე პერიოდში გადაწყვიტეს გამარჯვებულის ბედი – 29:4 მოიგეს და მეოთხე პერიოდის წინ 81:42 დაწინაურდნენ... საბოლოოდ 102:66.

ამ მატჩში ბოისამ 11 ქულა ჩააგდო, თუმცა ამჯერად "ზადარის" ბომბარდირთა სამეულში ვერ შევიდა, რადგან **სმიტმა, დაუნსმა** და კარმა ორ ათეულს უწიეს. სნაიპერი 24 ქულით სმიტი გახდა.

"ზადარი" პირველ ოფიციალურ მატჩს კარგად მომზადებული ხვდება – 10 ოქტომბერს ადრიატიკის თასზე სლოვენიის "ოლიმპიას" უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი

იტალია

# მესამენი

**მანუჩარ მარკოიშვილის** "კანტუმ" ანდრეა რუფოს მემორიალზე მესამე ადგილი დაიკავა.

ნახევარფინალში კანტუელთა მეტოქე "ფერარა" იყო, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში ბოლო წამებზე 92:87 გაიმარჯვა.

ამ მატჩში მანუჩარ მარკოიშვილმა 14 ქულა ჩააგდო. სხვათა შორის, მან ბოლო წამებზე შორეული სამქულიანი ისროლა, მაგრამ მიზანს ვერ უწია.

მეორე ნახევარფინალში "ვარეზემ" "ბიელას" აჯობა. შესაბამისად მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს "კანტუ" და "ბიელა" დაუპირისპირდნენ. ორიოდე დღის წინ 71:73 წაგებისთვის მარკოიშვილის თანაგუნდელებმა შური იძიეს – ბიელელები 97:75 დაამარცხეს და მემორიალზე მესამე ადგილი დაიკავეს.

წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ქართველმა უკანახაზელმა. მან მეოთხე პერიოდში ერთმანეთის მიყოლებით 7 ქულა ჩააგდო და "კანტუ" 79:61 დააწინაურა.

ამ შეხვედრაში მანუ 12 ქულას გამორჩა.

ვაჟა სიმონიშვილი

# სუპერთასიც მონტეპასკისაა

იტალიაში სუპერთასისთვის ბოლონიის "ვირტუსმა" და სიენის "მონტეპასკიმ" ითამაშეს. პირველის ღირსებას **ვიქტორ სანიკიძე** იცავს, ხოლო მეორეში **ნიკა მეტრეველი** ირიცხება. აქვე გეტყვით, რომ "მონტეპასკის" მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** ნიკა განაცხადში არ შეიყვანა.

სამაგიეროდ, სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა ვიქტორი, რომელმაც მოედანზე 26 წუთი დაყო, თუმცა ისეთი სტატისტიკა არ ჰქონდა, როგორსაც მისგან მიჩვეულნი ვართ. სანიკიძემ მეტოქის კალათისკენ მხოლოდ ოთხჯერ ისროლა, ერთი სამქულიანი, ორი ორიანი გააცუდა და 2 ქულას დასჯერდა. თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ ქართველ ფორვარდს სხვებთან შედარებით დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა – ვირტუსელთაგან ყველაზე მეტი, 6 მოხსნა მიითვალა.



სანიკიძე (№13) მონტეპასკისთან მატჩში

როგორც მოსალოდნელი იყო, სუპერთასი იტალიის მოქმედ ჩემპიონს, "მონტეპასკის" დარჩა. სიენელებს პირველ პერიოდში გაუჭირდათ, თუმცა მეორე მეოთხედში 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს და საფინალო სირენამ მათი 22-ქულიანი გამარჯვება დააფიქსირა – 87:65. ასე და ამგვარად, სუპერთასს "მონტეპასკი" დაეუფლა. ამ საქმეში ყველაზე დიდი წვლილი **რომან სატოს** მიუძღვის, რომელიც 19 ქულით მატჩის სნაიპერი გახდა. მან 5-დან 4 სამქულიანი ჩააგდო. სხვათა შორის, სიენელთა გამარჯვება პირველ რიგში სწორედ პერიმეტრზე კარგი თამაშის დამსახურებაა. მათ 15 სამქულიანი ჩააგდეს, მაშინ როცა "ვირტუსის" კალათბურთელებმა მხოლოდ 4 შორეული სროლა გამოიყენეს.

ვაჟა სიმონიშვილი

საბერძნეთი

# ტრიკალამ კავალასთან გაიქვავა

საქართველოს ნაკრების და ბერძნული "ტრიკალას" გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ** როდოსის ოთხთა ტურნირი დაასრულა. პირველ დღეს „ბუს" (ცინცაძის მეტსახელი) გუნდი "კოლოსს" ვერ შესწვდა, სამაგიეროდ, მეორე დღეს "კავალას" აჯობა – 86:73. მესამე პერიოდში "ტრიკალამ" 24-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა (72:48) და ბოლო რაუნდში მეტოქეს სხვაობის ოდნავ შემცირების უფლება მისცა. როგორც გითხარით, ტრიკალელებმა 86:73 გაიმარჯვეს.

გიორგი ცინცაძე სასტარტო ხუთეულში იყო და 6 ქულას გამორჩა. მატჩის გმირი ტრიკალელი **პაუელი** გახდა, რომელმაც 27 ქულა მიითვალა. მორიგ მატჩს ცინცაძის თანაგუნდელები 7 ოქტომბერს გამართავენ – საბერძნეთის თასზე ლარისას "ოლიმპიას" გაეჯიბრებიან.

აქვე საბერძნეთში მოასპარეზე მეორე ქართველზე, **გიორგი შერმადინზე**, უფრო სწორად მის კლუბზე მოგახსენებთ. "პანათინაიკოსმა" ალექსანდრე გომელსკის მემორიალის ფინალში მასპინძელი ცსკა 78:72 დაამარცხა. გიორგის ტრავმის გამო არ უთამაშია – ნახევარფინალში "ტრიუმფთან" მატჩის მე-20 წამზე მას ცხვირი გაუტეხეს და ექიმებმა 10-დღიანი იძულებითი დასვენება გამოუწერეს.

ვაჟა სიმონიშვილი

# მათიაშვილი: ავიამშენიდან პირდაპირ ტეხასში



რიჩარდ მათიაშვილი

2007 წელს, 207 სმ. სიმაღლის **რიჩარდ მათიაშვილს** ამერიკის კოლეჯების ლიგიდან მიწვევა მოუვიდა, თუმცა ამერიკის საელჩომ ვიზა არ მისცა. ამ ამბით თავად კალათბურთელიც გაკვირვებული იყო. მას შემდეგ რიჩომ რამდენჯერმე სცადა ამერიკაში კარიერის გაგრძელება, თუმცა უშედეგოდ.

მას მიწვევა ამ ზაფხულსაც ჩამოუვიდა და, ბოლოს და ბოლოს, საელჩომ ვიზა მისცა.

- ტეხასის შტატის ტაილერის იუნიორთა კოლეჯში ჩავირიცხე. უკვე გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და ახალი სეზონისთვის ვემზადები. ვიმედოვნებ, ამერიკაში თამაში ჩემს კარიერაზე დადებით კვალს დატოვებს, - აღნიშნა რიჩარდ მათიაშვილმა.

მისი გუნდი კოლეჯების იუნიორთა ლიგაში ნოემბრიდან ჩაერთვება. მანამდე შეგახსენებთ, რომ მათიაშვილი ბოლო ორი სეზონი "ავიამშენის" მაისურით თამაშობდა, 2009 წელს ბრინჯაოს მედალი მოიგო, ხოლო 2008-ში ვერცხლი. "ავიამშენამდე" რიჩარდი თსუ-ს, მანამდე კი "სტუ-ჯეოსელის" ღირსებას იცავდა. სწორედ ტექნიკოსებთან ერთად გახდა საქართველოს ჩემპიონი. იგი საქართველოს კადეტთა ნაკრებშიც რეგულარულად თამაშობდა და ახალგაზრდულშიც. ამ ზაფხულს 20-წლამდელებთან ერთად B დივიზიონში მერვე ადგილი დაიკავა, საშუალოდ 10.9 ქულასა და 7.1 მოხსნას აგროვებდა.

ვაჟა სიმონიშვილი

ჭადრაკი

# სამაია ევროპით იწყებს

მაკედონიის ქალაქ ოჰრიდში გუშინ დაიწყო და 10 ოქტომბერს დამთავრდება მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. მანდილოსნებისთვის შეჯიბრება მეთოთხმეტედ იმართება. წლეულს მასში მხოლოდ 11 გუნდი მონაწილეობს. მათ შორისაა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით ჩამოყალიბებული თბილისური კლუბი „სამაია" (**მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, სალომე მელია, მაია ლომინეიშვილი**, გუნდის კაპიტანი — **ნინო გურიელი**, მწვრთნელები — **ზურაბ სტურუა** და **ხვიჩა სუპატაშვილი**), ფაქტობრივად, შარშანდელი საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონებით დაკომპლექტებული, **ნანა ძაგნიძის** (ჩინეთში ფიდეს გრან-პრის გათამაშებაში მონაწილეობს) გამოკლებით. იგი სალომე მელიამ შეცვალა. ჩვენს გუნდს საშუალო რეიტინგით (2465) ტურნირზე მე-3 საფეხური უკავია. მას უსწრებენ მონაკოს „მონტე კარლო" (2595) და ვიდნოეს „სპარტაკი" (2510). „მონტე კარლო" 2007 და 2008 წლების გათამაშების გამარჯვებულია. მის შემადგენლობაში შარშან ინდოელ **ჰამფი კონერუსთან** (2595), შვედ **პია კრამლინგთან** (2535), პოლონელ **მონიკა სოცკოსთან** (2436) და ფრანგ **ელმირა სკრიპჩენკოსთან** (2448) ერთად ნანა ძაგნიძეც გამოდიოდა. წლეულს მის ნაცვლად ევროპის ორგზის ჩემპიონებმა რუსი **ალექსანდრა კოსტენიუკი** (2516) დაიმატეს.

შეჯიბრებაში კიდევ ორი ქართველი დიდოსტატი ჩაება — რუმინული იაშის გუნდის ღირსებას იცავს შოტლანდიაში მცხოვრები **ქეთევან არახამია**, ხოლო ერევნის „მიკას" შემადგენლობაში მესამედ თამაშობს **ნინო ხურციძე**. საგულისხმოა, რომ 14 წლის წინათ ქალთა პირველი საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულია თბილისის „მერანი", 2004 და 2005 წლებში კი ოქროს მედლები დედაქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან არსებულმა საჭადრაკო კლუბმა **ნტნ**-მა დაისაკუთრა.

მამაკაცთა გუნდები 25-ედ შეეცილებიან ერთმანეთს პირველობას. საშუალო რეიტინგით პირველი-მესამე ადგილები რუსულ გუნდებს — სარატოვის „ეკონომიკს" (2706), სვერდლოვსკის ოლქის „ურალს" (2696) და მოსკოვის კლუბს (2692) უკავიათ. სამწუხაროდ, ჩვენი ვაჟები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ.

| პირველი ტურის შედეგები. ქალები | |
|---|---|
| **ბასი (სერბეთი)–სამაია (საქართველო)** | **1.5:2.5** |
| ინა გაპონენკო-მაია ჩიბურდანიძე | 0,5:0,5 |
| ნატაშა ბოიკოვიჩი-ლელა ჯავახიშვილი | 0:1 |
| ტატიანა ვასილევიჩი-მაია ლომინეიშვილი | 1:0 |
| ანჟელიკა სტოიანოვიჩი-სალომე მელია | 0:1 |
| **კოტნარი/პოლიტექნიკა (რუმინეთი)–მონტე კარლო (მონაკო)** | **2:2** |
| ქეთევან არახამია-ჰამფი კონერუ | 0:1 |
| ელენა დემბო-პია კრამლინგი | 1:0 |
| კორინა-იზაბელა პეპტანი-მონიკა სოცკო | 1:0 |
| ალინა მოტოჩი-ელმირა სკრიპჩენკო | 0:1 |
| **სპარტაკი (რუსეთი)–მიკა (სომხეთი)** | **4:0** |
| ტატიანა კოსინცევა-ელინა დანიელიანი | 1:0 |
| ანტუანეტა სტეფანოვა-პარიკა დრონავალი | 1:0 |
| ნადეჟდა კოსინცევა-ნინო ხურციძე | 1:0 |
| კატერინა ლაჰნო-ლილით გალოიანი | 1:0 |
| **ეკონომისტი (რუსეთი)–პოლონია ვოტკუმი (პოლონეთი)** | **2.5:1.5** |
| ანა მუზიჩუკი-ივეტა რაილიჩი | 0,5:0,5 |
| ოლგა ილიუშინა-იოლანტა ზავადსკა | 0,5:0,5 |
| ანა უშენინა-კარინა ჰოროვსკა | 0,5:0,5 |
| ელიზაბეტ პეტცი-მონიკა კრუპა | 1:0 |
| **რადნიკი (სერბეთი)–პოდგორიცა (ჩერნოგორია)** | **1:3** |
| ირინა ჩელუშკინა-ჰოანგ თათრანგი | 0,5:0,5 |
| ქრისტინა-ადელა ფოიშორი-ვიქტორია ჩმილიტე | 0:1 |
| სვეტლანა პეტრენკო-ალისა მარიჩი | 0,5:0,5 |
| ანა ბენდერასი-ეკატერინა კოვალევსკაია | 0:1 |

დღეს მეორე ტურში ერთმანეთს ხვდებიან: ეკონომისტი-სპარტაკი, პოდგორიცა-სამაია, მონტე კარლო-ვანდუვ ეში (საფრანგეთი), მიკა-პოლიტექნიკა, პოლონია-ბასი. *ისვენებს რადნიკი.*

ვაჟა დანელია


ბასისა და სამაიას შეხვედრის მომენტი

# ტაიმ-აუტი გამოიყენა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ ჩინურ ნანცზინში მოჭადრაკე ქალებმა ფიდეს გრან-პრის მე-6 ტურის პარტიები გაითამაშეს: საქართველოს ნაკრების წევრმა **ნანა ძაგნიძემ**, ეტყობა, კარგად გამოიყენა ტაიმ-აუტი, რადგან მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს დიდოსტატს **სიუ იუჰუას** (ჩინეთი) შავი ფიგურებით 35-ე სვლაზე გააჩერებინა საათი და 6 შესაძლებლიდან 5 ქულით კვლავ ერთპიროვნულად მეწინავეობს. ლიდერს ქულით ჩამორჩება უახლოესი მდევარი, ფრანგი **მარი სებაგი**, რომელმაც მე-5 ტურში ძაგნიძეს აგემა ის ერთადერთი მარცხი, ხოლო გუშინ ჩინელ **ცზიუ ვენცზიუნს** აჯობა. ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ბაირა კოვანოვა** (რუსეთი)-**ბელთუზ ილდიზი** (თურქეთი) 1:0, **ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი)-**მარტა ფიერო** (ეკვადორი) 1:0, **ჟაო სიუ** (ჩინეთი)-**ჟუ ჩენი** (ყატარი) 1:0, **შენ იანი** (ჩინეთი)-**ბაიათ მონგონთუული** (მონგოლეთი) 0,5:0,5.

6 ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს მკრტიჩიანი, ჟაო სიუ და სიუ იუჰუა ინაწილებენ. შემდეგ მოდიან: ჩუ ჩენი, მონგონთუული, კოვანოვა, ვენცზიუნი — 3-3, შენ ინი — 2,5, ფიერო — 2, ილდიზი — 0 ქულა.

დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: ფიერო-ჟაო სიუ, ძაგნიძე-შენ იანი, მონგონთუული-მკრტიჩიანი, ცზიუ ვენცზიუნი-სიუ იუჰუა, ილდიზი-სებაგი, ჟუ ჩენი-კოვანოვა.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



კონტაქტები



# რომის ვიცე-მერი სეოკ-ში

იტალიის დედაქალაქ რომის ვიცე-მერი **უმბერტო კორპი** ამ დღეებში ოფიციალური ვიზიტით თბილისში იმყოფებოდა. საპატიო სტუმარს შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში. სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტებმა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა **დავით გობეჯიშვილმა** და **ვახტანგ გეგელიამ** რომის ვიცე-მერს ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე ქართველ სპორტსმენთა წარმატებები გააცნეს. სტუმარ-მასპინძლები შეეხნენ იმ საკითხებს, რომლებშიც თანამშრომლობა ხელმისაწვდომია.

— ამას წინათ იტალიაში მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიყავით და ეს შეხვედრაც მაშინ დაიგეგმა, — გვითხრა დავით გობეჯიშვილმა. — რაც მთავარია, პირველი დიალოგი შედგა. მოხარული ვარ, რომ ორივე მხარე მზად არის სათანამშრომლოდ. სტუმარს თანადგომა შევთავაზეთ ჭიდაობასა და ძიუდოში, მათ კი წყალბურთში, კრივსა და ფეხბურთში ვთხოვეთ დახმარება. ამ სახეობებში კონსულტანტები, მწვრთნელები, მეთოდური სახელმძღვანელოები შეუძლიათ გამოგვიგზავნონ. დღევანდელმა შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ კონტაქტები აუცილებლად გაღრმავდება.

ვახტანგ გეგელია: — ჩვენ ნებისმიერ ქვეყანასთან სათანამშრომლოდ მზად ვართ, მით უმეტეს — იტალიასთან, რომელსაც ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ჩატარების მდიდარი გამოცდილება აქვს და მისი გაზიარება ჩვენთვის სასარგებლო იქნება.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

კარატე

# ზვიადაური კმაყოფილია და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება



საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციამ კიდევ ერთ ეროვნულ ნაკრებს მოსტუმრებინა საერთაშორისო ტურნირი. ამჯერად კლუბმა „პატრიოტმა" სტამბულში იასპარეზა WKF-ის წესებით და საკმაოდ წარმატებულადაც - გუნდის რვავე წევრი შინ მედლით დაბრუნდა.

„სტამბულის საერთაშორისო ტურნირი ერთ-ერთი პრესტიჟულია მსგავსი რანგის შეჯიბრებებში. საქართველოს ნაკრები ყოველწლიურად ასპარეზობს ამ ტურნირში და სტაბილურად მაღალ შედეგებს ვაღწევთ. ამჯერადაც რვა კარატისტიდან რვავეს მედალი ერგო, ამიტომაც, დასამდური არაფერი მაქვს შეგირდებთან. პირველობა მოიპოვეს ნოდარ ზივზივაძემ და ირაკლი ნოდიამ. მეორე ადგილი ხვდათ ნიკა გოგიტიძეს და ალექსანდრე თამაზოვს, მესამე - ალექსანდრე გალდავას, გოჩა ჯოხაძეს, ალბერტ საფარიანს და მორის ნასყიდაშვილს. ეს წარმატება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სოკი-ს კონგრესზე საკითხი თუ დადებითად გადაწყდება, სწორედ WKF-ის სისტემით იქნება კარატე წარმოდგენილი ოლიმპიადაზე 2016 წელს, რისთვისაც თადარიგს ვიჭერთ და ვემზადებით. ღირსეულად უნდა გამოვიდეთ ჯერ სალიცენზიო ტურნირებში და შემდეგ თვით ოლიმპიადაზე. ამ თვის ბოლოს კვიპროსზე მივემგზავრებით მსოფლიო ჩემპიონატზე. პირადად მე კიდევ ერთხელ მინდა მოვიპოვო ჩემპიონის ტიტული და გავახარო ქომაგები", — განაცხადა სტამბულის ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ კლუბ „პატრიოტის" პრეზიდენტმა, მოქმედმა კარატემენმა, მსოფლიოს ჩემპიონმა **ზვიად ზვიადაურმა.**

„კვიპროსზე შეჯიბრისთვის ფაქტობრივად უკვე მზად ვართ და დიდი იმედი მაქვს, მსოფლიოს რამდენიმე ჩემპიონით და პრიზიორით დავბრუნდებით. კვიპროსზე და სხვაგანაც ადრეც არაერთხელ მოგვიპოვებია მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვება", — გვითხრა კლუბ „პატრიოტის" ვიცე-პრეზიდენტმა **ზურა სულაძემ.**

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი**

R

ჩოგბურთი

# ოქსანას მესამე 25-ათასიანი

ლელა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გუშინ დამთავრდა ბათუმის ნავთობტერმინალის ღია პირველობა (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარი) ქალთა შორის. სანამ გადამწყვეტ შეხვედრაზე გიამბობდეთ, შაბათს გამართული ნახევარფინალურ ორთაბრძოლებს მინდა შევეხო, ცხადია, ერთეულთა თანრიგში, თორემ წყვილებში მთავარი პრიზისთვის დაძაბული პაექრობა ჰქონდათ **თათია მიქაძესა** და **მანანა შაფაქიძეს** უნგრელ **რეკა-ლუკა იანისა** (ერთეულებში მან თელავის ტურნირი მოიგო, თბილისში კი შაფაქიძემ გამოთიშა შეჯიბრებიდან) და უკრაინელ **ვერონიკა კაპშაის** წყვილთან. თავიდან ინტერნაციონალურმა დუეტმა იყოჩაღა - 7:5. მეორე სეტში ჩვენმა გოგონებმა გეიმიც კი არ დაუთმეს მეტოქეს, ტაი-ბრეიქებში კი სტუმრებმა იმარჯვეს 10:8 და წყვილებში პირველი ადგილიც დაიკავეს.



ოქსანა კალაშნიკოვა

რაც შეეხება ერთეულთა თანრიგის ნახევარფინალებს, **სოფიო შაფათავა** (371)-**ჩეინ ევიკის** (ჰოლანდია, 645) შეხვედრა უცნაურად წარიმართა. პირველ სეტში ქართველმა ჩოგბურთელმა, ფაქტობრივად, ძალების დაუძაბავად სძლია ტიტების ქვეყნის წარმომადგენელს, მაგრამ მეორეში, ყველასათვის მოულოდნელად, თითქმის უბრძოლველად დანებდა (0:6) მეტოქეს. თავადაც ვერ აუხსნია, რა მოხდა. ყველას რომ ეგონა, ევიკმა ბედის ჩარხი თავისკენ შეატრიალაო, შაფათავა ისევ მთელი ძალით ათამაშდა და ჰოლანდიელს წარმატების შანსი არ მისცა — 6:3.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაშიც საქართველოს ნაკრების წევრმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** გაიმარჯვა - იოლად დააყრევინა ფარ-ხმალი ფრანგ **ნატალი პიკონს** — 6:2, 6:3.

გუშინდელი გადამწყვეტი შეხვედრა საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. პირველ სეტში შაფათავამ ბოლო ორი გეიმი აართვა მეტოქეს და გაიმარჯვა 6:4. მეორეში 3:1 დაწინაურდა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე თითქოს ხელის გაწვდენაღა რჩებოდა, მაგრამ კალაშნიკოვამ დროზე შეძლო ნერვების მოთოკვა და ზედიზედ ხუთი გეიმი მიითვალა — 6:3. ანგარიშში წონასწორობა აღდგა. მესამე გადამწყვეტ ხელში ოქსანას არ გასჭირვებია, მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანა. მით უმეტეს, რომ შაფათავას ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და კორტზე ექიმიც კი გამოიძახა. მართალია, სოფიომ შეხვედრა განაგრძო, მაგრამ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს და 2:6 დამარცხდა. ასპარეზობის შემდეგ გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა** და ბათუმის ნავთობტერმინალის გენერალურმა დირექტორმაა **ტემირხან აბდიროვმა** დააჯილდოვეს.

— სპორტულ კარიერაში ერთეულთა შორის მესამე 25-ათასიანი ტურნირი მოვიგე, — გვითხრა ოქსანა კალაშნიკოვამ. — პირველად შარშან გავიმარჯვე მექსიკაში, წლეულს პოლონეთის ტურნირზე მივაღწიე წარმატებას. მიხარია, რომ დღესაც არ გავაწბილე ქომაგები. არადა, მეორე სეტში სოფო 3:1 რომ დაწინაურდა, ვიფიქრე, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. რა მოხდა, მე თავად ვერ ამიხსნია. მთავარი ის არის, რომ გავიმარჯვე და, ფაქტობრივად, ამით გადავუხადე მადლობა გულშემატკივრებსა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომელიც ძალიან მეხმარება.

მთელი წლის განმავლობაში მესამედ ჩამოვედი შინ. ახლობლების წესიერად მონახულებაც ვერ მოვასწარი. ორშაბათ დილით ადრე პარიზს მივემგზავრები. ვნახოთ, შესაძლებლობის მიხედვით ვითამაშებ ტურნირებში და თან 2010 წლის ავსტრალიის ღია ჩემპიონატისთვის მოვემზადები.

**ლეილა მესხი:** — თორმეტი წელია, ბათუმის ნავთობტერმინალთან ერთად ვატარებთ ტურნირს. მინდა მადლობა გადავუხადო ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს ბატონ ტემირხან აბდიროვს მეგობრული თანამშრომლობისთვის. რაც შეეხება შეჯიბრებას, კმაყოფილი ვარ, რომ ქართული ფინალი ვიხილეთ. ორივე ჩოგბურთელმა ძალიან იყოჩაღა — მათ ძლიერი მეტოქეები ჩამოიცილეს გზიდან. შემთხვევითი არ არის, რომ შაფათავას და კალაშნიკოვას დიდ დახმარებას უწევს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის დეპარტამენტმა კი ორივეს სტიპენდიები დაუნიშნა.

თელავისა და თბილისის ტურნირებმა თავისი მისია შეასრულა — ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა 21 ქვეყნის წარმომადგენლებთან გამოცადეს საკუთარი შესაძლებლობები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ გამოცდილება შეიძინეს, რაც სამომავლოდ გამოადგებათ. სეოკ-ის, სპორტის დეპარტამენტისა და სპონსორების დახმარებით ჩვენი ჩოგბურთელები აუცილებლად აიმაღლებენ ოსტატობას და საერთაშორისო სარბიელზეც გვასახელებენ.

**ვაჟა დანელია**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



გამარჯვებულები, პრიზიორები და ორგანიზატორები

# ჩახნაშვილი და ტატიშვილი მშრალზე დარჩნენ

ლას ვეგასის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი $) **ანა ტატიშვილმა** (161) თავი ვერც წყვილთა თანრიგში გამოიჩინა, ანამ სერბ **ანა იოვანოვიჩთან** (256) დუეტში ნახევარფინალში წააგო **კიმბერლი კაუტსის** (293) და **ლინდსეი ლი-უოტერსის** (194) ამერიკულ წყვილთან - 2:6, 6:2, 8:10.

**მაკა ჩახნაშვილი** (217) ესპანურ გრანადაში (25 ათასი $) ასპარეზობდა, სადაც მე-6 ნომრად განთესეს. მაკამ მეოთხედფინალში მოულოდნელად წააგო საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსულ მასპინძელ **ბეატრის გარსია ვიდიგანისთან** (378) - 4:6, 6:7 (1). ჩახნაშვილმა მარაგს 14 ქულა შემატა, ანა ტატიშვილმა - მხოლოდ ერთი, მათ თავისუფლად შეეძლოთ თბილისის ტურნირში უფრო მეტისთვის მიეღწიათ, თანაც ადგილობრივ შეჯიბრებას მეტ ინტერესს მისცემდნენ. შემდეგ კვირაში ანა ტატიშვილი ამერიკულ ტროაში ითამაშებს, ხოლო მაკა ჩახნაშვილი და **ოქსანა კალაშნიკოვა** (192) ლიმოჟის ტურნირში ჩაებმებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მარიამ ნავსი გატეხა

რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** ამა წლის მაისში ქალთა ტურში დაბრუნების შემდეგ პირველი ტიტული მოიპოვა. ტოკიოში „პრემიერ" კატეგორიის ტურნირის ფინალში მარია სერბ **ელენა იანკოვიჩს** დაუპირისპირდა.

ამ ტურნირზე მომხდარი უამრავი სენსაციის ფონზე, მსოფლიოს ორმა ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მთელი დისტანცია დამაჯერებლად განვლო და მათი გასვლა ფინალში ლოგიკური ჩანდა. დაახლოებით თანაბარი ძალის მეტოქეებს შორის შეხვედრაში დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ, თუმცა ფინალმა გულშემატკივრებს იმედები გაუცრუა.

შეხვედრის დასაწყისი იანკოვიჩისა იყო, რომელიც ბრეიკით დაწინაურდა - 2:0. მესამე გეიმში სერბმა კიდევ ერთი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ მარია გადარჩა, შემდეგ კი ანგარიშიც გაათანაბრა, როცა მეორე ცდიდან გამოიყენა ბრეიკ-პოინტი.

მეხუთე გეიმში შარაპოვამ კიდევ ერთი საფრთხე მოიგერია და პირველად დაწინაურდა მატჩში - 3:2. მეექვსე გეიმში იანკროვიჩის მოწოდებაზე სერბს სამი გეიმ-ბოლი ჰქონდა - 40:0, მაგრამ მარიამ ზედიზედ ხუთი გათამაშება მოიგო და ანგარიში ორ გეიმამდე გაზარდა - 4:2. იანკოვიჩი ველარ უმკლავდებოდა შარაპოვას დარტყმებს და როგორც აღმოჩნდა, ამის მიზეზი ხელის ტრავმა ყოფილა. 2:5-ზე სერბმა სამედიცინო ტაიმ-აუტი აიღო, ხოლო, როცა მერვე გეიმში კიდევ ერთი გათამაშება წააგო, მსაჯთან მივიდა და აცნობა მას, რომ ველარ შეძლებდა მატჩის გაგრძელებას.

აი ასე, თითქმის უბრძოლველად მოიგო შარაპოვამ კარიერაში საიუბილეო მეოცე ტიტული, რაც დღეიდან რეიტინგის საუკეთესო ოცეულში შესვლის საშუალებას მისცემს. მარიამ ტოკიოს ტურნირი პირველად 2005 წელს მოიგო, როცა ფინალში ამერიკელ **ლინდსი დავენპორტის** სძლია. WTA-ის ტურში მისი ბოლო წარმატება კი 2008 წლის აპრილით თარიღდებოდა.

*„ეს იყო ჩემი მეორე ფინალი ამ სეზონში და ამიტომაც თავიდან ოდნავ ვნერვიულობდი. მეტოქემ მატჩი ძალიან ძლიერად დაიწყო, მაგრამ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემი დღევანდელი ფორმის წყალობით შევძლებდი მისთვის წინააღმდეგობის გაწევას. საბოლოოდ, ასეც მოხდა. მე ამ წარმატებისთვის ძალიან ბევრი ვიმუშავე. სასიამოვნოა ტურნირის მოგება მას შემდეგ, რაშიც ცოტა ხნის წინ დარწმუნებულიც არ ვიყავი, საერთოდ შევძლებდი თუ არა კარიერის განახლებას"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ შარაპოვამ, რომელმაც წელს ტორონტოს ტურნირის ფინალში გაალწია და იქ თანამემამულე **ელენა დემენტიევასთან** წააგო.

*„მხარიდან მაჯამდე მთელი ხელი მტკიოდა. ძალიან მინდოდა ამ მატჩის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ ბოლოს ჩოგანს ველარ ვიჭერდი ხელში. ამიტომაც არ გავრისკე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სეზონის დარჩენილი ნაწილის მთლიანად გამოტოვება მომიხდებოდა"*, - თქვა მატჩის შემდეგ იანკოვიჩმა, რომელიც სეზონის ბოლო ორ თვეს არა, მაგრამ პეკინის ტურნირს ნამდვილად გამოტოვებს. WTA-ის ზედიზედ მეორე „პრემიერ" კატეგორიის ტურნირი შაბათს დაიწყო.

■ ■ ■

მარია შარაპოვას მსგავსად, სეზონში პირველი ტურნირი მოიგო ფრანგმა **ჟილ სიმონმა.** მან ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში იმარჯვა. ფინალში სიმონმა სერბ **ვიქტორ ტროიცკის** ორ სეტში - 7:5, 6:3 მოუგო. სხვათა შორის, ფრანგმა ამ მეტოქეს სამიდან სამი მატჩი მოუგო და თან არც ერთი სეტი არ წაუგია.

ბანგკოკში ყველა ფრანგულ ფინალს ელოდა, მაგრამ ტროიცკიმ შარშანდელი ჩემპიონი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** დაამარცხა და ეს ამ ტურნირის მთავარი მოულოდნელობა იყო. სერბს ფინალშიც კარგი შანსი ჰქონდა, როცა პირველ პარტიაში 4:4-ზე ბრეიკი აიღო და სეტზე აწოდებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ზედიზედ სამი გეიმის წაგებით სეტი დათმო - 5:7. მეორე პარტიაში ყველაფერი ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც სიმონის ანგარიშზეა. მან მეექვსე გეიმში მოიგო მეტოქის მოწოდება და ამის წყალობით კარიერაში მეექვსე ტიტული მოიპოვა.





# რა ელის ივანოვიჩს?

**მსოფლიოს** ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ანა ივანოვიჩმა** უარი თქვა პეკინის ტურნირში თამაშზე და 2009 წლის სეზონის ნაადრევად დასრულების გადაწყვეტილება მიიღო. 21 წლის სპორტსმენი ტოკიოს ტურნირის მსვლელობისას ანგინით გახდა ავად.

*„იძულებული ვარ, უარი ვთქვა ჩინეთის ღია პირველობაზე და ეს წლევანდელი წარუმატებელი სეზონის ლოგიკური დასასრულია. ბოდიში უნდა მოვუხადო გულშემატკივრებს, რომლებსაც პეკინში ჩემი ხილვის იმედი ჰქონდათ. ამის გამო მეც იმედგაცრუებული ვარ*, - მოჰყავს ჩოგბურთელის სიტყვები სააგენტო „როიტერს". - *წლევანდელმა სეზონმა მხოლოდ უარყოფითი ემოციები მომიტანა. მიუხედავად ამისა, დანებებას არ ვაპირებ. ეჭვი არ მეპარება, რომ მალე ძველ დონეს დავუბრუნდები და ისევ დავიწყებ ტურნირების მოგებას. ახლა კი დასვენებისა და ენერგიის აღდგენის დროა. სეზონის დასრულება იმიტომ გადავწყვიტე, რომ კორტზე უფრო ძლიერი დავბრუნდე"*.

■ ■ ■

ამ დღეებში პოპულარულმა ჟურნალმა TennisWeek-მა ანას პრობლემებს ვრცელი მასალა მიუძღვნა, რომელსაც დღეს შემოკლებით გთავაზობთ.

2008 წლის ივნისში დიდი სპორტიდან **ჟუსტინ ანენის** წასვლისა და როლან გაროსზე ანა ივანოვიჩის გამარჯვების შემდეგ, ყველას ეგონა, რომ ქალთა ჩოგბურთის ახალი სახე სწორედ სერბი ჩოგბურთელი გახდებოდა. მაგრამ შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარსა და 2009 წელს ანას წვალების შემდეგ დაისვა კითხვა - რა სჭირს ივანოვიჩს? დღეს ის არათუ WTA-ის ტურის ლიდერია, არამედ რეიტინგის საუკეთესო ათეულშიც კი არ შედის. სერბის ბედი ბევრი რამით არის საინტერესო.

ანა ის მოთამაშეა, რომელმაც უკანა ხაზზე მძლავრი თამაშით უკვე 17 წლის ასაკში შესძინა ტურს შესამჩნევი იმპულსი. შემდეგ ივანოვიჩი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა რეიტინგის მწვერვალისკენ. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მან უკანა ხაზიდან დარტყმებს სიზუსტე შემატა, სხვა დარტყმებიც აითვისა, რის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე ჩოგბურთში წარმატების მიღწევა. შესაბამისად, ის დღესაც ითვლება ტურში ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ჩოგბურთელად, რომელსაც მეტოქისთვის აულებელი დარტყმების შესრულება შეუძლია.

მიუხედავად ამისა, ღიად რჩება საკითხი: ნუთუ ეს ლამაზი და მუდმივად მოღიმარი სერბი კვლავაც აპირებს **ვენუს** და **სერენა უილიამსებთან** გამკლავებას, ან ტურში დაბრუნებული **კიმ კლაისტერსისა** და **ჟუსტინ ანენის** დამარცხებას? ნუთუ, მას კიდევ დარჩა სურვილი, ებრძოლოს უდიდეს კონკურენციასა და ასე მომრავლებულ ნორჩ ტალანტებს?

WTA-ის ხელმძღვანელებს ამის იმედი აქვთ და რთულია მათი ამაში დადანაშაულება. ბოლო წლების განმავლობაში ისინი ახალ სისხლს ეძებდნენ და დიდი გაჭირვებით პოულობდნენ ახალ ტალანტებს. ათეულობით კანდიდატთა შორის, რომელიც ბოლო წლებში გამოჩნდა, მხოლოდ **მარია შარაპოვა** აღმოჩნდა ნამდვილი ვარსკვლავი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს მაღალ დონეს.

2008 წლამდე ივანოვიჩი არავის მიაჩნდა „მკვლელის" ინსტინქტით დაჯილდოებულ ჩოგბურთელად. მაგრამ სვენ გრიონეფელდთან მუშაობამ დაამტკიცა, რომ ანა - კეთილსინდისიერი და ამბიციური მოსწავლეა. ის გავიდა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში, ოთხი თვის შემდეგ კი როლან გაროსის კორტებზე პირველად მოიგო „დიდი სლემის" ტურნირი, არც ამით დაკმაყოფილდა და მალე პირველი ჩოგანიც გახდა. იმ მომენტში ისე ჩანდა, რომ ქალთა ჩოგბურთმა, როგორც იქნა, ახალი სახე შეიძინა, რომელიც WTA-ის შეფობას საშუალებას აძლევდა მარკეტინგის მხრივ მომავლისთვის ოპტიმიზმით ეცქირათ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ივანოვიჩი 2008 წლის მთელი ზაფხული თითის ტრავმას ებრძოდა და ზამთრის არდადეგებამდე მხოლოდ ერთი ტურნირი მოიგო. ახალ სეზონში კიდევ უფრო უარესად წაუვიდა საქმე. 2009 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში მან ერთი ტურნირიც ვერ მოიგო. ის არ ჰგავდა ჩემპიონს, უფრო იმ ადამიანს მოგაგონებდათ, რომელიც, უბრალოდ, რთული სიტუაციიდან გამოძრომას ცდილობს.

ამიტომაც ისმის კითხვა - საერთოდ შეუძლია კი მას ჩოგბურთში დომინირება? მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მასთან უშუალოდ საუბრის დროსაც კი შეუძლებელია. ანა ყოველთვის კარგ ხასიათზეა და ოპტიმისტურად გამოიყურება. ჩვეულებრივ ასე ესალმება ყველას: *„გამარჯობა, მე ანა ვარ"*, და ღიმილი არ შორდება სახიდან. იქნებ არც ღირდა ამ უმნიშვნელო მომენტის მოყვანა, რომ არა ერთი ფაქტი: პრესის წარმომადგენლებთან პროფესიონალი ჩოგბურთელების მისალმების ჩვეულებრივი ჟესტი დუმილსა და ნაძალადევად თავის დაქნევაში გამოიხატება.

ანა კი სხვანაირია. ის შეკითხვებსაც ენთუზიაზმით უსმენს. ბედნიერია, როცა გვიმხელს, რა უყვარს. მას უყვარს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც „ასეთი კარგი ხალხი ცხოვრობს". უყვარს კალიფორნიის უდაბნო, სადაც „შესაძლებელია საკუთარ თავთან განმარტოება". უყვარს ისეთი მსახიობები, როგორებიც არიან **დევიდ გრეი** და **ჯონ მაიერი** - *„იმიტომ, რომ მე რომანტიული ადამიანი ვარ"* - ამბობს ის მომხიბვლელი სიცილით. სხვადასხვა დროს ანამ აღიარა თავისი სიყვარული ნარდის, სუდოკუს, „ამერიკული მთების", დალაი-ლამას მოძღვრებისა და... საჩოგბურთო გაკვეთილების მიმართ..

*„ხანდახან მინდა ისეთი ადგილი მოვნახო და დავიმალო, სადაც ვერავინ მიცნობს*, - ამბობს ივანოვიჩი. - *მაგრამ ვიცი, რომ შეუძლებელია ასე უცებ გაქრობა"*. 2009 წელს მას არაერთხელ მოუვიდა თავში ჩოგბურთის დატოვების იდეა.

თებერვალში თავისი უილბლო სერიის დასრულებისთვის ივანოვიჩმა **მარტინა ნავრატილოვას** ყოფილი მწვრთნელი - **კრეიგ კარდონი** დაიქირავა. ისე ჩანდა, რომ ეს წარმატებული კავშირი იქნებოდა - პირველად 2009 წლის სეზონში ანა ინდიან უელსის ტურნირზე ფინალში გავიდა.

მაგრამ შემდეგ ზედიზედ ხუთ ტურნირზე მეოთხედფინალსაც ვერ მიაღწია. განსაკუთრებით დასანანი იყო წაგება როლან გაროსზე ბელარუს **ვიქტორია აზარენკასთან.** ივანოვიჩი საუკეთესო ათეულიდან გავარდა და ტურნირის შემდეგ კარდონს დაცილდა.

იქნებ **დარენ კეჰილმა**, რომელიც გრიონეფელდთან ერთად ავარჯიშებს ანას, შეძლოს მისთვის ძველი ფორმის დაბრუნება. *„მისი მოწოდება შეშფოთებას იწვევს*, - ამბობს კეჰილი. - *არსებობს ბურთის აგდების ტექნიკური პრობლემა. ის ბევრს მუშაობდა ამ ნაკლის გამოსასწორებლად. მოწოდება - მხოლოდ ერთი დარტყმა არ არის. თუ თქვენ მისი გაკონტროლება არ შეგიძლიათ, ამან, შესაძლოა, მთელ თამაშზე დაგაკარგვინოთ კონტროლი"*.

ვინც დიდი ხანია აკვირდება ივანოვიჩს, იცის, რომ მისი თამაში უკანა ხაზზე აქტიურ მოქმედებაზეა დაყრდნობილი, რომელიც ამ ბოლო დროს არ ამართლებს. მას არ გააჩნია ვენუს უილიამსის მსგავსი სასტარტო სიჩქარე, არ შეუძლია **ელენა იანკოვიჩის** მსგავსად ფეხებით მუშაობა. მაგრამ რა წინაღობაც უნდა შეხვდეს სერბს წინ, ჩვენ გავაგრძელებთ მის ქომაგობას, ვერავინ იდავებს იმაზე, რომ ანას გამარჯვებების გარეშე ჩოგბურთი უკეთესი გახდება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ველოსპორტი



# ჯირო ლენსის გარეშე ჩაივლის

**ლენს არმსტრონგის** ველოსაჯინიბო RadioShack, სავარაუდოდ, მონაწილეობას ვერ მიიღებს მაისში „ჯირო დ'იტალიას" რბოლაში. ლეგენდარული ამერიკელის თქმით, სეზონის პირველი პრესტიჟული ველორბოლა ვადებში ემთხვევა კალიფორნიის ტურს. ეს ამერიკული მრავალდღიანი რბოლა ორგანიზატორებმა მეტეოროლოგიური პირობების გამო თებერვლიდან მაისში გადაიტანეს. ცნობილია, რომ RadioShack-ის სპონსორია ამავე სახელწოდების ამერიკული კომპანია, რომელიც დაინტერესებულია კალიფორნიულ რბოლაში მონაწილეობით.

რაც შეეხება 2010 წლის დასაწყისს, ამერიკული საჯინიბოსთვის პირველი რბოლა ავსტრალიური Tour Down Under იქნება.

...

ესპანური ვუელტას ტრიუმფატორმა **ალეხანდრო ვალვერდემ** გადაწყვიტა ნაადრევად დაასრულოს სეზონი. Caisse D'Epargne-ის ესპანელი ველომრბოლი ორ ფრანგულ რბოლას („პარიზი-ბურჟი" და „პარიზი-ტური") გამოტოვებს, რათა უკეთესად მოემზადოს მომავალი წლის სეზონისთვის.

*„ახლა მხოლოდ დასვენება მჭირდება - ფიზიკური და მორალური. მხოლოდ ასე თუ მოვემზადები უკეთ 2010 წლის სტარტებისთვის"*, - განაცხადა ესპანელმა მრბოლელმა.

ფორმულა 1

# პიკე არავის უნდა

ფორმულა 1-ის სამი გუნდის - „რედ ბულის", „რენოსა" და „ტოიოტას" ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მომავალში არ აპირებენ „რენოს" ყოფილ პილოტთან **ნელსინიო პიკესთან** თანამშრომლობას.

**კრისტიან ჰორნერმა** („რედ ბული"), **ბობ ბელმა** („რენო") და **ჯონ ჰაუეტმა** („ტოიოტა") ბრაზილიელი პილოტის მიმართ თავიანთი დამოკიდებულება იაპონიის სარბოლო უიკ-ენდის დროს გამართულ პრესკონფერენციაზე გამოხატეს. ჟურნალისტებმა მათ ჰკითხეს, რამდენად შესაძლებელია ნელსინიოს ფორმულა 1-ში დაბრუნება, რაზეც ამ საჯინიბოების შეფებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მათ გუნდებში უმცროსი პიკესთვის კარი დახურულია.

*„თითქმის დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მას სამუშაოს არ მივცემ. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია"*, - განაცხადა ბელმა.

*„ის ცნობილი სკანდალი რომც არ ყოფილიყო, ბრაზილიელს ორი წლის განმავლობაში ნაჩვენები შედეგებიდან გამომდინარე არ მოვიწვევდი ჩემს გუნდში. ხოლო ნელსინიოსადმი უარყოფითი განწყობა კიდევ უფრო გაამყარა „რენოში" მომხდარმა სკანდალმა"*, - ამბობს ჰაუეტი.

*„ჰაუეტმა ზუსტად თქვა ყველაფერი. არა მგონია, „რედ ბულში" ვინმე დაინტერესდეს პიკეთი"*, - დაასრულა ეს თემა ჰორნერმა.

ჩოგბურთი

# კრის ევერტი მესამე ქმარს დასცილდა

ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **კრის ევერტი** და მისი არანაკლებ ცნობილი მეუღლე, ყოფილი გოლფისტი **გრეგ ნორმანი** 15-თვიანი თანაცხოვრების შემდეგ შორდებიან ერთმანეთს.

ეს კრის ევერტისთვის მესამე ქორწინება იყო. ამერიკელი ჩოგბურთელის პირადი ცხოვრება ყოველთვის დიდ ყურადღებას იწვევდა. 70-იან წლებში კრისს რომანი ჰქონდა კიდევ ერთ ლეგენდარულ ამერიკელ ჩოგბურთელთან **ჯიმი კონორსთან**. ისინი დანიშნულებიც კი იყვნენ, მაგრამ მათი ურთიერთობა დიდი ხანი არ გაგრძელებულა და 1974 წლის 8 ნოემბერს დაგეგმილი ქორწილი არ შედგა.

თავის დროზე ევერტს რომანი ჰქონდა მსახიობ **ბარტონ ლეონ რეინოლდსთან** და **ჯონ ფორდთან** (ამერიკის პრეზიდენტის **ჯერალდ ფორდის** ვაჟი). 1979 წელს ის ცოლად გაჰყვა ბრიტანელ ჩოგბურთელს **ჯონ ლოიდს** და კარგა ხანი კრის ევერტ-ლოიდად მოიხსენიებოდა. 1987 წელს ისინი დაშორდნენ ერთმანეთს.

ევერტის მეორე ქმარი იყო ამერიკელი სამთო მოთხილამურე, ორგზის



ოლიმპიური ჩემპიონი **ენდი მილი**. მათ 1988 წელს იქორწინეს და სამი შვილი შეეძინათ: **ალექსანდრ ჯეიმსი, ნიკოლას ჯოზეფი** და **კოლტონ ჯეკი**. 2006 წლის 13 ნოემბერს კრისმა განქორწინება გადაწყვიტა და ამისთვის მილს კომპენსაციის სახით 7 მილიონი დოლარი გადაუხადა.

კრივი

# ტერმინატორი მოგებით დაბრუნდა

ზელანდიელი მძიმეწონოსანი **დევიდ ტუა** (მეტსახელად „ტერმინატორი") პროფესიულ რინგზე დაბრუნდა და კარიერაში საიუბილეო 50-ე გამარჯვებას მიაღწია. ტუამ მეორე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა თანამემამულე **შეინ კამერონი**, რისი წყალობითაც რეგიონული ტიტულები - WBO Asia Pacific და WBO Oriental მოიპოვა.

„ტერმინატორმა" თავიდანვე მოიპოვა ინიციატივა. მისი უძლიერესი დარტყმები ზედიზედ აღწევდა მიზანს. პირველი რაუნდის ბოლო წუთზე კამერონი ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, მაგრამ შეხვედრის რეფერიმ **ბრიუს მაკმა** ბრძოლის შეჩერება მიზანშეწონილად არ ჩათვალა და მოკრივეები მეორე რაუნდზე გავიდნენ. მეორე სამწუთეულის დასაწყისშივე ტუამ ბაგირებთან მიიმწყვდია მოწინააღმდეგე და მორიგი შეტევის შემდეგ კამერონი ნოკაუტში აღმოჩნდა.

ეს იყო ტუას 43-ე გამარჯვება ნოკაუტით, სულ კი მას პროფესიულ რინგზე 54 ბრძოლა აქვს გამართული: 50 მოგება, 3 წაგება და ერთი ფრე - ასეთია მისი მონაგარი. რაც შეეხება კამერონს, მან ოცდამეხუთედ იბრძოლა და მხოლოდ მეორედ დამარცხდა.

ტუას დაბრუნება საკრივო სამყაროში ბევრს გაუხარდა. ზელანდიელის ქარიზმა ყოველთვის განსაკუთრებულ ელფერს მატებდა მის ორთაბრძოლებს. სწორედ დევიდი იყო ის მოკრივე, რომელმაც რინგზე დაამცირა **ჯონ რუიზი** (19 წამში მოუგო), გადადო **ოლეგ მასკაევის** ჩემპიონობა, ხოლო **დარელ უილსონი** კინაღამ რინგზე შემოაკვდა. ბევრი მისი მოწინააღმდეგე ერთ რაუნდსაც ვერ უძლებდა და წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა გამკლავებოდა ასეთ მონსტრს. საერთოდ, პირველ რაუნდში გამარჯვებების რაოდენობით „ტერმინატორი" მხოლოდ ლეგენდარულ **მაიკ ტაისონს** ჩამორჩება.

ბევრი მოკრივე ვერ დაიკვეხნის იმით, რომ მთელი კარიერის განმავლობაში ერთხელაც არ წაუგია ნოკაუტით, უფრო მეტიც, ნოკდაუნშიც არასოდეს ჩავარდნილა. თავისი აღნაგობითა და სტილით ტუა ძალიან ჰგავს ტაისონს. სიმაღლე - 177 სმ, გაშლილი ხელების სიგრძე - 178 სმ - ზუსტად ისე, როგორც მაიკს. თავის დროზე, მოკრივეებს „ტერმინატორისა" უფრო ეშინოდათ, ვიდრე „რკინის მაიკის".

დევიდ ტუა ორი წელია რინგზე არ გამოჩენილა. ამის მიზეზი გახდა სხვადასხვა მოკრივესთან ჩიხში შესული მოლაპარაკებები. თავიდან დევიდის გუნდი **კრის არეოლას** ვერ მოელაპარაკა, რომელმაც ტუას **ტრევის უოლკერი** ამჯობინა. შემდეგ იყო რამდენჯერმე ჩაშლილი მოლაპარაკება კამერონთან, რომელთან ბრძოლაც რამდენჯერმე გადაიდო. სხვათა შორის, „ტერმინატორის" კარიერაში ასეთი ჩავარდნა ერთხელ უკვე იყო - 2003 წლის მარტიდან 2005 წლის აპრილამდე, როცა ტუას თავის მენეჯერებთან სასამართლო დავა ჰქონდა კონტრაქტის გაწყვეტის თაობაზე.

ძვირფასი დროის დაკარგვისა და კარგა გვარიანად გასუქების შემდეგ, კაციჭამიების შთამომავალმა კრივში დაბრუნება გადაწყვიტა და პირველი ბრძოლა უკვე მოიგო. ვნახოთ, რა გამოუვა ამჯერად წარმოშობით სამოელ მოკრივეს. მას კარიერაში ერთხელ უკვე ჰქონდა ტიტულის მოპოვების შანსი - 2000 წლის ნოემბერში მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, ბრიტანელ **ლენოქს ლუისს** ხვდებოდა, მაგრამ 12-რაუნდიან ბრძოლაში ქულებით წააგო.



ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# მონრეალი და რუსეთი დასუსტდნენ

სეზონის სტარტზე სერიოზული დანაკლისი განიცადა „მონრეალ კანადიენსმა". „ტორონტო მეიპლ ლივზთან" მატჩში რუსმა მცველმა **ანდრეი მარკოვმა** ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო და წინასწარი ვარაუდით, სამი-ოთხი თვის გამოტოვება მოუწევს. მარკოვის ტრავმა ცუდი ამბავია რუსეთის ნაკრებისთვისაც - თუ გავითვალისწინებთ დაზიანების სიმძიმეს, ამ მცველის ვანკუვერის ოლიმპიადაზე გამოსვლა არარეალურად ჩანს.

მარკოვმა ტრავმა თავისი გუნდის მეკარესთან **კერი პრაისთან** შეჯახების შემდეგ მიიღო. ჰოკეისტი სტადიონიდან ტორონტოს ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ტრავმირებულ ფეხზე ოპერაცია სასწრაფოდ ჩაუტარეს.

რუსი „მონრეალის" ერთ-ერთი ლიდერი იყო. შარშან მარკოვმა რეგულარული ჩემპიონატის 27 მატჩი გამოტოვა და კანადურმა კლუბმა აქედან მხოლოდ შვიდი შეხვედრა მოიგო. შარშან ეს მცველი „ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილეობდა.

## 2 ოქტომბერი

### ჩიკაგო-ფლორიდა 3:4 (ბ)

0:0, 1:1, 2:2, 0:0

**გოლები:** 1:0 პ. კეინი-1 (ჰიალმარსონი-1), 1:1 ფროლიკი-1 (რაინპრეხტი-1, საიდენბერგი-1), 2:1 ბიფულინი-1 (პ. კეინი-1, სიბრუკი-1), 2:2 კოისტინენი-1 (სტილმანი-1, ფროლიკი-1), 3:2 შარპი-1 (ვერსტეეგი-1, ბ. კემპბელი-1), 3:3 ბუტი-1.

**ბულიტები გაიტანეს:** რაინპრეხტი (ფლორიდა), კოისტინენი (ფლორიდა), ტეუვზი (ჩიკაგო).

### დეტროიტი-სტ. ლუისი 3:4

2:1, 1:3, 0:0

**გოლები:** 0:1 მაკლემანი-1 (ვინჩესტერი-1), 1:1 ჯ. ერიქსონი-1 (დრეიპერი-1, მიოლტბი-1), 2:1 მიოლტბი-1, 3:1 ლეინო-1 (კლირი-1, კრონვალი-1), 3:2 კარია-1 (ე. მაკდონალდი-1, ტკაჩუკი-1), 3:3 კრომბინი-1 (მაკლემანი-1), 3:4 კარია-2 (ოში-1, მაკლემანი-2).

### კაროლინა-ფილადელფია 0:2

0:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ჯ. კარტერი-1 (ბრიერი-1, ჰარტნელი-1), 0:2 მ. რიჩარდსი-1 (საიმონ განიე-1, ვან რიმსდიკი-1).

### პიტსბურგი-რეინჯერსი 3:2

1:1, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 მალკინი-1 (გონჩარი-1, გოლიგოსკი-1), 1:1 ქრური-1 (ჰიგინსი-1), 2:1 კროსბი-1 (ლეტანგი-1, გერინი-1), 3:1 ტ. კენედი-1 (გოლიგოსკი-2, ჯ. სტაალი-1), 3:2 გაბორიკი-1 (დუბინსკი-1, მ. სტაალი-1).

## 3 ოქტომბერი

### ფლორიდა-ჩიკაგო 0:4

0:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ბ. კემპბელი-1 (პ. კეინი-2, ბიფულინი-1), 0:2 პ. კეინი-2 (შარპი-1, კეიტი-1), 0:3 შარპი-2 (ვერსტეეგი-2, სიბრუკი-2), 0:4 ბიფულინი-2 (ბოლანდი-1, სიბრუკი-3).

### სტ. ლუისი-დეტროიტი 5:3

1:2, 3:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ჰოლმსტრიომი-1 (რაფალსკი-1, ფრანცენი-1), 0:2 კლირი-1 (ზეტერბერგი-1, ბერტუცი-1), 1:2 ტკაჩუკი-1 (ე. მაკდონალდი-2, კარია-1), 2:2 ე. მაკდონალდი-1 (ტკაჩუკი-2, ბოიესი-1), 2:3 კრონვალი-1 (ჯეისონ უილიამსი-1, ზეტერბერგი-2), 3:3 ბოიესი-1 (მაკლემანი-3, ჯეკმანი-1), 4:3 ბერგლუნდი-1 (ე. ჯონსონი-1, სიდორი-1), 5:3 ტკაჩუკი-2 (ე. ჯონსონი-2, კარია-2).

### კოლორადო-ვანკუვერი 3:0

1:0: 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ვოლსკი-3 (პ. შჩასტნი-3, პეიდუკი-2), 2:0 პ. შჩასტნი-1 (ჰეიდუკი-3, ქუინსი-2), 3:0 ტაკერი-2 (ვოლსკი-1, ბ. კლარკი-2).

### ბოსტონი-კაროლინა 7:2

3:0, 3:1, 1:1

**გოლები:** 1:0 სავარი-1 (რაიდერი-1, დ. მორისი-1), 2:0 რაიდერი-1 (ხარა-1, დ. მორისი-2), 3:0 ველერი-1 (ბიგინი-2, ლუჩიჩი-1), 4:0 შტურმი-1 (სავარი-1), 5:0 ვიდემანი-1 (პ. ბერჟერონი-1, რეკი-1), 5:1 ს. უოკერი-1 (ა. უორდი-1, სამსონოვი-1), 6:1 შ. ტორნტონი-1 (ბიგინი-3), 6:2 ე. სტაალი-1, 7:2 ჰანვიკი-1 (შტურმი-1, სავარი-2).

### ბაფალო-მონრეალი 1:2 (ო)

1:0, 0:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ტ. კონოლი-1 (რივე-1, დ. როი-1), 1:1 მოენი-2 (პამრლიკი-1, შპაჩეკი-1), 1:2 ჯონტა-2 (გომესი-1).

### ნიუ ჯერსი-ფილადელფია 2:5

0:1, 0:2, 2:2

**გოლები:** 0:1 ჯ. კარტერი-2 (ჰარტნელი-2, პარენტი-1), 0:2 ლაპერიერი-1 (ვან რიმსდიკი-2, კ. ტიმონენი-1), 0:3 მ. რიჩარდსი-2 (მ. კარლი-1, პრონგერი-1), 0:4 პოუ-1 (ჟირუ-1, ვან რიმსდიკი-3), 1:4 როლსტონი-1 (ბერგფორსი-1, ზუბრუსი-1), 1:5 მ. კარლი-1 (პრონგერი-2), 2:5 ლანგენბრუნერი-1 (ზუბრუსი-2).

### აილენდერსი-პიტსბურგი 3:4 (ბ)

1:1, 1:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 კროსბი-2 (ფედოტენკო-1), 1:1 შტრაიტი-1 (ოკსოპო-1, ტავარესი-1), 2:1 ტავარესი-1 (მოულსონი-1, ჰანტერი-1), 2:2 იტონი-1 (ლეტანგი-2, კროსბი-1), 3:2 ჰანტერი-1 (ბეილი-1, შტრაიტი-1), 3:3 ფედოტენკო-1 (გონჩარი-2, მალკინი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ლეტანგი (პიტსბურგი), კროსბი (პიტსბურგი).

### რეინჯერსი-ოტავა 5:2

0:0, 3:1, 2:1

**გოლები:** 1:0 პროსპალი-1 (მ. სტაალი-2, ჟირარდი-1), 2:0 დუბინსკი-1 (გაბორიკი-1), 2:1 ალფრედსონი-1 (სპეცა-1), 3:1 დელ ზოტო-1 (დრური-1, ჰიგინსი-2), 4:1 გაბორიკი-2 (დუბინსკი-2, ლისონი-1), 5:1 დუბინსკი-2 (როუსივალი-1), 5:2 რეგინი-1 (ფიშერი-1, კარლსონი-1).

### ვაშინგტონი-ტორონტო 6:4

3:0, 3:1, 0:3

**გოლები:** 1:0 ოვეჩკინი-3 (ბექსტრიომი-4, სიომინი-3), 2:0 ნუბლი-1 (კ. კლარკი-1, ოვეჩკინი-2), 3:0 ლეიჩი-3 (იურჩინა-1, ბ. მორისონი-1), 3:1 სტემპნიაკი-1 (ი. უაიტი-1, მიტჩელი-1), 4:1 სიომინი-1 (ერსკინი-1), 5:1 ბ. მორისონი-1 (მ. გრინი-1, ლეიჩი-2), 6:1 სიომინი-2 (ოვეჩკინი-3, ბექსტრიომი-5), 6:2 პონიკაროვსკი-2 (ფინგერი-1), 6:3 გრაბოვსკი-1 (შენი-1, პონიკაროვსკი-1), 6:4 ჰაგმანი-1 (გრაბოვსკი-2, ტ. კაბერლე-2).

### კოლამბუსი-მინესოტა 2:1

0:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 უმბერგერი-1 (მიურეი-1, მეტოტი-1), 1:1 ბრუნეტი-1 (მ. კოივუ-1, ჰავლატი-1), 2:1 კლესლა-1 (ვორაჩეკი-1, ტიუტინი-1).

### ატლანტა-ტამპა ბეი 6:3

2:0, 2:2, 2:1

**გოლები:** 1:0 კოვალჩუკი-1 (ლიტლი-1, კუბინა-1), 2:0 სალმელა-1 (ბულტონი-1, ტორნბურნი-1), 3:0 ბოგოსიანი-1 (პეველი-1, ენსტრიომი-1), 4:0 პევერლი-1 (ე. კეინი-1), 4:1 სენტ ლუისი-1 (ედმანი-1, ოლუნდი-1), 4:2 სენტ ლუისი-2 (სტემკოსი-1, ტანგეი-1), 4:3 მეზაროში-1 (მ. უოკერი-1, ლეკავალიე-1), 5:3 პევერლი-2 (კოვალჩუკი-1, აფინოგენოვი-1),6:3 კოვალჩუკი-2 (ლიტლი-2, ენსტრიომი-2).

### დალასი-ნეშვილი 2:3 (ბ)

0:1, 1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 არნოტი-1 (დუმონი-1), 0:2 სალივანი-1 (არნოტი-1, ჰონკვისტი-1), 1:2 ნილი-1 (ბრუნსტრიომი-1, ბ. რიჩარდსი-1), 2:2 ნილი-2.

**ბულიტები გაიტანეს:** რიბეირო (დალასი), ლეგვანდი (ნეშვილი), სანტორელი (ნეშვილი).

### ანაჰაიმი-სან ხოსე 1:4

0:3, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ფერეირო-1 (დემერსი-1, მაკლარენი-1), 0:2 მარლო-3, 0:3 ჯ. ტორნტონი-1 (ჰიტლი-1), 0:4 სეტოგუჩი-1 (ჰიტლი-2, ჯ. ტორნტონი-1), 1:4 რაიან უიტნი-1 (გეტცლაფი-1).

### ედმონტონი-კალგარი 3:4

1:2, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 გლენკროსი-1 (ბოიდი-1, კონროი-2), 1:1 პენერი-1 (ო'სალივანი-1, კომრი-1), 1:2 მოსი-1 (ბოუმისტერი-1, ო. იოკინენი-1), 1:3 დეივსი-1 (ფანოფი-1, ბოუმისტერი-2), 2:3 ბრული-1 (პენერი-1, ვიშნოვსკი-1), 3:3 სემ განიე-1, 3:4 მოსი-2 (ბურკი-2).

### ლოს ანჯელესი-ფინიქსი 3:6

0:2, 2:2, 1:2

**გოლები:** 0:1 ვრბატა-1 (ჟოვანოვსკი-1), 0:2 ლომბარდი-1 (მიულერი-1, ვანდერმეერი-1), 0:3 ვინიკი-1 (ზ. მიხალეკი-1, ფიდლერი-1), 1:3 კოპიტარი-1 (რ. სმიტი-1, დ. ბრაუნი-1), 1:4 ვრბატა-2 (პრუხა-1), 2:4 ფროლოვი-1 (სტოლი-1, დაუტი-1), 2:5 აპშოლი-1, 2:6 ლანგი-1, 3:6 დაუტი-1 (კოპიტარი-1, რ. სმიტი-2).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ოლიმპიზმი

# რიო ღირსეულია



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რუქიდან კიდევ ერთი თეთრი ლაქა გაქრა. სამხრეთ ამერიკას, როგორც იქნა, ეღირსა ოლიმპიადა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ეს მოვლენა ჩიკაგოს სენსაციური ნაგების ფონზე. პირველად ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში ამერიკამ ვერ მიიღო ის, რაც ასე ძალიან უნდოდა.

ისევ ნაგო ბრწყინვალე მადრიდმა (უკვე მეხუთედ), რომელიც **ხუან ანტონიო სამარანჩის** ფენომენური მონდომების წყალობით აუტსაიდერიდან თითქმის ტრიუმფატორად იქცა. როგორც მოსალოდნელი იყო, გიგანტების ბრძოლაში ვერავინ შეამჩნია ფლეგმატური ტოკიო.

კოპენჰაგენში გამართული სესიის მწვერვალი გახდა რიო-დე-ჟანეიროს ტრიუმფი. სპეციალისტებმა ბრაზილიური განაცხადის წარმატების ხუთი ფაქტორი გამოკვეთეს - ფული, უნარიანი პრეზიდენტი, გამოცდილება, სატელევიზიო ბაზრის პერსპექტივები და მაყურებელთა უდიდესი ინტერესი.

**1. ლუის ინასიუ ლულა და სილვა** - ახლა ეს სახელი სრულად უნდა დავიმახსოვროთ. ბრაზილიის იმპოზანტური პრეზიდენტი მამაცურად ჩაება **ბარაკ ობამასთან** უთანასწორო ბრძოლაში და გაიმარჯვა! თითქოს ამერიკელისგან განსაკუთრებული არაფერი იყო საჭირო - კოპენჰაგენში უნდა ჩაფრენილიყო, გულის ამაჩუყებელი სიტყვა ეთქვა და საქმე გაკეთებული იქნებოდა.

ბრაზილიელი ლიდერი კარგ ორატორად არ ითვლება და ფსიქოლოგიური ზენოლაც არ ეხერხება. კოლეგებისგან განსხვავებით, ის ორი წელი არ გაჩერებულა, ხელმძღვანელობდა, აგიტატორობდა, რეკლამას ეწეოდა და... საბოლოოდ დაარწმუნა ოლიმპიური კომიტეტი.

**2.** ოლიმპიურ მოძრაობაში ფული რომ მთავარი იყოს, თამაშები მუდმივად კატარში, საუდის არაბეთში ან მსგავს ქვეყნებში გაიმართებოდა. მაგრამ დოჰა ამ კამპანიაში თავიდანვე გამოეთიშა პრეტენდენტთა სიას. ფინანსები - ყველაფერს არ წყვეტს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით დღევანდელ რთულ დროში.

ამერიკა, რომელიც კრიზისის ეპიცენტრი გახდა, განსაკუთრებულ ნდობას არ იმსახურებდა, ამას დაემატა ჩიკაგოს განაცხადში არამყარი ფინანსური გარანტიები. მადრიდს ამ მხრივ ოდნავ უკეთ ჰქონდა საქმე, მაგრამ ესპანური ფული შეიძლება ყველაფერს არ ჰყოფნოდა და სოკ-ის კომისიის წევრებს ეს არ გამოჰპარვიათ.

რიოს კი პირიქით, ყველაფერი წესრიგში ჰქონდა: 11-14 მილიარდის გარანტია უკვე დღეს არსებობს. ქვეყანა პროგრესირებს და იქაური მთავრობა ყოველ ხელსაყრელ მომენტში გვახსენებს ამას. შემთხვევითი არ არის, რომ ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე პრეზენტაციის დროს, ბრაზილიური დელეგაციის წარმომადგენლები ჰყვებოდნენ ნავთობის მრეწველობაში მიღწეული წარმატებების შესახებ, ამით კი ისინი მიანიშნებდნენ, რომ ქვეყანაში ყველაფერი წესრიგში აქვთ.

**3.** ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ადგილი იქნა არჩეული. პრეზიდენტი ლულა და სხვა ბრაზილიელები მუდმივად ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ოლიმპიადა არა მხოლოდ რიოსთვის ან ბრაზილიისთვის, არამედ მთლიანად სამხრეთ ამერიკისთვის სჭირდებოდათ.

ეს არის ტელევიზიისთვის, მარკეტინგისა და პიარისთვის უდიდესი, მაგრამ ჯერ აუთვისებელი ბაზარი და დადგა ამ პოტენციალის გამოყენების დრო. ხოლო უკვე გაკვალული გზის (აშშ, ევროპა და აზია) არჩევის შემთხვევაში, ოლიმპიური კომიტეტი აღიარებდა ამ ორგანიზაციაში საერთო პროგრესის არარსებობას.

**4.** 2016 წლისთვის ბრაზილია და ბრაზილიელი ხალხი სერიოზულ საორგანიზაციო გამოცდილებას შეიძენს. ამ ქვეყანაში 2007 წელს გამართული პანამერიკული თამაშები ოლიმპიადის ერთგვარ დემოვერსიას წარმოადგენს, ხოლოდ 2014 წელს გასამართავი საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატი მასშტაბურობით თითქმის არ ჩამოუვარდება ოლიმპიურ თამაშებს. ასე რომ, ბრაზილიას რეპეტიციისთვის შესანიშნავი საშუალება ექნება.

**5.** საშუალო სტატისტიკური ევროპელისთვის რიო არც ისე მიმზიდველი ქალაქია და იქ გამგზავრებას გაცილებით ნაკლები გულშემატკივარი გარისკავს, ვიდრე ეს მადრიდის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ ასეთი ვარიანტი მაყურებლის ინტერესს არ დააზარალებს. ეს არ არის ტოკიო, სადაც მაგიდის ჩოგბურთის მატჩებზე სტადიონები გაივსებოდა, ფეხბურთისაზე კი ბლომად იქნებოდა ცარიელი ადგილები. და ეს არ არის ამერიკა, სადაც ათასგვარი სანახაობით განებივრებული მაყურებელი უბრალოდ დაივიწყებდა წინასწარ რაუნდებს. მთელი ბრაზილია და მთელი კონტინენტი მონატრებულია ოლიმპიადას და ნებისმიერი არენა პირთამდე იქნება სავსე. მთელმა მსოფლიომ იხილა, რამდენი ბრაზილიელი ზეიმობდა სოკ-ის პრეზიდენტის **ჟაკ როგეს** მიერ გამოცხადებული ვერდიქტის შემდეგ.

# იტალია ბრძოლას იწყებს



2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის არჩევისთანავე იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 2020 წლის ოლიმპიადის ორგანიზების უფლებისთვის თავისი ქვეყნის კანდიდატურა წამოაყენა. იმ ფაქტმა, რომ მადრიდმა მხოლოდ ბოლო ტურში წააგო კენჭისყრა რიო-დე-ჟანეიროსთან, იტალიელებს ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ევროპაში ოლიმპიური ჩირაღდნის დაბრუნების სურვილი გაუჩინა. 2020 წლის თამაშების ორგანიზებას ვენეციის მერია გეგმავს, მაგრამ „წყლის ქალაქს" შიდა კონკურენციას გაუწევს დედაქალაქი რომი.

*„დადგა დრო, იტალიამ ზაფხულის თამაშების ორგანიზებაზე დაიწყოს ზრუნვა,* - განაცხადა ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჯოვანი პეტრუჩიმ**. *- რიოს გამარჯვებამ მოგვცა შანსი, საკუთარი ქალაქი წარმოვადგინოთ 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატებს შორის".*

ვენეციის მერმა **მასიმო კაჩიარიმ** განაცხადა, რომ მისი ქალაქი შესანიშნავად გაართმევს თავს ასეთ პასუხისმგებლობას: *„ვენეცია - ქალაქი-ფრესკაა. ის ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც ამგვარ განსაზღვრებას იმსახურებს. ოლიმპიადა უდიდესი საერთაშორისო მოვლენაა და მისი ჩატარება მრავალრიცხოვანი ადგილობრივი პროექტის განხორციელებას დააჩქარებს".*

უკანასკნელად იტალიამ ზაფხულის თამაშებს 1960 წელს რომში უმასპინძლა. ბოლო ოლიმპიადა აპენინებზე 2006 წელს გაიმართა - ზამთრის თამაშების ორგანიზების პატივი ტურინს ერგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| რუანი-შოლე | 56:65 |
| ტულონი-როანი | 95:84 (ო) |
| ნანსი-პუატიე | 73:77 |
| პარიზი-გრაველინი | 80:73 |
| ჰავრი-ვიში | 84:83 |

**ესპანეთი**

**სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-რეალი | 86:82 |

### ფრენბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| პოლონეთი-ჰოლანდია | 1:3 |
| იტალია-გერმანია | 3:1 |
| პოლონეთი-გერმანია | 3:0 |
| იტალია-ჰოლანდია | 3:0 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-ცსკა | 0:3 |
| ნეფტეხიმიკი-ტორპედო | 3:3 |
| ლადა-ვიტიაზი | 5:5 |
| ამური-ტრაქტორი | 1:2 |
| სიბირი-მეტალურგი (მ) | 3:3 |
| მეტალურგი (ნ)-ავტომობილისტი | 1:1 |
| ლოკომოტივი-ს. იულიაევი | 4:5 |
| მვდ-ავანგარდი | 3:2 |
| სპარტაკი-ბარისი | 2:2 |
| დინამო (რ)-ატლანტი | 4:2 |
| დინამო (მნ)-სევერსტალი | 2:1 |
| დინამო (მ)-სკა | 1:5 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ზალცბურგი | 4:4 |
| ვილახი-ალზა | 1:1 |
| გრაცი-ვენა | 3:1 |
| აკრონი-კლაგენფიურტი | 2:3 |
| ოლიმპია-ლინცი | 2:5 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-აუგსბურგი | 5:2 |
| ჰანოვერი-იზერლონი | 4:4 |
| ვოლფსბურგი-დიუსელდორფი | 3:1 |
| მანჰაიმი-კასელი | 5:3 |
| კრეფელდი-ფრანქფურტი | 4:4 |
| ინგოლშტადტი-შტრაუბინგი | 2:3 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-ლილეჰამერი | 3:1 |
| ლორენსკოგი-სტიორნენი | 7:3 |
| კომეტი-სტორჰამარი | გადაიდო |
| მანგლერუდი-ფრისკ ასკერი | 4:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| მარტინი-ზვოლენი | 1:1 |
| კოშიცე-სლოვანი | 2:3 |
| ჟილინა-მიკულაში | 1:1 |
| ნიტრა-პოპრადი | 1:1 |
| ტრენჩინი-სლოვაკეთი (U20) | 6:3 |
| ბისტრიცა-ნოვა ვესი | 3:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰპკ-კალპა | 0:0 |
| კერპეტი-ტპს | 4:7 |
| ლუკო-ტაპარა | 3:3 |
| პელიკანსი-იოკერიტი | 4:2 |
| ესეტი-სეიპა | 1:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბრნო-ლიბერეცი | 7:2 |
| სლავია-ზლინი | 4:1 |
| კლადნო-ტრშინეცი | 1:2 |
| პლზენი-ლიტვინოვი | 4:5 |
| პარდუბიცე-ბოლესლავი | 4:2 |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 2:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| რაპერსვილი-ჟენევა | 5:2 |
| ცუგი-ლუგანო | 6:1 |
| კლოტენი-ციურიხი | 3:3 |
| ამბრი პიოტა-დავოსი | 1:1 |
| ბილი-ფრიბურგი | 4:0 |
| ლანგნაუ-ბერნი | 0:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლულეა-ფერიესტადი | 2:3 |
| იურგორდენი-ბრიუნასი | 4:4 |
| სიოდერტალე-მოდო | 5:0 |
| ლინჩოპინგი-როგლე | 4:2 |
| ჰვ71-ტიმრა | 6:4 |
| აიკ-ფრიოლუნდა | 5:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. ბანგკოკი**

| | |
|---|---|
| მელცერი-სიმონი | 4:6, 6:7 |
| ტროიცკი-ცონგა | 1:6, 6:2, 6:3 |
| სიმონი-ტროიცკი | 7:5, 6:3 |

**ATP. კუალა ლუმპური**

| | |
|---|---|
| სიოდერლინგი-დავიდენკო | 6:1, 6:7, 1:6 |
| ფ. გონსალესი-ვერდასკო | 4:6, 5:7 |
| ვერდასკო-დავიდენკო | 4:6, 5:7 |

**WTA. ტოკიო**

| | |
|---|---|
| შარაპოვა-იანკოვიჩი | 5:2 უარი |

**WTA. პეკინი**

| | |
|---|---|
| პენეტა-ჰანი | 7:6, 6:2 |
| სტოსური-კორნე | 4:6, 6:4, 3:6 |
| ბამერი-პავლიუჩენკოვა | 5:7, 1:6 |
| რეზაი-ვოზნიაკი | 6:4, 1:6, 6:7 |
| ვ. უილიამსი-დუშევინა | 6:2, 7:6 |
| შავაი-ა. ბონდარენკო | 3:6, 0:6 |
| ვესნინა-ჩინკი | 6:7, 7:5, 4:6 |
| ზვონარევა-კირსტეა | 6:2, 6:2 |
| რაზანო-ერანი | 1:6, 1:6 |
| საფაროვა-ჟი | 6:2, 6:4 |
| აზარენკა-გოვორცოვა | 6:1, 6:3 |
| ე. ბონდარენკო-კირილენკო | 6:2, 2:6, 7:6 |
| კუზნეცოვა-ჟენგი | 7:6, 7:5 |
| შნიდერი-უ. რადვანსკა | 6:4, 7:5 |
| ბარტოლი-რიბარიკოვა | 6:2, 4:6, 6:3 |
| ბენეშოვა-ჟანგი | 4:6, 2:6 |
| პეერი-მაკაროვა | 4:6, 2:6 |
| საფინა-ვინჩი | 6:4, 6:4 |
| ვოზნიაცკი-მარტინეს სანჩესი | 7:6, 6:7, 0:6 |
| ს. უილიამსი-კანეპი | 7:5, 6:4 |
| მედინა გარიგესი-ლუ | 3:6, 7:5, 7:5 |
| დემენტიევა-გრიონეფელდი | 6:4, 6:0 |
| პენგი-შვედოვა | 6:2, 6:3 |

## TV პროგრამა

**5 ოქტომბერი. ორშაბათი**

**I არხი**

22:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-ატლეტიკო.
08:45 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. აბუ დაბი, საემიროები.
09:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვერდერი.
11:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი.
13:10 100% დინამო.
13:35 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. ფინალი. ბანგკოკი.
15:40 მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი. ფინალი.
16:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-პალმეირასი.
17:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-სენტ ლუისი.
19:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
22:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:15 სპორტული სამყარო.
22:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
23:40 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:45 პროფესიული კრივი. ჯერმეინ ტეილორი-ჯეფ ლეისი.
02:45 სპორტული პროგრამა.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-რეინჯერსი (LIVE).
05:50 ძრავების სამყარო.
06:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. პორტუ-ატლეტიკო.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-დორტმუნდი.
09:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-იუვენტუსი.
10:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
11:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-პალმეირასი.
13:45 მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი. ფინალი.
14:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი.
16:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ბანგკოკი.
20:20 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. აბუ დაბი, საემიროები.
21:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-დორტმუნდი.
23:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი (LIVE).
01:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
01:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
03:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვალენსია-ჯენოა.
04:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი.
06:35 100% დინამო.

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი.
11:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი, ჩინეთი (LIVE).
16:45 სნუკერი. გრან-პრი. III.დღე. გლაზგო, შოტლანდია (LIVE).
18:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/8 ფინალი. ეგვიპტე (LIVE).
20:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 მულტისპორტი.
23:00 არმრესტლინგი.
00:25 მულტისპორტი.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.
01:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
03:15 მულტისპორტი.

ფორმულა 1. იაპონიის გრან-პრი

# ფეტელი არ ნებდება

მსოფლიოს ჩემპიონატის მე-15 ეტაპი არც ისე სანახაობრივი არმოჩნდა, მაგრამ ამის მიუხედავად ტიტულისთვის ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა. **ჯენსონ ბატონი** („ბრაუნი") კვლავაც ინარჩუნებს ჩემპიონობის ბრწყინვალე შანსს, მაგრამ გუშინ **სებასტიან ფეტელმა** ყველაფერი გააკეთა საჩემპიონო რბოლაში დასარჩენად. „რედ ბულის" ახალგაზრდა გერმანელს ერთი შეცდომა არ დაუშვია, მან მაშინაც მოახერხა ნერვების მოთოკვა, როცა რბოლის ბოლოს ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა.

მაგრამ ჯობს, მიმოხილვა შაბათის ქაოსური კვალიფიკაციით დავიწყოთ.: ხუთი ჯარიმა, ოთხი ავარია, სამჯერ წითელი დროშების გამოფენა, ორი შესაცვლელი ბოლიდი და ერთი პილოტი საავადმყოფოში - ასეთია საკვალიფიკაციო რბოლის საბოლოო შედეგი. თუმცა მთავარი გაურკვევლობა ის იყო, ვის რა პოზიციიდან უნდა აელო სტარტი კვირის რბოლაში. საქმე ისაა, რომ რამდენიმე პილოტმა ყვითელი დროშების გამოფენისას დაშვებულ სიჩქარეს გადააჭარბა და ამის გამო დაისაჯა. თითქოს წესის ყველა დამრღვევს კვირას სასტარტო ბილიკზე ხუთი პოზიციით უნდა დაეხია უკან, მაგრამ ფედერაციამ ყველასთვის გაურკვეველი პრინციპით, სხვადასხვა სახის სასჯელი გამოუწერა ავტომრბოლელებს და ისე გამოვიდა, რომ ერთნაირი დანაშაულისთვის **რუბენს ბარიკელო** („ბრაუნი") ერთი ადგილით ჩამოაქვეითეს, ბატონი და **სებასტიან ბუემი** („ტორო როსო") - სამით, **ადრიან სუტილი** („ფორს ინდია") და **ფერნანდო ალონსო** („რენო") - ოთხით...

გარდა ამისა, პელოტონი ერთი მანქანით შემცირდა - **ტიმო გლოკმა** („ტოიოტა") ფეხის ტრავმის გამო ვერ შეძლო ტრასაზე გასვლა, ხოლო გერმანელის **კამუი კობაიასით** შეცვლა წესების გამო ვერ მოხერხდა. და კიდევ, **მარკ უებერმა** („რედ ბული") ახალშეკოწიწებული მანქანით პიტ-ლეინიდან აილო სტარტი და ამ ბოლიდს იმდენი პრობლემა შეექმნა, რომ ავსტრალიელი ხუთჯერ შევიდა ბოქსებში. თუმცა ბოლოს უებერმა იმდენი მოახერხა, რომ წრეზე საუკეთესო დრო აჩვენა, რითაც თანაგუნდელ ფეტელს „დიდი სლემის" შესრულების საშუალება არ მისცა.

ფეტელისთვის მთავარი იყო, სტარტზე შეენარჩუნებინა ლიდერობა და **ლუის ჰემილტონის** („მაკლარენი") KERS-ით აღჭურვილი მანქანა არ გაეშვა წინ. ჯერ კიდევ მოქმედმა ჩემპიონმა მესამე პოზიციიდან აილო სტარტი და **იარნო ტრულის** („ტოიოტა") გასწრება მოახერხა, მაგრამ პირველ მოსახვევში ფეტელმა შეასწრო და ძალთა განლაგება ფინიშამდე აღარ შეცვლილა.

გერმანელმა მალე შეიქმნა კომფორტული უპირატესობა, მას შეეძლო, მშვიდად შესულიყო ბოქსებში და არაფერზე ენერვიულა, ჰემილტონი კი უფრო მეორე ადგილის შენარჩუნებაზე ფიქრობდა და არა ფეტელის დაწევაზე. ლუისმა ესეც ვერ შეძლო და პიტ-სტოპების მეორე სერიის შემდეგ ტრულიმ კვალიფიკაციაზე მოპოვებული მეორე ადგილი დაიბრუნა.

ეს, რაც შეეხებოდა ლიდერთა ჯგუფს, მაგრამ არანაკლები ყურადღება იყო მიპყრობილი ტიტულის მთავარი პრეტენდენტების - ბატონისა და ბარიკელოს მიმართ. სტარტის შემდეგ რუბენსი მეექვსე იყო, ჯენსონი - მეათე. ჩემპიონატის ლიდერი რბოლის მსვლელობისას რადიოთი მიმართავდა თავისი გუნდის შტაბს და ბოლიდის დაბალი სიჩქარის გამო წუხდა. ამიტომაც შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ბატონს გაუჭირდებოდა მის წინ მიმავალი სუტილისა და **ჰეიკი კოვალაინენის** („მაკლარენი") გასწრება და ქულათა ზონაში შესვლა. მაგრამ ბრიტანელს მეფური საჩუქარი გაუკეთა სუტილმა. „ფორს ინდიას" პილოტმა კოვალაინენის „მაკლარენის" გასწრება სცადა. ამ ორ ბოლიდს შორის მცირე კონტაქტი იყო - სუტილი ტრასაზე მოსრიალდა, კოვალაინენმა სიჩქარე დაკარგა და ბატონი უპრობლემოდ გადავიდა მერვე ადგილზე, რაც ფინიშამდე შეინარჩუნა.

ბოლოს კი რბოლას მოულოდნელად ინტრიგა დაუბრუნდა. **ხაიმე ალგერსუარიმ** თავისი „ტორო როსო" დაამტვრია, რის შემდეგაც ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა. რესტარტის შემდეგ ტრულისა და ჰემილტონს ფეტელთან ბრძოლის შანსი მიეცათ, მაგრამ გერმანელი მალე დასცილდა კონკურენტებს და პილოტთა განლაგებაში აღარაფერი შეცვლილა.

ამ მოგების შემდეგ ფეტელმა 16 ქულამდე შეამცირა სხვაობა ბატონთან და ინტრიგა დაუბრუნა ტიტულისთვის ბრძოლას, ხოლო ბარიკელოსთან სებასტიანს მხოლოდ ორი ქულა აშორებს. ასე რომ, ორ დარჩენილ ეტაპზე ბევრი საინტერესო რამ გველის. რაც შეეხება კონსტრუქტორთა თასისთვის ბრძოლას, აქ ყველაფერი გადაწყვეტილია - „ბრაუნ გრან-პრის" ერთი ქულა სჭირდება საბოლოო გამარჯვების გასაფორმებლად.



„ჯერ კიდევ რჩება ტიტულისთვის ბრძოლის შანსი. რა თქმა უნდა, ჩამორჩენა დიდია, მაგრამ წინ ორი რბოლაა და იქ ასეთივე ლამაზი გამარჯვებები უნდა მოვიპოვოთ, როგორიც იაპონიაში. შესანიშნავი მანქანა გვყავს და ჩვენს გუნდში კიდევ მიდის მუშაობა ბოლიდის დასახვეწად. ასე რომ, ოპტიმიზმის საფუძველი ჯერ კიდევ არსებობს", - განაცხადა ფინიშის შემდეგ ფეტელმა.

გია თვალაბეიშვილი

### იაპონიის გრანპრი. XV ეტაპი

#### სუძუკა (53 წრე, 307.573 კმ)

| | |
|---|---|
| 1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:28.20,443 (2 პიტ-სტოპი) |
| 2(2). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) | +4,877 (2) |
| 3(3). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +6,472 (2) |
| 4(8). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | +7,940 (2) |
| 5(11). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | +8,093 (2) |
| 6(6). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | +9,509 (2) |
| 7(5). რუბენს ბარიკელო (ბრაუნი, ბრაზილია) | +10,641 (2) |
| 8(7). ჯენსონ ბატონი (ბრაუნი, ბრიტანეთი) | +11,474 (2) |
| 9(13). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | +11,777 (2) |
| 10(12). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | +13.065 (1) |
| 11(9). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | +13,735 (2) |
| 12(16). ჯანკარლო ფიზიკელა (ფერარი, იტალია) | +14,596 (2) |
| 13(4). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | +14,959 (2) |
| 14(19). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს-ინდია, იტალია) | +15,734 (2) |
| 15(17). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | +18,973 (1) |
| 16(18). რომენ გროსჟანი (რენო, საფრანგეთი) | 1 წრე (1) |
| 17(20). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 2 წრე (5) |
| 18(15). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 10 წრე (2) |
| 19(10). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 42 წრე (1) |

საუკეთესო წრე: მარკ უებერი - 1.32,569 (225.833 კმ/სთ); 50-ე წრე

#### საერთო ჩათვლა

1. ჯენსონ ბატონი - 85 ქულა; 2. რუბენს ბარიკელო - 71; 3. სებასტიან ფეტელი - 69; 4. მარკ უებერი - 51.5; 5. კიმი რაიკონენი - 45; 6. ლუის ჰემილტონი - 43; 7. ნიკო როსბერგი - 34.5; 8. იარნო ტრული - 30.5; 9. ფერნანდო ალონსო - 26; 10. ტიმო გლოკი - 24; 11. ფელიპე მასა - 22; 11. ჰეიკი კოვალაინენი - 22; 13. ნიკ ჰაიდფელდი - 15; 14. რობერტ კუბიცა - 9; 15. ჯანკარლო ფიზიკელა - 8; 16 ადრიან სუტილი - 5; 17. სებასტიან ბუემი - 3; 18. სებასტიან ბურდე - 2.

#### კონსტრუქტორთა თასი

1. ბრაუნი - 156 ქულა; 2. რედ ბული - 120.5; 3. ფერარი - 67; 4. მაკლარენი - 65; 5. ტოიოტა - 54.5; 6. უილიამსი - 34.5; 7. რენო - 26; 8. BMW-ზაუბერი - 24; 9. ფორს ინდია - 13; 10. ტორო როსო - 5.

#### დარჩენილი ეტაპები

18 ოქტომბერი - ბრაზილიის გრან-პრი
1 ნოემბერი - აბუ დაბის გრან-პრი




